საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№08 (384)
1 - 7 მარტი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მართლმადიდებელი ეკლესია ლიბერასტი დივერსანტებისგან უნდა გაიწმინდოს 2

„ილია მეორე დღეს არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის გარანტი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ადამიანი უკვდავი არ არის. პირადად პატრიარქი, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები და მრევლიც უნდა დაფიქრდეს, ვინ ჩაუდგება სათავეში ეკლესიას ილია მეორეს შემდეგ. ხელისუფლება შეეცდება, წმინდა სინოდის მოსყიდული წევრების გამოყენებით „რეფორმატორი“, ეკუმენისტი, „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა“ მიმდევარი დასვას პატრიარქის ტახტზე“.

„საქართველო და მსოფლიო“ №13, აპრილი, 2012 წ.



## «ხალხმა უნდა ჩაატაროს რუის-ურბნისის კიდევ ერთი კრება და გაიწმინდება საქართველოს ეკლესიის ავგიას თავლა»

4



«მეუფეები შავი ჯიპებიდან ჯორებზე უნდა გადავსხათ, ხოლო მრევლის უმრავლესობას, სანთელთან ერთად, ხელში ბარი, თოხი, ურო და ჩაქუჩი უნდა დავაკავებინოთ და შევუდგეთ ახალი ქვეყნის მშენებლობას»

## როდემდე გასტანს უძრაობის ხანა... 3




«ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, კარგად აცნობიერებს, რომ საზოგადოებაში არის მოთხოვნა ჯანსაღი მემარცხენე ძალის, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალი სოციალისტური პარტიის ფორმირების»

«ის, ვინც მოახერხებს სოციალური სამართლიანობის აღდგენის იდეის შერწყმას საზოგადოების კონსერვატიული ნაწილისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებთან და თანაც ასპარეზზე ახალ სახეებს გამოიყვანს, მომავალ არჩევნებს მოიგებს»

## ლავროვამდე ეს ყველაფერი ამერიკელებმა თქვეს 5

«რაც მან თქვა, ფაქტია, თანაც ისეთი, რომ ცნობილი ამერიკელი ექსპერტებიც კი წერდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ჯეიმს ჯატრასმა, წიგნიც გამოსცა, რომელშიც წერს სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტერორისტულ თავყრილობებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ «ალ ქაიდას» წარმომადგენლები»

## «პატრიოტიზმი ქართული სიტყვაა და მხოლოდ რუსეთის ლანძღვას ნიშნავს»

«ხომ ვერ გვეტყვით, რატომ ემთხვევა ასე ზუსტად «თანამედროვე ქართველი პატრიოტებისა» და ოსმალთა სურვილები ერთმანეთს? მე გეტყვით — თქვენი ნომერი პირველი, ნომერი მეორე და, საერთოდ, ყველა რიგის ამოცანა იმ დოლარების ჯიბეში ჩაკუჭვაა, რომლებსაც «ძია სემი» და თურქული სპეცსამსახურები გიხდიან სამშობლოს გაყიდვაში!» 7

## სამი ვიცეპრემიერი, ხვადი ზებრა და მოდელირებული სხდომა ივანიშვილის სასახლეში 8



## «გამოვიდა ეს ნიგერიელი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა მიჩვენა, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ ნიკო ჭავჭავაძე იყო» 6




## რატომ იყო სტალინი ხალხის ჯელადი

«ისტორიის ფალსიფიკატორები, რომლებიც «ამტკიცებენ», რეპრესიებმა 60 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო, ვერ ასხვავებენ 64-ს 0,64-ისგან, მათი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ სასვენი ნიშანია — «მძიმე» 12

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოს ისტორიაში იყვნენ კათოლიკოსები, რომლებიც ძალიან მკვეთრ პოზიციას იკავებდნენ ხელისუფლების მიმართ, თუ ხედავდნენ, რომ ხელისუფლება ვნებს ხალხს და სახელმწიფოს. ილია მეორე მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. იგი ძალიან წესიერი, ღირსეული ადამიანია, მაგრამ მებრძოლი არ არის. პირიქით, ჩვენ — საზოგადოებამ, ხალხმა პატრიარქისადმი თაყვანისა და პატივისცემის გამოხატვით უნდა დავიცვათ იგი, როგორც ხელისუფლებისგან, ასევე გადაგვარებული, უპრინციპო სასულიერო პირებისგან, მათ შორის წმინდა სინოდის გაყიდული წევრებისგან. ილია მეორე დღეს არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის გარანტი“.

# მართლმადიდებელი ეკლესია ლიბერასტი დივერსანტებისგან უნდა გაიწმინდოს

## ანტიქართული ძალები ცდილობენ, ქართველ ხალხს გამოაცალონ ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების დამცველი ერთადერთი საყრდენი — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია

**XXI საუკუნის დასაწყისი, განსაკუთრებით — ბოლო წლები, არა მხოლოდ პოლიტიკური ციებ-ცხელებით ხასიათდებოდა, არამედ უმაღლესი საეკლესიო იერარქების დაპირისპირებით საეკლესიო საკითხებზე, აგრეთვე, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მასირებული შეტევით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელზე — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე. ბოლო დღეებში განვითარებული პროცესების ზედაპირული გაანალიზებით კი აშკარაა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროცესები (და ეს, როგორც ჩანს, ხდება არა მხოლოდ შიგა, არამედ უცხო ძალების ჩარევითაც), რომლებმაც სამომავლოდ გავლენა უნდა იქონიოს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებზე.**



ბოლო დღეებია, ქართველი საზოგადოება დიდი შეშფოთებითა და გულისტკივილით ადევნებს თვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარშემო განვითარებულ პროცესებს — ე.წ. ციანიდის საქმის მიმდინარეობას.

დაკავებულია საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრის დირექტორი, მამა **გიორგი მამალაძე**, რომელსაც გერმანიაში გამგზავრების წინ მომწამვლელი ნივთიერება, ციანიდი, უპოვეს. პროკურატურის განცხადებით, მამა გიორგი მამალაძის წინააღმდეგ გამოძიება ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების საფუძველზე 2017 წლის 2 თებერვალს დაიწყო, რომელმაც პროკურატურას მიმართა, რომ მამა გიორგი მამალაძემ სთხოვა სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების, ციანიდის, შოვნაში დახმარება, რათა ის მაღალი იერარქიის სასულიერო პირის წინააღმდეგ გამოეყენებინა, ხოლო გაწეული დახმარებისთვის გიორგი მამალაძე მზად იყო, თანხა გადაეხადა.

როგორც გაირკვა, მამა გიორგი მამალაძე გერმანიაში გამგზავრებას აპირებდა, სადაც პატრიარქი სამკურნალოდ იმყოფებოდა. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებმა მამა გიორგი მამალაძეს ბრალი წაუყენეს არა პატრიარქის, არამედ მისი მდივან-რეფერენტის — **შორენა თეთრუაშვილის** მოწამვლის მცდელობის გამო. მას შემდეგ, რაც საქართველოს პატრიარქი გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ, უფრო გამწვავდა დაპირისპირება სინოდის წევრებს შორის — ასაკოვანი პატრიარქის ტახტის ირგვლივ მრავალმა ინტერესმა ამოხეთქა და დღეს ერთმანეთს აკრიტიკებენ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, რაც რეპუტაციას ულახავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, პატრიარქი კი წლების მატებასთან ერთად სულ უფრო ლმობიერი ხდება და სიმკაცრეს კარგავს თავგასული მღვდელმთავრების მიმართ. ეკლესია კრიზისულ ფაზაში გადადის, რადგან გრძელდება ურთიერთბრალდებები, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე პოლიტიკურ არენაზე.

როგორც ჩანს, ამ ე.წ. ციანიდის საქმის მიზანი იყო ადამიანების რწმენის შერყევა და, ვინც ეს პროცესები დაგეგმა, მიზანს მიაღწია — მრევლის მხრიდან საპატრიარქოსა და მღვდელმსახურების მიმართ მოიმატა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. დღეს ქვეყანაში ცდილობენ ავტორიტეტების რეპუტაციის შელახვას. სხვა საკითხია, ვინ აკეთებს ამას და აკეთებს თუ არა შეგნებულად, მაგრამ ეკლესია, ხალხის დიდი ნდობით აღჭურვილი ეს ინსტიტუცია, პრობლემების წინაშეა.

უნდა ითქვას, რომ ეს პროცესები დღეს არ დაწყებულა, საპატრიარქოში არსებულ დაპირისპირებაზე წლების წინათ ლაპარაკობდა ზოგიერთი ანალიტიკოსი, მათ შორის, ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.**

* აი როგორ აფასებდა ის 2012 წლის აპრილში „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში მართლმადიდებელი ეკლესიის როლს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში და თვით მართლმადიდებლობისადმი, ქართული ტრადიციული ფასეულობებისადმი დასავლეთის დამოკიდებულებას:

**„საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქართულ ეკლესიას ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების მიმართ ინდიფერენტული პოზიცია ეკავა. ჩვენ არ გაგვიგია ეკლესიის პროტესტი ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე კრიტიკულ, ერისთვის დამღუპველ მომენტებში. ეკლესიამ არ დაგმო სახელმწიფო გადატრიალება და კანონიერი პრეზიდენტის დამხობა, რომელიც ხალხმა თითქმის ერთხმად აირჩია, თანაც ერთადერთ სამართლიან არჩევნებში ჩვენს ისტორიაში. ამ დანაშაულმა საშინლად შეურაცხყო ქართველი ხალხი და იგი ეკლესიის მხარდაჭერას ამაოდ ელოდა. ეკლესიამ არ აღიმაღლა ხმა, როდესაც შევარდნაძემ აფხაზეთში ომი დაიწყო, როდესაც სამეგრელოში დამსჯელი რაზმები გაუშვა საყაჩაღოდ და ერთმორწმუნე თანამემამულეების დასახოცავად. საერთოდ, ეკლესიის ხელმძღვანელობა ყველაფერში მხარს უჭერდა შევარდნაძეს, თუნდაც იმ დასავლური „დემოკრატიული“ ნორმების იძულებით დანერგვაში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებელ ღირებულებებს და თვით ეკლესიის მომავალს უქმნიდა საფრთხეს. ზუსტად ამის შესახებ ვწერდი იმხანად პრესაში და პირადად ვეუბნებოდი პატრიარქს. რაკი ეკლესიის მორჩილება და გულგრილობა დაინახეს, შევარდნაძის მემკვიდრეები მართლმადიდებლობის პრობლემის კარდინალურ გადაჭრას შეუდგნენ — მართლმადიდებელი სულიერი ღირებულებების ტოტალურ გამოდევნას, ეკლესიისა და მის მსახურთა დაცინვას, ეკლესიის უფლებების შეზღუდვას, რელიგიურ სექტებთან მის ფაქტობრივ გაიგივებას. ეს მარტივი მიზეზის გამო ხდება: მართლმადიდებლობა დასავლურ ღირებულებებთან, ზნეობრივ ნორმებთან, ამერიკული ცხოვრების წესთან შეუთავსებელია. ვერც ერთ მართლმადიდებელ ქვეყანაში დასავლეთი ვერ ახერხებს, დაუმორჩილოს ხალხი თავის ზნეობას, ცხოვრების პრინციპებს. გაიხსენეთ, რას ამბობდა ამერიკელი იდეოლოგი ბჟეზინსკი: კომუნიზმის კრახის შემდეგ ჩვენ დაგვრჩა ერთი მტერი — მართლმადიდებლობაო. ჩვენმა „რეფორმატორებმა“ გადაწყვიტეს, აჩვენონ ამერიკელ პატრონებს, რომ მართლმადიდებლობის დისკრედიტება, გამოდევნა, განადგურება შეიძლება და ამ გზით ერის გენეტიკური კოდის შეცვლაც შესაძლებელია“.**

**(„საქართველო და მსოფლიო“ №13 (151), 4-10 აპრილი, 2012 წ.)**

* ამავე ინტერვიუში ბატონი ალექსანდრე საქართველოს პატრიარქისადმი პატივისცემასა და წმინდა სინოდის გადაგვარებული, უპრინციპო, გაყიდული სასულიერო პირებისგან მის დაცვაზე ლაპარაკობს.

**„ბოლო წლებში ჩვენ ვხედავთ ცალკეული სასულიერო მოღვაწეების და თუნდაც ეკლესიის იერარქების საზოგადოებრივ აქტიურობას. მე ღრმა პატივისცემით ვეპყრობი ამ მამაც ადამიანებს, რომლებიც საქვეყნოდ კიცხავენ ხელისუფლების ცოდვას და დანაშაულს, მის მიერ შექმნილ ეროვნული სულის ჩამხშობ სისტემას. ამ საეკლესიო მოღვაწეებს მიაქვთ ხალხთან მართალი სიტყვა, აიმედებენ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ამ გზით აძლიერებენ ქართული ეკლესიის ავტორიტეტს. ბევრი მათგანის თვალსაზრისი თქვენს გაზეთშიც იბეჭდება. ვფიქრობ, მათი აქტიური პოზიციის წყალობით, კათოლიკოს-პატრიარქი ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც აძლევს თავს უფლებას, გამოვიდეს კრიტიკული შეფასებებით ხელისუფლების განსაკუთრებით მიუღებელი ქმედებების წინააღმდეგ. უფრო კატეგორიულ და პრინციპულ პოზიციას მისგან არ უნდა ველოდოთ. საქართველოს ისტორიაში იყვნენ კათოლიკოსები, რომლებიც ძალიან მკვეთრ პოზიციას იკავებდნენ ხელისუფლების მიმართ, თუ ხედავდნენ, რომ ხელისუფლება ვნებს ხალხს და სახელმწიფოს. ილია მეორე მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. იგი ძალიან წესიერი, ღირსეული ადამიანია, მაგრამ მებრძოლი არ არის. პირიქით, ჩვენ — საზოგადოებამ, ხალხმა პატრიარქისადმი თაყვანისა და პატივისცემის გამოხატვით უნდა დავიცვათ იგი, როგორც ხელისუფლებისგან, ასევე გადაგვარებული, უპრინციპო სასულიერო პირებისგან, მათ შორის წმინდა სინოდის გაყიდული წევრებისგან. ილია მეორე დღეს არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის გარანტი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ადამიანი უკვდავი არ არის. პირადად პატრიარქი, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები და მრევლიც უნდა დაფიქრდეს, ვინ ჩაუდგება სათავეში ეკლესიას ილია მეორეს შემდეგ. ხელისუფლება შეეცდება, წმინდა სინოდის მოსყიდული წევრების გამოყენებით „რეფორმატორი“, ეკუმენისტი, „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა“ მიმდევარი დასვას პატრიარქის ტახტზე. ამ შემთხვევაში ეკლესიის გახლეჩას თავს ვერ ავარიდებთ, ეს კი საზოგადოების, ერის გაყოფას, ერთადერთი გამაერთიანებელი სულიერი ძალის ჩამორთმევას, ერის საყრდენის გამოცლას ნიშნავს. მაშინ ჩვენს ხელისუფლებას შეეძლება, ამერიკელებს პატაკი ჩააბაროს: მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევისა და განადგურების ექსპერიმენტი წარმატებით დავასრულეთ და ამაშიც მაგალითი შეგვიძლია ვიყოთ სხვა ქვეყნებისთვისო“.**

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ალექსანდრე ჭაჭიას — დღეს ხომ სწორედ პატრიარქის ტახტისთვის მიმდინარეობს ბრძოლა და ეს ბრძოლა ანტიქართული, ანტიმართლმადიდებელი ძალების მიერ არის ინსპირირებული.

გარე ძალების წაქეზებით, ჩვენი ე.წ. არასამთავროები სწორედ იმიტომ ებრძვიან ქართულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლობას, რომ ერი დაეცეს, დეგრადირდეს და ადვილი სამართავი გახდეს უცხო ძალების ინტერესების გასატარებლად.

* აი ალექსანდრე ჭაჭიას ზედმიწევნით ზუსტი შეფასება ქართველი სამღვდელოებისა, რომელიც ამჟამად გახლეჩილია და ურთიერთბრალდებებით არის დაკავებული:

**„სამღვდელოება თავისი შემადგენლობით არაერთგვაროვანია. სასულიერო პირებს შორის არიან კონფორმისტებიც, რომლებიც მზად არიან, ითანამშრომლონ ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე ანტიეროვნულ ხელისუფლებასთან; არიან „რეფორმატორებიც“, რომლებიც ცდილობენ, „გაათანამედროვონ“, „გააცივილურონ“ მართლმადიდებლობა, სინამდვილეში კი სურთ, თავს მოგვახვიონ პროტესტანტული ღირებულებები; არიან თავდაჯერებული ეკუმენისტებიც, მაგრამ არსებობენ თანამიმდევრული, ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებული, მართლმადიდებლობის ღრმად მორწმუნე მსახურები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწირონ სჯულისა და მამულისთვის. დაინახეს რა, როგორი სატანური ქვესკნელისკენ უბიძგებენ ერს გარე და შიდა ბნელი ძალები, ამ სასულიერო პირებმა აღიმაღლეს ხმა და ამით აგრძნობინეს ერს, რომ ეკლესია ჩვენთანაა, ესე იგი, ჩვენთან არს ღმერთი! ეს ის ხალხია, რომელიც აცნობიერებს, რომ ემსახურო ღმერთს, ნიშნავს ემსახურო შენს ერს და მიიყვანო იგი ღმერთთან. ჩვენი სამოქალაქო და ეროვნული ვალია, მხარი დავუჭიროთ ასეთ სამღვდელოებას“.**

**(„საქართველო და მსოფლიო“ №20 (207), 5-11 ივნისი, 2013 წ.)**

საპატრიარქოს გარშემო დღეს განვითარებული სკანდალური პროცესები ნათლად წარმოაჩენს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ **ეკლესიაში კრიზისია და ის სასწრაფოდ არის გასაწმენდი უღირსი სამღვდელოებისგან, რათა კვლავ აღიდგინოს შელახული ავტორიტეტი და ხალხის ნდობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანტიქართული ძალები, რომლებიც ცდილობენ, ქართველ ხალხს გამოაცალონ ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების დამცველი ერთადერთი საყრდენი, მიზანს მიაღწევენ — საბოლოოდ დაუკარგავენ ხალხს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი რწმენას.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, კარგად აცნობიერებს, რომ საზოგადოებაში არის მოთხოვნა ჯანსაღი მემარცხენე ძალის, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალი სოციალისტური პარტიის ფორმირებაზე.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდემდე გასტანს უძრაობის ხანა...

**არჩევნების შემდეგ საქართველო საკმაოდ უცნაურ რეალობაში ცხოვრობს. მოსახლეობაში დაგროვდა პროტესტი, მაგრამ არ არსებობს მისი აკუმულირების შესაძლებლობა. არის მოთხოვნა ადეკვატურ ოპოზიციაზე, მაგრამ პოლიტიკურ ელიტას მისი ფორმირება არ ძალუძს. ყველა დამკვირვებელი გრძნობს, რომ ვითარება არაჯანსაღია, მეტიც — კრიზისული, მაგრამ მოვლენების განვითარებაზე პროგნოზის გაკეთება უჭირს.**



ივანიშვილის ხელისუფლება წინ მიიწევს პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში ერთდროულად. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ყველა რამდენადმე ანგარიშგასაწევი პარტია დასუსტდა და დაიშალა და ამის მიზეზი არა მხოლოდ ხელისუფლების მოქმედებაა, არამედ ოპოზიციის, როგორც ძველი პოლიტიკური ელიტის განუყოფელი ნაწილის მიმართ, ნდობის მკვეთრი დაცემა. კრიტიკულად დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები სულით ხორცამდე პროსტიტუირებულები არიან, ხოლო მათ ლიდერებს ამომრჩეველთა ინტერესები არ ანაღვლებთ. ეს წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის პოლიტიკაზე და პარტიებზე, რომლებიც ჰორიზონტზე ჯერჯერობით არ ჩანან.

დღეს საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი (მმართველი პარტიის კლინიკური მხარდამჭერების გარდა), რომელიც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას უარყოფს. ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ლამის დაუფარავ ძარცვა-გლეჯაზე გადავიდნენ, ხოლო მსხვილი ბიზნესმენები — დასაქმებულთა უფლებების გათელვაზე, რომელზეც ნათლად მიუთითებს თუნდაც „აზოტსა“ და „ფრესკოში“ განვითარებული მოვლენები. უკმაყოფილება ძალზე დიდია, მაგრამ პროტესტი ლოკალურ ხასიათს ატარებს, რადგან ქართველების უმრავლესობას „არ ეკადრება“ გაღარიბების გაპროტესტება და ესაჭიროება სოციალური უკმაყოფილების ერთგვარი „კონვერტირება“ პოლიტიკურ მოთხოვნებში, თუმცა დისკრედიტებული პოლიტიკური პარტიები ამ შესაძლებლობას ვერ სთავაზობენ.

უკმაყოფილების დაგროვება მკაფიო პროტესტის გამოხატვის გარეშე, ერთი მხრივ, საზოგადოებაში ნიჰილიზმს ამკვიდრებს, მეორე მხრივ კი, ათამამებს ოდესღაც საკმაოდ ფრთხილ ხელისუფლებას. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ მან კონსტიტუციის მორგება საკუთარ ინტერესებზე დაიწყო და გაცილებით თამამად განაგრძო სხვადასხვა ინსტიტუტების დამორჩილება. თუ ადრე ცდილობდა, რომ ჩინოვნიკების სახელფასო დანამატები, პრივილეგიები და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ღორული საქციელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ მოქცეულიყო, დღეს ეს ბარიერი, შეიძლება ითქვას, გადალახულია. მართალი იყო ჯონ დალბერგ-აქტონი: „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად“.

ტელეკომპანიები „იმედი“, „მაესტრო“ და „ჯი-დი-ესი“ ერთ ჰოლდინგში ერთიანდებიან. ცხადია, ეს კერძო ბიზნესია, თუმცა კომენტატორების უმრავლესობა ეჭვობს, რომ ამ ცვლილებების შემდეგ ხელისუფლების მოქმედების კრიტიკულ შეფასებას ამ მიმართულებიდან გაცილებით იშვიათად მოვისმენთ. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს , გარდაქმნის დასრულების შემდეგ იქ, დიდი ალბათობით, მიუკერძოებლობის ილუზიაც კი აღარ დარჩება. **„რუსთავი 2“-ს მოსახლეობის დიდი ნაწილი, უფრო სწორად, პრაქტიკულად ყველა, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების გარდა, სააკაშვილის პროპაგანდისტულ რუპორად აღიქვამს. შესაბამისად, მის გადაცემას ქიბარ ხალვაშისთვის და, სავარაუდოდ, „ბიძინიზაციას“ არ აპროტესტებს, თუმცა „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სხვა რამ — მიუხედავად იმისა, რა ფუნქციას ასრულებს ეს არხი, მისი მოქცევა ხელისუფლების გავლენის ქვეშ სრულად შეცვლის საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ფონს ქვეყანაში; „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო გათამამდება.**

გამორიცხული არაა, რომ ახლო მომავალში კრიტიკული მოსაზრებები ხელისუფლების მოქმედებებზე მხოლოდ დაბალრეიტინგულ ტელევიზიებში, ცალკეული ბლოგერების მიმართვებსა და ბეჭდურ მედიაში გამოიხატება. მოსახლეობას დარჩება შესაძლებლობა, გაეცნოს მათ მასალებს და გული იჯეროს ხელისუფლების ლანძღვით სოციალურ ქსელებში, მაგრამ ამას გაცილებით მოკრძალებული პოლიტიკური რეზონანსი ექნება. წამყვანი ტელეკომპანიების მოქცევა ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ (განსაკუთრებით ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებელი) ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ სისტემის მდგრადობას ტაქტიკურ პერსპექტივაში (თუმცა არა სტრატეგიულში) მკვეთრად გაზრდის.

ტრადიციულად, სოციალური თემატიკით ყველაზე ხშირად მემარცხენე პოლიტიკური ორგანიზაციები ოპერირებენ, თუმცა საქართველოში ეს ორი ძირითადი მიზეზის გამო არ ხდება. სააკაშვილის რეჟიმის პროპაგანდამ თავის დროზე თითქმის გაათანაბრა მემარცხენეობა კრემლის აგენტობასთან და ამან მოქალაქეთა ნაწილს გარკვეული პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პრობლემა შეუქმნა. მიუხედავად იმისა, რომ რეჟიმი დაემხო, ეს პროპაგანდისტული მესიჯი განეიტრალებული არ არის. ლეიბორისტულმა პარტიამ, რომლის გაძლიერებას თავის დროზე ხელი ედუარდ შევარდნაძემ შეუწყო, რათა კომუნისტური რევანშის თეორიული საფრთხეც კი გამოერიცხა, კარგად დაიწყო, თუმცა შემდგომ, ლიდერების შეცდომების გამო, დაუძლურდა და დღეს, ალბათ, უფრო ცოცხალ ანაქრონიზმს წარმოადგენს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უკლებრივ ყველა რეჟიმი ცდილობდა, მაქსიმალურად დაესუსტებინა პროფკავშირები და მოულოდნელი საფრთხის გაჩენა ამ მიმართულებიდანაც გამოირიცხა. თეორიულად ბირთვის როლი სერიოზული მემარცხენე ძალის ჩამოყალიბებისთვის შეიძლება ზოგიერთმა ახალგაზრდულმა ჯგუფმა („აუდიტორია 115” და სხვა) შეასრულოს, თუმცა სათანადო რესურსი ამისთვის მათ დღეს არ გააჩნიათ.

**ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, კარგად აცნობიერებს, რომ საზოგადოებაში არის მოთხოვნა ჯანსაღი მემარცხენე ძალის, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ახალი სოციალისტური პარტიის ფორმირებაზე.** ჯერ კიდევ პოლიტიკური კარიერის დასაწყისში, 2012 წლის არჩევნებამდე, მან რამდენიმე შეხვედრა გამართა მემარცხენე ჯგუფების ლიდერებთან, თუმცა, სავარაუდოდ, მალევე დარწმუნდა, რომ ამ მხრიდან მოულოდნელი საფრთხე არ გაჩნდება. სოციალური სიტუაციის დამძიმებისა და უკმაყოფილების ზრდის პარალელურად, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ ხელისუფლების მიერ ფორმალურად დამოუკიდებელი და რადიკალური, თუმცა რეალურად მარიონეტული მემარცხენე პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, მაგრამ ამის ალბათობა შედარებით მცირეა. მას, სავარაუდოდ, არ სურს, რომ სოციალური სამართლიანობის, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, დაქირავებულთა უფლებების თემები წინა პლანზე გამოვიდეს, მიუხედავად იმისა, ვინ გაახმიანებს მათ, რადგან დღევანდელი ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, მსხვილ ბანკირებსა და ბიზნესმენებს ეყრდნობა. მათი გადასახედიდან კი გაცილებით უსაფრთხოა, კვლავ დააკავონ მოსახლეობა დებატებით ორიენტაციაზე, საგარეო კურსსა და სხვა აბსტრაქტულ თემებზე, როგორც ეს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა, რათა მისმა გატაცებამ სოციალური სამართლიანობის იდეებით ქვეყნის ძარცვასა და გატყავებაში ხელი არ შეუშალოს.

საფრთხე ხელისუფლებას თეორიულად შეიძლება კონსერვატორებმაც შეუქმნან, მითუმეტეს, რომ ისინი ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ჰყავთ ძლიერი პარტია, რომელიც თანმიმდევრულად დაიცავს მათ ინტერესებს. თუკი ასეთი პარტია შეიქმნებოდა, ის, დიდი ალბათობით, ხელისუფლებაში მოვიდოდა. აქ ჩვენ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ, რომ პირველად წინააღმდეგობა სააკაშვილის რეჟიმს სწორედ კონსერვატიულად განწყობილმა მოქალაქეებმა გაუწიეს, მაშინ, როდესაც ლიბერალები მას ტაშს უკრავდნენ. სწორედ მათ შექმნეს დიდი ოპოზიციური გაერთიანების ბირთვი, ხელისუფლებაში მოიყვანეს კოალიცია „ქართული ოცნება“ და უკმაყოფილონი დარჩნენ, როდესაც დაინახეს, რომ მათი გამარჯვებით, უპირველესად, ლიბერალებმა (რესპუბლიკელებმა, არასამთავრობო სექტორის ზოგიერთმა წარმომადგენელმა და სხვ.) ისარგებლეს. მათი გაღიზიანება იმდენად საგრძნობი იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა, გაეთვალისწინებინა ის, როგორც ელექტორალური ფაქტორი, ლიბერალური ჯგუფებისგან გარკვეული დისტანცირება მოეხდინა და წინასაარჩევნოდ, ასე ვთქვათ, „წაეკონსერვატორა“. თუმცა კონსერვატიული საზოგადოებისთვის სასურველ, მეტწილად სიმბოლურ თითოეულ დათმობაზე (მაგალითად, კონსტიტუციაში ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის განსაზღვრაზე) მოდიოდა ათიოდე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც უცხოელი პარტნიორების მიერ მხარდაჭერილ ლიბერალებს აძლევდათ ხელს; კონსერვატორების ნაწილმა უკვე გაშიფრა ეს თამაში.

**მომავალი არჩევნები (როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი) უდიდეს იმედგაცრუებას მოიტანს. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ვერ იპოვის პარტიას, რომელსაც შეიძლება ხმა მისცეს და «ჩუმ ბოიკოტს» მიმართავს, რომელიც განსაკუთრებულს ვერაფერს შეცვლის**

დღეს მსოფლიოში წინა პლანზე კონსერვატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ძალები გამოდიან და ქართველ კონსერვატორებს ნამდვილად შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, პოზიციები გაიუმჯობესონ. ამ შემთხვევაშიც არ უნდა გამოვრიცხოთ მარიონეტული პარტიის შექმნის სცენარი, თუმცა ხელისუფლების რეაქცია ახალ მოთხოვნებზე, სავარაუდოდ, გახდება „ქართული ოცნების“ შემდგომი, მეტწილად გარეგნული „კონსერვატიზაცია“.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად, კლასიკური დაყოფის ფარგლებში, კონსერვატორები და სოციალისტები ერთმანეთთან დაპირისპირებულ ბანაკებს მიეკუთვნებიან, მათი იდეების გარკვეული სინთეზი მაინც შესაძლებელია, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც არა მხოლოდ რიგითი ამომრჩევლები, არამედ ექსპერტების ნაწილიც კი ვერ ერკვევა იდეოლოგიურ ნიუანსებში და გარკვეული იდეების შეუთავსებლობას ვერ აცნობიერებს. მარტივად რომ ვთქვათ, **ის, ვინც მოახერხებს სოციალური სამართლიანობის აღდგენის იდეის შერწყმას საზოგადოების კონსერვატიული ნაწილისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებთან და თანაც ასპარეზზე ახალ სახეებს გამოიყვანს, მომავალ არჩევნებს მოიგებს.** მაგრამ პრობლემა **ისაა, რომ ასეთი ძალის და, ზოგადად, ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესაძლებლობა ბლოკირებულია — იმ მოღვაწეებიდან, რომელთაც თეორიულად შეუძლიათ მსგავსი პროექტის რეალიზება, ზოგი ნაყიდია, ზოგი — დაშინებული, ზოგს კი სათანადო რესურსი არ აქვს. ეს კი, დიდი ალბათობით, იქამდე მიგვიყვანს, რომ მომავალი არჩევნები (როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი) უდიდეს იმედგაცრუებას მოიტანს. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ვერ იპოვის პარტიას, რომელსაც შეიძლება ხმა მისცეს და „ჩუმ ბოიკოტს“ მიმართავს, რომელიც განსაკუთრებულს ვერაფერს შეცვლის.**

**ის, ვინც მოახერხებს სოციალური სამართლიანობის აღდგენის იდეის შერწყმას საზოგადოების კონსერვატიული ნაწილისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებთან და თანაც ასპარეზზე ახალ სახეებს გამოიყვანს, მომავალ არჩევნებს მოიგებს**

ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ შექმნილი მდგომარეობა გამოუვალია და ის მართალაც დარჩება ასეთად, თუ საზოგადოების თითოეული წევრი არ ისწავლის ინიციატივის საკუთარ თავზე აღებას. ახალ, ჯანსაღ პოლიტიკურ პარტიას „ზემოდან“ არავინ შექმნის და, ეს რომც მოხდეს პოლიტიკური ელიტის დღევანდელი მდგომარეობის გათვლისწინებით, ის, უბრალოდ, ვერ იქნება ჯანსაღი. ასეთი პარტია (პარტიები) შეიძლება მხოლოდ „ქვემოდან“ შეიქმნას, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქართველებს თვითორგანიზებასთან ძალიან სერიოზული პრობლემები გვაქვს. თუმცა, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა შანსი ამ ეტაპზე არ არსებობს, ხოლო ცდა ბედის მონახევრეა.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კლერიკალიზმის საფუძველზე აშენებულ ახალგაზრდა და ვითომ დემოკრატიულ რესპუბლიკას სწორედ ნარკომანი ან ყოფილი ნარკომანი მღვდლები, ქურდები ან ყოფილი ქურდები, ნაძირალები ჰყავს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში და სოფლებში დასაყრდენ ძალად და სწორედ მათი შერჩეული და მათგან მხარდაჭერილი უღირსი ადამიანები ავსებენ სახელმწიფო სტრუქტურებს.**

# ხალხმა უნდა ჩაატაროს რუის-ურბნისის კიდევ ერთი კრება და გაიწმინდება საქართველოს ეკლესიის ავგიას თავლა

**ქართველი საზოგადოება შეშფოთებით ადევნებს თვალს ქართულ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს. ვერც მე დავრჩი გულგრილი და ამ წერილით შევეცადე, გამოვხმაურებოდი ე.წ. ციანიდის საქმეს და ჩემი შეფასებები გამეზიარებინა „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველისთვის.**

ჩემმა საგაზეთო სტატიებმა, რომლებშიც ფაქტების დემონსტრირებით ვცადე სიცრუეზე აგებული ე.წ. დიდი ტერორის გამომწვევი მიზეზებისა და მისი უკიდურესად მძიმე შედეგების გამომზეურება, მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გამოქვეყნებული მასალა მომავალი დიქტატურისა და რეპრესიების სრულფასოვანი სცენარია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდ ქაოსს დიდი ტერორი მოჰყვება. თანამედროვე მკვლევარები და ისტორიკოსები უკვე იმაზე კი არ დავობენ, რატომ დაიღვარა ამდენი სისხლი 1937-იან წლებში, არამედ იმაზე, — რამ მიიყვანა საზოგადოება ასეთ შურისძიებამდე.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, 37 წელი სტალინის ლიბერალიზმით არის გამოწვეული და ამის დამადასტურებლად ხშირად იმოწმებენ სსრკის სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრ **ბენედიქტოვს**, რომელმაც პოლიტბიუროს სხდომაზე განაცხადა: „ლენინის მთავრობაში ყველაზე დიდი ლიბერალი სტალინი იყო".

ათას დანაშაულზე ნაცარგადამყრელი საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა ფაქტის წინაშე დადგა და ამ აგიზგიზებულ ხანძარს ნაცარს ვეღარ გადააყრის — სურთ თუ არა, დანაშაულს ნათელი უნდა მოეფინოს. დანაშაული კი ისეთი მასშტაბურია, რომ მისი სრული გამოძიება, ფაქტობრივად, 1937 წლის განმეორება იქნება საქართველოში.

დანაშაულში ჩართულია სამი სუბიექტი: ხელისუფლება, ყოფილი ხელისუფლება და თავის ნებაზე მიშვებული საქართველოს ეკლესია.

**პირველი.** ხელისუფლება თავიდან იშორებს ყველაზე დიდ საფრთხეს და სურვილი აქვს, ჩამოხსნას დამოკლეს მახვილი — მოიშოროს პატრიარქი.

**მეორე.** ყოფილ ხელისუფლებას — საუკუნის ტერორისტული აქტით სურდა, გზა გადაეღობა საქართველოსთვის ევროკავშირის არათუ წევრობისკენ მიმავალ გზაზე, არამედ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის სინამდვილედ, ქცევაშიც კი. ქვეყანა ჩამოეშორებინათ ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის და ეს ექციათ გადაულახავ ზღუდედ ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის, რაც ქვეყნის სათავეში მათი დაბრუნების უალტერნატივო გზა იქნებოდა.

**მესამე.** საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მისი ძირითადი ბირთვი ყველა ჯურის დამნაშავეს საპროცესო გარიგებას უფორმებს ღმერთთან. მათ მიერ ეკლესიების მსგავსი ნაგებობების აშენებით გარკვეულ კაპიტალს უმატებენ თავიანთ კაპიტალს და თავიანთი დაბალი ცოდნითა და კულტურით თავს ულაყებენ ისედაც თავგამოლაყებული მრევლის უმრავლესობას.

**კლერიკალიზმის საფუძველზე აშენებულ ახალგაზრდა და ვითომ დემოკრატიულ რესპუბლიკას სწორედ ნარკომანი ან ყოფილი ნარკომანი მღვდლები, ქურდები ან ყოფილი ქურდები, ნაძირალები ჰყავს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში და სოფლებში დასაყრდენ ძალად და სწორედ მათი შერჩეული და მათგან მხარდაჭერილი უღირსი ადამიანები ავსებენ სახელმწიფო სტრუქტურებს. პარლამენტსა და მთავრობის გარეთ კი რჩებიან ქართველი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს დაამშვენებდნენ.**



საქმიანობა ბრალდებულთა სამი შტოსი, რომლებსაც თანაბარი წვლილი შეაქვთ ამ უბინძურესი საქმის განხორციელებაში, უფრო ნათელი იქნება ათეული წლების შემდეგ, როგორც 1937 წლის მოვლენები, მაგრამ დღესაც შეიძლება ხელისუფლებისთვის რჩევის მიცემა, რომ:

უდიდესი დანაშაული, რომელიც მოხდა, მიუხედავად იმისა, დასრულდა თუ არა იგი უბედური შემთხვევით, ხელისუფლებამ უნდა დაიყვანოს ერთ სუბიექტამდე და, თუ ის იქნება დეკანოზი **მამალაძე**, თუ მას დაუმტკიცდება აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მცდელობა, მას უნდა განესაზღვროს სასჯელის უმაღლესი ზომა და, რადგან ეს ზომა დღევანდელი კონსტიტუციით არ მოქმედებს, სამუდამოდ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება.

როცა უცხო ქვეყანაში სარეცელზე მწოლ 80 წელს გადაცილებულ ავადმყოფ პატრიარქთან მისასვლელად ემზადება უახლოესი თანამებრძოლი საწამლავით ხელში, ამისთვის ეს „თანამებრძოლი" სათანადოდ უნდა დაისაჯოს.

და, თუ ხელისუფლება შეეცდება, დანაშაული სრული სახით წარუდგინოს საზოგადოებას, საზოგადოების წარმომადგენელთაგან უნდა შეიქმნას ნაფიც მსაჯულთა საბჭო, რომელმაც სრულად უნდა გააკონტროლოს როგორც ხალხის მიერ „არჩეული" ხელისუფლების გამოძიების მიმდინარეობა, აგრეთვე, ოკეანისგაღმელთა მიერ ხელდასხმული ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი კვალის შეგნებულად გადაფარვის მცდელობა, რადგან ეს კვალი შეიძლება მართლმადიდებლობის მოძულე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესამდე მიდიოდეს.

ბოლო პერიოდში ხშირად გაისმოდა მოწოდება, რომ საზოგადოებამ ხელისუფლებას უნდა მოუწყოს სამსჯავრო, მაგრამ ხალხმა ამ მიზნის განხორციელება ამერიკის აქტიურად ჩარევის გამო ვერ შეძლო.

ახლა კი **დროა, საზოგადოებამ მოუწყოს ხალხის სამსჯავრო ძველი და ახალი ხელისუფლების, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიის უღირს წარმომადგენლებს. სწორედ ხალხმა უნდა ჩაატაროს რუის-ურბნისის კიდევ ერთი კრება და გაიწმინდება ქართული ეკლესიის ავგიის თავლა იმ ბინძური ადამიანებისგან, რომლებიც წამლავენ საზოგადოებას თავიანთი ყალბი ავტორიტეტით და ბოროტად იყენებენ ნახევრად ღმერთკაცის, მართლმადიდებლობის ერთ-ერთი გადამრჩენისა და ამღორძინებლის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელს.**

მეუფეები შავი ჯიპებიდან ჯორებზე უნდა გადავსხათ, ხოლო მრევლის უმრავლესობას, სანთელთან ერთად, ხელში ბარი, თოხი, ურო და ჩაქუჩი უნდა დავაკავებინოთ და შევუდგეთ ახალი ქვეყნის მშენებლობას.

კონსტიტუციით, ეკლესია გამიჯნულია სახელმწიფოსგან და ამიტომ ღვთისმსახურებს კატეგორიულად უნდა აეკრძალოთ საერო საქმეებში ჩარევა და მრევლისთვის თავიანთი აზრის თავსმოხვევა ქრისტეს სახელით. მღვდელმა მრევლს ათი მცნება უნდა ასწავლოს და არა ის, ვის მისცეს ხმა არჩევნებში.

ამდენი ღვთისმსახური არ გვჭირდება, არც ამდენი ეკლესია. ქართული ეკლესია უნდა განაგებდეს ერთ სასულიერო აკადემიას და ორ-სამ სემინარიას. ბავშვთა ძირითადი აღზრდა უნდა მივანდოთ სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებებს და სკოლებს, რომლებშიც მათ აღზრდას უნდა ემსახურებოდეს ეროვნულ პრინციპებზე და არა „ზოგად უნარ-ჩვევებზე" აღზრდილი და ცოდნამიღებული მასწავლებელი.

ჩვენ უნდა აღვადგინოთ დიდი **ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ანდრია რაზმაძის, ივანე ბერიტაშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, კოტე მარჯანიშვილის, აკაკი ხორავას, ლადო გუდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ხერგიანისა** და სხვათა მსოფლიო მნიშვნელობის სკოლები.

საქართველოში უნდა აღორძინდეს პატრიოტიზმი, მეგობრობა, მეზობლობა, მრავალშვილიანობა, შრომისა და სწავლისადმი სიყვარული. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ის დიდება, რომელიც გვქონდა წარსულში, გვქონდა ორმოცდაათიოდე წლის წინათ.

**გრიგოლ ონიანი**

# პრეზიდენტიც ამას ჰქვია: მოლდოვის პრეზიდენტმა აშშ-ისა და რუმინეთის ელჩებს კატეგორიულად მოსთხოვა, არ ჩაერიონ რესპუბლიკის მეთაურის საქმიანობაში



იგორ დოდონი

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები თვალებში შესციცინებენ ამერიკელ პატრონებს; თბილი სავარძლების დაკარგვის შიშით, მათ მითითებებს უსიტყვოდ ასრულებენ და სულაც არ აინტერესებთ, რა შედეგს მოუტანს გარედან თავსმოხვეული ესა თუ ის გადაწყვეტილება საქართველოს, ქართველ ხალხს. სულ სხვანაირად იქცევა მოლდოვის პრეზიდენტი იგორ დოდონი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ კატეგორიულად მოსთხოვა აშშ-ისა და რუმინეთის ელჩებს — ჯეიმს პეტიტსა და დანიელ იონიცეს, არ ჩაერიონ რესპუბლიკის მეთაურის საქმიანობაში.**



დანიელ იონიცე



ჯეიმს პეტიტი

26 თებერვალს მოლდოვურმა ინტერნეტგამოცემა Independent-მა გამოაქვეყნა პრეზიდენტ დოდონის წერილი დიპლომატებისადმი. გამოცემამ, აგრეთვე, გამოაქვეყნა მოლდოვაში ამერიკისა და რუმინეთის ელჩების წერილი, რომლითაც მათ პრეზიდენტ დოდონს მიმართეს.

ამერიკისა და რუმინეთის ელჩებმა სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ დოდონმა მოლდოველ სამხედრო მოსამსახურეებს აუკრძალა იმ სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა, რომელიც 20 თებერვლიდან 1 მარტამდე იმართებოდა სასწავლო ცენტრ სმარდანში — მოლდოვას საზღვარზე. ამ სწავლებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის, ბულგარეთის, მაკედონიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის, სერბეთის, სლოვენიისა და უკრაინის სამხედროები.

**პეტიტმა** და **იონიცემ** „არამეგობრულ საქციელში" დაადანაშაულეს დოდონი და გააფრთხილეს, რომ ამ ჟესტის გამო „მოლდოვის არმია ვერ მიიღებს სათანადო მომზადებას", რადგან „ეს მომზადება 80%-ით ეფუძნება ასეთ სწავლებაში მონაწილეობას".

საპასუხო წერილში დოდონმა ელჩებს შეახსენა, რომ **„რესპუბლიკა მოლდოვა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა" და რომ „პრეზიდენტის აპარატი თავის მოღვაწეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე ქვეყნის გარედან არ მიიღებს კომენტარებსა და ზნეობის სწავლებას".**

„გთხოვთ, ნუ მოძღვრავთ პრეზიდენტს, როგორ მოიქცეს, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ეხება, აგრეთვე, სხვა სფეროებში. არ ვფიქრობ, რომ ქვეყნებში, რომლებსაც თქვენ წარმოადგენთ, ამა თუ იმ ელჩს შეუძლია პრეზიდენტის მოქმედების კომენტირება, განსაკუთრებით იმ საკითხში, რომელიც შეიარაღებული ძალების დისლოკაციას ეხება. საინტერესო იქნებოდა თეთრი სახლის ან კოტროჩენის სასახლის (პრეზიდენტის სასახლე ბუქარესტში) რეაქცია ვაშინგტონში ან ბუქარესტში მოლდოვის ელჩის ანალოგიურ კომენტარზე", — განაცხადა დოდონმა.

**ახლა წარმოიდგინეთ, როგორ მოიქცეოდა საქართველოს პრეზიდენტი მარგველაშვილი ან პრემიერმინისტრი კვირიკაშვილი, მათთვის ანალოგიური წერილით რომ მიემართა აშშ-ის ელჩს...**

**ნიკა კორინთელი**

**გლობალიზაცია ამერიკულად ნიშნავდა და ნიშნავს მსოფლიოს ერთპოლუსიანობას, ამერიკელთა მიერ ამ პოლუსზე სამუდამო ყოფნას, მხოლოდ ამერიკულის და არა სხვისი კულტურის, ხელოვნების, ცხოვრების წესის, პოლიტიკის თაყვანისცემას, მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოსა და ხალხის ამერიკისადმი მორჩილებას.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წერილის დასაწყისშივე ვეტყვი მკითხველს, რომ არც რუსეთის მოტრფიალე ვარ და არც მისი პოლიტიკოსების, მაგრამ ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანში, და მეც ასეთად ვთვლი საკუთარ თავს, უკურეაქციას იწვევს ამ ქვეყნისა და მისი პოლიტიკოსების მიმართ გამოთქმული ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი განცხადებები, რომლებსაც ხშირად აკეთებენ საქართველოს პოლიტიკოსები, ხელისუფლება-ოპოზიცია, ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდება, რომ ცილისმწამებლური გამონათქვამები, ფართო საზოგადოებისთვის გამიზნული, იშვიათად თუ აღწევს იმ მიზანს, რომლისთვისაც ზემონახსენები კატეგორია ტყვიამფრქვევივით აფრქვევს მათ საკუთარი ბაგეებიდან.**

# ლავროვამდე ეს ყველაფერი ამერიკელებმა თქვეს



ჰამლეტ ჭიპაშვილი

**რა არის ლავროვის ნათქვამში ასაღელვებელი? რაც მან თქვა, ფაქტია, თანაც ისეთი, რომ ცნობილი ამერიკელი ექსპერტებიც კი წერდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ჯეიმს ჯატრასმა, წიგნიც გამოსცა, რომელშიც წერს სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტერორისტულ თავყრილობებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ «ალ ქაიდას» წარმომადგენლები**

სიმართლე არ იმალება და საზოგადოებას მათ საწინააღმდეგოდ განაწყობს, ვინც ანტირუსულად აპირებდა ხალხის დარაზმვას. ცხადია, არიან პროპაგანდას აყოლილი და დაბეჩავებული ადამიანებიც, რომლებიც აბაზანის ღრუბელივით ისრუტავენ ყოველივე ანტირუსულს, ვინაიდან ისინი, კარგა ხანია, დაპროგრამებულები არიან და მათ აზროვნებაში სინათლის შეტანა გადაუჭრელი პრობლემაა. ისინი ასეთად დარჩებიან, თანაც სამარადისოდ, ვინაიდან ასე სურთ. დანარჩენ ჯანსაღ ნაწილს კი უდავოდ სჭირდება გაფრთხილება, შიგადაშიგ სინამდვილის მიწოდება, რათა ეს ჯანსაღი ნაწილიც არაჯანსაღად, რუსოფობიით დაავადებულად არ გადაიქცეს.

თუ რატომ არის „ჯანსაღის" გაფრთხილება საჭირო მათი მხრიდან, ვისაც საზოგადოებისთვის ჭეშმარიტების მიწოდება აქვს განზრახული, ღრმა ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს. მარტივად შეიძლება ითქვას: საზოგადოების ცნობიერების დაცვა სარეველისგან, ჭორიკნობისგან, რუსთა სამუდამო მტრობისგან ქართველთა დასახსნელად.

საქართველოს ბედმა არგუნა ის გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც არის. საქართველოს ბედმა არგუნა მეზობლები, რომლებიც ჰყავს. საქართველოს ბედმა არგუნა ჩრდილოეთიდან რუსეთის მეზობლობა, რომელსაც საფუძველი მრავალი საუკუნის წინათ ჩაეყარა. საქართველოს ბედმა არგუნა ამ დიდ მეზობელთან პოზიტიური თუ ნეგატიური ურთიერთობები, რომელთა შორის პოზიტიური ჭარბობდა. საქართველოს ბედმა, მე ვიტყოდი, ღმერთმა მეზობლად არგუნა უდიდესი მართლმადიდებლური სახელმწიფო, რომელსაც სიტყვა ეთქმის მსოფლიოში. საქართველოს ბედმა არგუნა ე.წ. პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, წვრილფეხა ექსპერტობა, რომლებიც განაქიქებენ რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული, დღევანდელობით დამთავრებული, მსოფლიო თავდავიწყებით მიექანებოდა გლობალიზაციის, ამ უაღრესად გადამდები და მავნე სენის განვითარება-განმტკიცებისკენ. **გლობალიზაცია ამერიკულად ნიშნავდა და ნიშნავს მსოფლიოს ერთპოლუსიანობას, ამერიკელთა მიერ ამ პოლუსზე სამუდამო ყოფნას, მხოლოდ ამერიკულის და არა სხვისი კულტურის, ხელოვნების, ცხოვრების წესის, პოლტიკის თაყვანისცემას, მსოფლიოში არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოსა და ხალხის ამერიკისადმი მორჩილებას.**

პრეზიდენტ ობამას საყვარელი გამოთქმა იყო: „აშშ ყველასგან განსხვავებული, პრიორიტეტული სახელმწიფოა", რაც გაღიზიანებას იწვევს სხვა ხალხებში, მათ შორის რუსებში, ჩინელებში, ინდოელებში და ა.შ. გაღიზიანებასთან ერთად მათ მეტოქეობის განცდაც გაუჩნდათ და, სულ რაღაც, 20-30-წლიანი ერთპოლუსიანობის, ერთმმართველობის სისტემას წყალი შეუდგა. მართალია, ეს პროცესი გრძელდება, მაგრამ მსოფლიოს მხოლოდ ვაშინგტონიდან მართვა აღარ იქნება. პასუხისმგებლობას სხვებიც დაიკისრებენ.

ანტიგლობალიზაციამ წამოატივტივა პოლიტიკოსები, რომლებიც ეროვნულს ამჯობინებენ გლობალურს. **ტრამპმა** გაიმარჯვა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში, საფრანგეთში **მარინ ლე პენი** ლიდერობს საპრეზიდენტო არჩევნებში, ბრიტანეთი ტოვებს ევროკავშირის დიქტატს და ა.შ. მსოფლიოში იგრძნობა ახალი წესების დამკვიდრების სურნელი. ძნელად, მაგრამ მაინც უკან იხევს ლიბერტარიანიზმი, გლობალიზაცია — ერთიცა და მეორეც, გაქრობით რომ ემუქრებოდა მცირე ერებს, მათ შორის, ჩვენც. მათ ადგილს ეროვნულობა იკავებს.

უაღრესად რთულ პროცესს, რომელშიც ძალაუნებურად ვართ ჩართული, სხვაგვარი აზროვნება სჭირდება, ისეთი, რომელიც გააძლებინებს ქვეყანას და მძიმე ტრანსფორმაციის წლებს ნაკლები დანაკარგებით გადაატანინებს. შეძლებს თუ არა ისეთი მცირერიცხოვანი ერი, როგორიც ჩვენია, ამ გამოცდის ჩაბარებას?

შეძლებს, ოღონდ მან უნდა შეიცვალოს აზროვნება, ცუდსა და კარგს შორის განსხვავების ხელოვნებას უნდა დაეუფლოს, გახდეს თვითკრიტიკული, შეიძინოს ანალიზის უნარი. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაეუფლოს ყველასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან გონივრული ურთიერთობების ხელოვნებას. ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს ლანძღვა-გინებაზე, შეურაცხყოფაზე, რასაც რეგულარულად მიმართავს დღეს. წამითაც არ დაუშვას ისეთი გამონათქვამი, როგორიცაა: **„საქართველოს ასეთი ოდიოზური ფიგურების ოდიოზურ განცხადებებზე თავის გასამართლებელი არაფერი სჭირს". ოდიოზურ ფიგურად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვია ნაგულისხმევი. ამ გამონათქვამის ავტორია საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი (ასეა მოხსენიებული „რადიო თავისუფლების" მიერ) გიორგი გობრონიძე, რომელიც განმარტავდა ლავროვის განცხადებას მიუნხენში.**

სხვათა შორის, მიუნხენის კონფერენციაზე ლავროვის განცხადებებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოში. მაინც რამ ააღელვა ქართული პოლიტიკა და მედია?

იმან ხომ არა, ლავროვმა რომ თქვა ექსტრემისტები, ტერორისტები და ნარკომოვაჭრეები ამიერკავკასიას ხშირად იყენებენ თავიანთ მარშრუტებშიო? **„როდესაც ჩვენ დავალაგებთ სრულფასოვან ურთიერთობებს რუსულ-ქართულ სამართალდამცავ ორგანიზაციებს შორის, როდესაც ყველა ეს რისკი ორივე მხრიდან მაქსიმალურად იქნება აღკვეთილი, მაშინ, ალბათ, შესაძლებელი იქნება, ვილაპარაკოთ სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე. ასეთი თანამშრომლობის დალაგება რთულია, დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობის პირობებში",** – თქვა ლავროვმა.

რა არის ლავროვის ნათქვამში ასაღელვებელი? რაც მან თქვა, ფაქტია, თანაც ისეთი, რომ ცნობილი ამერიკელი ექსპერტებიც კი წერდნენ. **ერთ-ერთმა მათგანმა, ჯეიმს ჯატრასმა, წიგნიც გამოსცა, რომლეშიც წერს სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში საქართველოში გამართულ საერთაშორისო ტერორისტულ თავყრილობებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ „ალ ქაიდას" წარმომადგენლები.**

საქართველოში გამართული შეკრებების ორგანიზება შსს-ს მაღალჩინოსანს (მინისტრის მოადგილეს) — **ლორთქიფანიძეს** ჰქონდა მინდობილი. ცნობილია პანკისსა და სხვაგან ტერორისტების წვრთნისა და რეაბილიტაციის თემებიც და ისიც, რამდენი „ბოევიკი" იბრძოდა და იბრძვის სირია-ერაყში „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს. ისიც ცნობილია, რომ არაბი თუ სხვა ქვეყნის ტერორისტები როგორ იყენებდნენ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად.

გავიმეორებ: ლავროვამდე ეს ყველაფერი ამერიკელებმა თქვეს. რაც შეეხება ქართული და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლობას, ცხადია, შესაძლებელია, თუ ქართული მხარე ამ საკითხს, ანუ ტერორიზმთან ბრძოლას სერიოზულად მიუდგება, რისი დიდი ეჭვი მაქვს.

გავიხსენოთ სტამბოლის ხელშეკრულება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. იმხანად რუსეთმა დათმო იმის იმედით, რომ ბათუმის სამხედრო ბაზა გადაკეთდებოდა ტერორიზმთან ბრძოლის საქართველო-რუსეთის ერთობლივ ცენტრად. სტამბოლის შემდეგ მოსკოვს სტუმრობდა საქართველოს იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი **სალომე ზურაბიშვილი.** ვიზიტისას შემუშავდა მემორანდუმი, რომელშიც ჩაიწერა აღნიშნული ცენტრის შექმნის თაობაზე. ქართულმა მხარემ დაპირება არ შეასრულა, რაც უარყოფითად შეაფასეს მოსკოვში.

ტერორიზმი უცხო არ არის საქართველოსთვის. ისიც **ცნობილია, რამდენი პანკისელი, ქვემო ქართლელი ან აჭარელი იბრძვის სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს და ამის შემდეგ გულის გასახეთქად უნდა მოგვეჩვენოს ლავროვის ნათქვამი?**

სრულიად უადგილოდ მიმაჩნია ტურიზმის ზრდის მოშველიება — აქაოდა, აქ ტერორიზმი რომ ყვაოდეს, ტურისტების ნაკადი არ გაიზრდებოდაო! ტურისტების ნაკადი არც საფრანგეთში და არც გერმანიაში არ შემცირებულა, მიუხედავად ტერორისტული აქტებისა.

ლავროვს არ უთქვამს, რომ საქართველოში ტერორისტულ აქტებს აწყობენ. მან თქვა ის, რაც თქვა. რაც შეეხება სავიზო რეჟიმის გაუქმებას, არ შემოგვეღო სავიზო რეჟიმი და რუსეთთან დღეს უვიზო მიმოსვლა იქნებოდა. ჩვენ დაგვავიწყდა, რა უძღვოდა სავიზო რეჟიმის შემოღებას წინ — „მოქალაქეთა კავშირის" ახალგაზრდული ფრთის დაჟინებული მოთხოვნა რუსეთთან ვიზების შემოღების თაობაზე.

აღნიშნულის სულისჩამდგმელი გახლდათ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **რევაზ ადამია.** ის და მისი კოლეგა ე.წ. რეფორმატორები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ნამდვილი სუვერენიტეტისთვის საჭირო იყო რუსეთის გავლენიდან გამოსვლა, დისტანცირება, ამისთვის კი სავიზო რეჟიმის შემოღება იყო აუცილებელი.

საქართველოს გადაწყვეტილებით შეშფოთებულმა რუსეთის ელჩმა საქართველოში **სტანევსკიმ** ჩემთან საუბრისას განაცხადა, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ცუდად იმოქმედებს ორი ქვეყნის ურთიერთობებზე და რომ ის კატეგორიული წინააღმდეგია ამისა.

1999 წლის შემოდგომაზე, რუსეთის მხარის თხოვნით, მოსკოვში გაიმართა რუსეთ-საქართველოს საგარეო საქმეთა ექსპერტების შეხვედრა, რომლის დროსაც ქართულმა მხარემ დაადასტურა სავიზო რეჟიმის შემოღების სურვილი. რუსული მხარის მოთხოვნით, დაიგეგმა მეორე შეხვედრაც, რომელზეც ქართულმა მხარემ „დააგვიანა" ჩასვლა მოსკოვში, რის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მთავრობას წარუდგინა თავისი მოსაზრება, ქართული მხარის მოთხოვნიდან გამომდინარე.

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოსკოვმა წინადადებით მიმართა ქართულ მხარეს, დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მქონე პირთათვის მაინც შენარჩუნებულიყო უვიზო მიმოსვლა, მაგრამ ქართულმა მხარემ ამაზეც უარი თქვა. ასე და ამრიგად, ორ ქვეყანას შორის დაწესდა სავიზო რეჟიმი, რომელმაც უდავოდ დააშორა ერთმანეთს ეს ორი ქვეყანა, რითაც გული გაუხარა „მოქალაქეთა კავშირის" ახალგაზრდა რეფორმატორების ამერიკელ მასწავლებლებს, რომელთა კარნახით განხორციელდა სავიზო რეჟიმის შემოღება.

ვიზის შემოღებით შეღონებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ხელისუფლების მიმართ გულისწყრომა გამოთქვეს, გადაბრალების დიდოსტატმა საქართველოს ხელისუფლებამ კი ყველაფერი მოსკოვს დააბრალა.

თუ ეს ტყუილი იმხანად გაოცებას იწვევდა, 2008 წლის ტყუილმა საქართველოზე რუსეთის თავდასხმის შესახებ უკვე ეჭვი გააჩინა, მაგრამ მძლავრი დასავლური და ადგილობრივი პროპაგანდის წყალობით, ბევრმა დაიჯერა, თუმცა იყვნენ და არიან ისეთებიც, ვისაც ეს არ სჯერა. არადა, რაღა უნდა აეჭვებდეთ ევროკავშირის სპეცსაგამოძიებო კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ? — არც არაფერი. ყველაფერი ნათელია: ომი სააკაშვილმა დაიწყო და მის თავდასხმას მძინარე ცხინვალზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

ამ და სხვა საკითხებს იძიებს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი **ფატუ ბენსუდა**, რომელსაც რუსეთი არ ცნობს, ვინაიდან მან არ მიიღო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ მომზადებული დოკუმენტები. ლავროვმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში გამოძიება იქნება ცალმხრივი და შორს სინამდვილისგან, ამიტომ რუსეთი უნდობლობას უცხადებს ბენსუდას.

ლავროვის „ოდიოზურობის" სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მაგრამ შორს წაგვიყვანს და საზოგადოებას — შეგნებულსა და მოაზროვნეს, უდავოდ გაუჩენს საწინააღმდეგო აზრს — იქნებ ჩვენი პოლიტიკაა ოდიოზური და არა სხვისი, რომელსაც, თვითონ ოდიოზური, ოდიოზურობას სწამებს?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არსებული კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში ბანკების საქმიანობაშიც ვერ მოვახერხებთ ძირფესვიანი ცვლილებების განხორციელებას. კახა ბენდუქიძემ საბანკო სექტორის ისეთი ლიბერალიზაცია განახორციელა, რომ ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი ბანკები რეკორდულ მოგებას ნახულობენ. გამოდის, რომ ეს არის ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის დიქტატი. საინტერესოა ისიც, რომ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა საგადასახადო სფეროში, ფაქტობრივად, არ განსხვავდება“.**

# «გამოვიდა ეს ნიგერიელი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა მიჩვენა, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ ნიკო ჭავჭავაძე იყო»




## «მიწის გაყიდვის აკრძალვასთან ერთად, ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ საკითხზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მიღებას გაართულებს»

**27 თებერვალს სასტუმრო „ვერე პალასში“ „გლობალური კვლევების ცენტრის“ ინიციატივით საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე გაიმართა საექსპერტო შეხვედრა, რომელსაც საგანგებოდ მოწვეული საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიის წევრები და ექსპერტები ესწრებოდნენ. „გლობალური კვლევების ცენტრი“ ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერ აქტუალურ მოვლენას ეხმიანება და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად საკითხის დადებით და უარყოფით მხარეებს განიხილავს. საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე ამჯერად გიორგი ახვლედიანმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, პეტრე მამრაძემ, იოსებ არჩვაძემ, გიორგი მდივანმა და ვასილ კაპანაძემ იმსჯელეს.**





**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

„დღევანდელი საექსპერტო სემინარის თემა საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. მოგეხსენებათ, ამ საკითხზე ახლა საკონსტიტუციო კომისია მუშაობს და, შესაბამისად, ჩვენ სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები მოვიწვიეთ, რათა მიგვეღო რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს აღნიშნულ საკონსტიტუციო შესწორებებზე მუშაობა“.

**გიორგი ახვლედიანი, „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:**

„როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვმსჯელობთ, გამოკვეთილად ჩანს სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა განხორციელებაც სურს „ქართულ ოცნებას“.

**პირველი — პარლამენტი გადმოვიდეს ქუთაისიდან თბილისში.** ოღონდ „ქართული ოცნება“ აქაც ცდილობს, პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და ეს საკონსტიტუციო კომისიას „დაბრალდეს“.

**მეორე საკითხი — სურთ პრეზიდენტის არჩევითობის უფლებამოსილების გაუქმება.** პრეზიდენტს სათითაოდ ართმევენ უფლებებს, რათა ბოლოს ხალხმა თქვას, — თუ არავითარი ფუნქცია არ აქვს და მხოლოდ ჯილდოების მინიჭება შეუძლია, რისთვის ავირჩიეთო. უნდათ, ეს განწყობა შეუქმნან საზოგადოებას. არადა, ვფიქრობ, პირიქით — პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა გაიზარდოს, რადგან პრეზიდენტის არჩევითობა მეტად უნდა შეესაბამებოდეს მის უფლებამოსილებას. პრეზიდენტს, რომელიც პირდაპირი წესით არის არჩეული ქვეყნის მოქალაქეების მიერ, თავისი ამომრჩევლების მიმართ ქმედითი საქმიანობის განხორციელება უნდა შეეძლოს. ხელისუფლებას კი სურს პრეზიდენტის არჩევითობის წესის შეცვლა, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა დანიშნოს. თუმცა ხედავთ, რომ დღევანდელი კონსტიტუცია იდეალურია ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც ავტორიტარი მართავს — როდესაც სრული ძალაუფლება აქვს პრემიერს და პარლამენტს, ხოლო პრეზიდენტი სრულიად უუფლებოა.

წესით, ბიძინა ივანიშვილისთვის ასეთი საპრეზიდენტო მოდელი საფრთხის შემცველი არ უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ცვლილებების სურვილს პირადი წყენა და მიზეზი განაპირობებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტი არის ადამიანი, რომელიც უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოში სამ-სამ წევრს ნიშნავს, ამიტომ პრეზიდენტი აუცილებლად უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა.

და **მესამე საკითხი**, რომლის გადაწყვეტაც ხელისუფლებას სურს, არის **საარჩევნო ბლოკის შექმნის შესაძლებლობის გაუქმება, რათა პარტიებმა მხოლოდ ინდივიდუალურ რეჟიმში იმუშაონ.** არგუმენტი ერთადერთია, თითქოს ეს ყველაფერი პოლიტიკური პარტიების განვითარებას შეუწყობს ხელს. საგულისხმოა, რომ ამას ამბობს პარტია, რომელიც ამგვარი საარჩევნო ბლოკით მოვიდა ხელისუფლებაში. ეს იმის მაჩვენებლია, რომ მათ კონკურენტების შიში აქვთ.

ეს სამი ძირეული საკითხი აინტერესებს დღეს ხელისუფლებას და ვფიქრობ, ალბათ, საბოლოოდ, ქორწინების საკითხის დარეგულირებით გადაფარავენ აღნიშნულ არაპოპულარულ საკითხებს.

**უახლოეს დღეებში პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ერთგვარ ულტიმატუმს წარვუდგენთ ხელისუფლებას, თუ აპირებენ მხოლოდ მაჟორიტარული სისტემის დატოვებას, პრეზიდენტის არჩევითობისა და საარჩევნო ბლოკების გაუქმებას, საკონსტიტუციო კომისიას ჩვენ ბოიკოტს გამოვუცხადებთ.**

აქვე მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო, რომელიც მიწის გაყიდვის პრობლემას უკავშირდება და რომელიც დასარეგულირებელია. რამდენიმე წლის წინათ ქუთაისისკენ, წყალწითელას ხეობაში, სადაც ზაფხულში, ფაქტობრივად, მთელი ქუთაისი ისვენებდა, მიწის ფართობი გაიყიდა. ეს მიწა შეიძინა ორმა ნიგერიელმა და იქ საღორე გააკეთა. ბუნებრივია, ეს მოსახლეობამ გააპროტესტა, მაგრამ, როდესაც ადგილზე ჩავედი, გამოვიდა ეს ნიგერიელი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა მიჩვენა, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ ის **ნიკო ჭავჭავაძე** იყო. ქვეყნის მოქალაქეა უკვე და ველარ შეედავები. აქედან გამომდინარე, მიწის გაყიდვის აკრძალვასთან ერთად, ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ საკითხზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მიღებას გაართულებს“.



**გიორგი მდივანი, პოლიტოლოგი:**

„ძალიან საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების რუკა, რომელზეც რიცხოვნობით მეორე ეთნიკური ჯგუფები გვხვდება. საგულისხმოა, რომ ყველგან შეინიშნება კლების პროცესი, ალბანეთის გარდა, რომელშიც ძირითადად მუსლიმანები ცხოვრობენ.

როდესაც ამბობენ, რომ ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნების მშპ გაიზარდა და ერთ სულ მოსახლეზე გაორმაგდა და გასამმაგდაო,— განსაკუთრებით ესტონეთი აქვთ ამოჩემებული,— რატომღაც აღარ აკონკრეტებენ, რომ მოსახლეობა შემცირდა და, რა თქმა უნდა, ამის ხარჯზე მშპ გაორმაგდებოდა.

მაგალითად, **ბოლო წლებში ესტონეთის მოსახლეობა დაახლოებით 800 ათასით შემცირდა.**

მინდა, ორიოდე სიტყვით საგადასახადო კუთხითაც მიმოვიხილო საკითხი. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ისეთი ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციაში, რომ არსებული კონსტიტუციის პირობებში შეუძლებელია დამოუკიდებელი საგადასახადო მონეტარული პოლიტიკის გატარება. კონსტიტუციის მიხედვით, თუ გაიმარჯვა მემარცხენე ან ცენტრისტულმა პარტიამ, ფაქტობრივად, ის მაინც ვერ განახორციელებს თავის საარჩევნო დაპირებას, რომლის გამოც აირჩიეს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ეკოლოგიის გადასახადი, გადასახადი ფუფუნების საგნებზე და სხვ., რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სოციალ-დემოკრატებმა, როგორც ვიცი, მოამზადეს ცვლილებების პაკეტი, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ მათ მარგინალიზაციას. ევროკავშირის ქვეყნებშიც კი, რაც მეტი აქვს შემოსავალი პირს, მეტად იბეგრება. ამაზე შეთანხმდა თანამედროვე სამყარო. თუმცა ნეოლიბერალები ამტკიცებენ, რომ ამან შეიძლება ფულის გადინება გამოიწვიოს და მაგალითად ფრანგი მსახიობი **ჟერარ დეპარდიე** მოჰყავთ, რომელიც რუსეთის მოქალაქე გახდა, მაგრამ ის არავის ახსოვს, რომ საქართველოში ქონება, ფაქტობრივად, არავის დაუბანდებია და დაუგროვებია. არადა, ვფიქრობ, აუცილებელია აღნიშნული ცვლილებების გატარება, ვინაიდან, შეიძლება ეს ასე ღიად არ ჩანს, მაგრამ იმავე ტრანსნაციონალური დიდი კომპანიების საქმიანობის შედეგად დიდი ზარალი ადგება ბუნებას.

ამერიკაში, მაგალითად, ბევრი შემთხვევა იყო, როცა ფიზიკურ პირებს მეტი გადასახადი შეჰქონდათ ბიუჯეტში, ვიდრე ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რადგან ისინი დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ. არსებული კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში ბანკების საქმიანობაშიც ვერ მოვახერხებთ ძირფესვიანი ცვლილებების განხორციელებას. კახა ბენდუქიძემ საბანკო სექტორის ისეთი ლიბერალიზაცია განახორციელა, რომ ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი ბანკები რეკორდულ მოგებას ნახულობენ. გამოდის, რომ ეს არის ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელის დიქტატი. საინტერესოა ისიც, რომ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა საგადასახადო სფეროში, ფაქტობრივად, არ განსხვავდება. გვაქვს შრომის კოდექსი, მაგრამ მას არავინ აქცევს ყურადღებას. იურიდიულად არსებობს შრომის ინსპექცია, მაგრამ ის პრაქტიკულად არაფერს აკეთებს“.

**მოამზადა შორენა ცივქარაშვილმა**

# საპატრიარქოს გარშემო ბაქანალია გრძელდება

**28 თებერვალს ე.წ. ციანიდის საქმეში ბრალდებული დეკანოზის — გიორგი მამალაძის დასაკითხად ე.წ. მატროსოვის ციხეში პროკურორი ჯარჯი წიკლაური მივიდა. მაგრამ, მისი თქმით, მამა გიორგიმ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზით კრიტიკულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას თავი აარიდა.**

„იმის გათვალისწინებით, რომ მოდიოდა ბრალდებები, თითქოს ჩვენ ვაჭიანურებდით პროცესებს, როგორც კი დავაპირეთ ბრალდებულისთვის კრიტიკული შეკითხვების დასმა... მან, საერთოდ, უარი განაცხადა გამომძიებლებთან შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ დაასახელა მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა“, — განაცხადა **ჯარჯი წიკლაურმა.**

დაცვის მხარის ინფორმაციით კი, დაკითხვის პროცედურა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო ვერ მოხერხდა, რადგან ბრალდებულს დაბალი ტემპერატურა და წნევა აღენიშნებოდა, რის გამოც ის „რამდენჯერმე ჩაიკეცა“. დაცვის მხარის პოზიციას არ იზიარებს სახელმწიფო ბრალდება. პროკურორ ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, ბრალდებული ამ გზით ცდილობს, თავი აარიდოს იმ კრიტიკულ კითხვებზე პასუხების გაცემას, რომელიც საგამოძიებო ორგანოს აქვს.

დაკითხვისას საუბარი რამდენიმე მნიშვნელოვან გვარს შეეხო. განცხადება ამის შესახებ გიორგი მამალაძის ადვოკატმა გააკეთა. გიორგი ფანცულაიას თქმით, დაცვის მხარე რჩება იმ პოზიციაზე, რომ დაკითხვის დასრულების შემდეგ გიორგი მამალაძის უდანაშაულობა დამტკიცდება. ამასთანავე, დაცვის მხარემ დაკავებული დეკანოზისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნით პროკურატურას ოფიციალური განცხადებით მიმართა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, **ირაკლი მამალაძის** განცხადება იმის თაობაზე, რომ ვიდეოჩანაწერში „მკვლელობის მომზადების ჯგუფის წევრები“ არიან (საუბარია სამ ან მეტ პირზე) და რომ არც ერთ ჩანაწერში მეუფე პეტრე არ ფიგურირებს.

**საკმარისია, ასეთ ადამიანებს ვინმემ თურქეთი უხსენოს, რომ მათი „მოგუგუნე პატრიოტიზმი“ სადღაც ქრება და უმალ ამჟღავნებენ, რომ, სამშობლო და დაკარგული ტერიტორიები კი არა, საკუთარი ჯიბე და ამ ჯიბეში „ძია სემის“ მიერ ჩაკუჭული დოლარები ადარდებთ.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დასკვნის გაკეთება არც ერთ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს არ გაუჭირდება, თუ ორიოდე დღით მიადევნებს თვალს ქართულ ტელევიზიებს; განსაკუთრებით თებერვლის ბოლო დღეებში, როდესაც ჯერ საბჭოთა არმიის დღე — 23 თებერვალი დგება ხოლმე, შემდეგ კი — საქართველოს გასაბჭოების დღე — 25 თებერვალი.**

# პატრიოტიზმი ქართული სიტყვაა და მხოლოდ რუსეთის ლანძღვას ნიშნავს...

ეს თარიღები, უკვე ყოველწლიურად, ტრადიციასავით იქცა „პატრიოტიზმით“ მოკეკლუცე იმ პერსონებისთვის, რომლებსაც ქართველი საზოგადოების თვალში „ოკუპანტთან დიად მებრძოლებად“ სურთ თავის წარმოჩენა და, ღმერთმა უწყის, ამ როლში შესულები რას აღარ მიედ-მოედებიან ხოლმე.

ერთი რამ უშლით მხოლოდ ხელს ასეთ „დიად პატრიოტებს“. ეს არის ჩვენი სამხრეთელი მეზობელი, ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრე თანამედროვე თურქეთი. **საკმარისია, ასეთ ადამიანებს ვინმემ თურქეთი უხსენოს, რომ მათი „მოგუგუნე პატრიოტიზმი“ სადღაც ქრება და უმალ ამჟღავნებენ, რომ, სამშობლო და დაკარგული ტერიოტორიები კი არა, საკუთარი ჯიბე და ამ ჯიბეში „ძია სემის“ მიერ ჩაკუჭული დოლარები ადარდებთ.**

წამსვე ირკვევა ასეთი „ჭეშმარიტება“ — **თურმე ოკუპაცია და ანექსია მხოლოდ ის არის, როდესაც ტერიტორიებს ჩრდილოეთის მხრიდან გართმევენ, ხოლო სამხრეთიდან, უფრო დიდი ტერიტორიებიც რომ წაგართვან, სულაც არ ყოფილა ოკუპაცია.**

მოკლედ — „ოკუპაცია“ ქართული სიტყვაა და მხოლოდ რუსეთის ლანძღვას ნიშნავს! ისიც მხოლოდ ლანძღვას, თორემ რაიმე კონკრეტული ქმედების შემოთავაზებაც კი არ შეუძლიათ ამ „ძალიანპატრიოტებს“ ოკუპანტის წინააღმდეგ. თურმე, ჩვენ ყველა უნდა დავსხდეთ და ვლანძღოთ და ვთათხოთ ოკუპანტი რუსეთი — აი ეს არის ჩვენი „პატრიოტული“ ვალი სამშობლოს წინაშე.

არც უნდა დაველაპარაკოთ ოკუპანტს, არც მისი რაიმე სტრატეგიული ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ, რათა გარკვეული დათმობის ფასად, იქნებ როგორმე ჩვენი ტერიტორიები დავიბრუნოთ, არა! — ეს ლაჩრობა, სიმხდალე და კოლაბორაციონიზმია!

გამოდის, **გიორგი ბრწყინვალე** და სხვა ქართველი მეფეებიც ლაჩრები და კოლაბორაციონისტები ყოფილან, მონღოლებსა თუ სხვა ჯურის მტერს, ვითარების მომწიფებამდე რომ „ემეგობრებოდნენ“, ხარკს უხდიდნენ, მათ სამხედრო სტრატეგიულ ინტერესებს ითვალისწინებდნენ, რათა ხალხი და ერი ფიზიკურად გადაერჩინათ?

რაც მთავარია, თურმე ასეთი მიდგომა — ლაჩრობა — მხოლოდ რუსეთის მიმართ შეიძლება, თორემ სხვას, ვისაც სურს, დაგვიპყროს, ტერიტორიები წაგვართვას, თავის ჭკუაზე გვატაროს — რა პრობლემაა?!

ეს ყოველ 25 თებერვალს უკვე ისეთი სიზუსტით მეორდება ქართულ ტელეეკრანებზე, რომ დაწერა აღარც კი მინდოდა, რომ არა განსაკუთრებული შემთხვევა წელს, 25 თებერვალს, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „ცეცხლის ხაზში“ **გიორგი რუხაძისა და ჯონდი ბაღათურიას დაპირისპირება.** რით იყო ეს დაპირისპირება განსაკუთრებული? ჯერ ერთი იმით, რომ ყოფილმა ქდმ-ელმა გიორგი რუხაძემ თავი გამოიშტერა და არაფრით თქვა, რომ 1921 წელს თურქული ჯარების შემოჭრა აჭარის ტერიტორიაზე იყო აშკარა ოკუპაცია; შემდეგ იმით, რომ გადაცემის ერთ-ერთმა წამყვანმა **მაგდა ანიკაშვილმა**, (ვფიქრობ, მას არც კი სჭირდება თავის გამოშტერება) ძალიან გულუბრყვილოდ ჰკითხა ჯონდი ბაღათურიას — **„თქვენ ამით რისი თქმა გსურთ? ანუ სამცხე ჯავახეთი და ტაო-კლარჯეთი საქართველოს ტერიტორიაა?“**

კიდევ უარესი — როდესაც ამ ყოველივეს სოციალურ ქსელში გამოვეხმაურე, იქ რამდენიმე ისეთ კომენტატორს და ოპონენტს გადავაწყდი, მათზე ორიოდე სიტყვა რომ არ მეთქვა, უბრალოდ, ვერ შევძელი.

მივყვეთ თანმიმდევრობით: პოლიტოლოგად წოდებულ გიორგი რუხაძეს ხსენებული გადაცემის წამყვანი მამაკაცი ეკითხება — **1921 წელს თურქეთის ქმედებები იყო თუ არა ოკუპაცია?** ბატონი „პოლიტოლოგი“ უპასუხებს: — **„რუსეთის ქმედებები? — კი იყო ოკუპაცია, აბა, არ იყო?“** წამყვანი უმეორებს: — **„რუსეთის ხო, მაგრამ თურქეთის არ იყო?“** ბატონი „პოლიტოლოგი“ თავს იშტერებს: — **„ვისი? თურქეთის?“** და აქ იმხელა პაუზას აკეთებს, გეგონება, სახელმწიფო თურქეთის არსებობის შესახებ პირველად გაიგო და იხსენებს, სად არის ეს ქვეყანა და აქვს თუ არა მას რაიმე საერთო საქართველოსთან. მერე კი ისევ დაჟინებით ამბობს: — **„დიახ, 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია“.**

გიორგი რუხაძის მიერ „არაღიარებული“ თურქული ოკუპაციის შესახებ „ფეისბუქზე“ დავწერე და უამრავმა ადამიანმა გააზიარა. ერთ-ერთ ასეთ „გაზიარებულზე“ წავაწყდი ვინმე „ნაციონალისტი“ **გაიოზ მამალაძის** „ბრძნულ“ კომენტარს: „1991 წელს მიღებულ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია, რომ თურქეთი არ არის ოკუპანტი. ოკუპაცია სხვა არის, ანექსია კიდევ სხვა არის და ინკორპორაცია კიდევ სხვა. ეს უნდა იცოდეს ზოგიერთმა. ნომერი პირველი ამოცანაა რუსეთის გაძევება კავკასიიდან“

მიხვდით? თურმე მე — უცოდინარს, არ მცოდნია, რომ თურქებს ქართული მიწები არა ოკუპირებული, არამედ ინკორპორირებული ჰქონიათ. და ეს იცის გაიოზ მამალაძისნაირმა „ნაციონალისტებმა“ და „პატრიოტებმა“!



მაგდა ანიკაშვილი



გიორგი რუხაძე

**ხომ ვერ გვეტყვით, რატომ ემთხვევა ასე ზუსტად «თანამედროვე ქართველი პატრიოტებისა» და ოსმალთა სურვილები ერთმანეთს? მე გეტყვით — თქვენი ნომერი პირველი, ნომერი მეორე და, საერთოდ, ყველა რიგის ამოცანა იმ დოლარების ჯიბეში ჩაკუჭვაა, რომლებსაც «ძია სემი» და თურქული სპეცსამსახურები გიხდიან სამშობლოს გაყიდვაში!**

გაიოზ-ბიძია, რას გეტყვი, იცი? ჯერ ერთი, — **საუბარი იყო იმაზე, კონკრეტულად 1921 წელს თურქული ჯარების შემოჭრა საქართველოს, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე იყო თუ არა ოკუპაცია, და არა იმაზე, 1991 წელს ვინ რა სცნო და ვინ სად რა ჩაწერა. ხოლო 1921 წელს თურქი ასკერების აჭარიდან ორი მიმართულებით — ფოთისა და ოზურგეთისკენ — გაჭრის მცდელობა ოკუპაცია რომ იყო და სხვა არაფერი, ამის აღიარება ქართველ ადამიანს არ უნდა უჭირდეს!**

ახლა მეორე, — რომელიმე მთავრობის მიერ ამა თუ იმ დეკლარაციაში რაიმეს ჩაწერა ნიშნავს მხოლოდ იურიდიულ არაღიარებას ოკუპაციისა? ფაქტობრივად კი, ქართული მიწები თურქეთს მაინც ოკუპირებული აქვს! **შენთვის იყოს ტაო-კლარჯეთი თურქეთში „ინკორპორირებული“, გაიოზ-ბიძია, და ჩემთვის ეგ მიწები წართმეულია, წართმეული!**

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამბობთ, ნომერი პირველი ამოცანა კავკასიიდან რუსეთის გაძევებააო, იქნებ იქვე „ნომერ მეორე ამოცანაზეც“ გვითხრათ რამე? ანუ, **დავუშვათ, შეასრულეთ ამოცანა ნომერი ერთი და კავკასიიდან რუსეთი საბოლოოდ გააძევეთ, მერე ვინ შემოგყავთ კავკასიაში, „ჩვენი ისტორიული მეგობარი“ თურქეთი ხომ არა?** ანუ, პირდაპირ გვითხარით, ვისთვის არის კავკასიიდან რუსეთის გაძევება „ნომერი პირველი ამოცანა“? ისტორიულად ცნობილია, რომ ეს ფრაზა სწორედ ოსმალეთის სულთნებს ეკუთვნით. სწორედ მათთვის იყო კავკასიიდან და ბალკანეთიდან რუსეთის გაძევება უპირველესი სურვილი და ამოცანა.

**ხომ ვერ გვეტყვით, რატომ ემთხვევა ასე ზუსტად „თანამედროვე ქართველი პატრიოტებისა“ და ოსმალთა სურვილები ერთმანეთს? მე გეტყვით — თქვენი ნომერი პირველი, ნომერი მეორე და, საერთოდ, ყველა რიგის ამოცანა იმ დოლარების ჯიბეში ჩაკუჭვაა, რომლებსაც „ძია სემი“ და თურქული სპეცსამსახურები გიხდიან სამშობლოს გაყიდვაში!**

რაც შეეხება იმ ტვინგამორეცხილ ბავშვებს, რომლებიც მოზარდ თაობაში უკვე კატასტროფულად ბევრია, ეს გაცილებით დიდი პრობლემაა, ვიდრე გაიოზ-ნაციონალისტისნაირი გამყიდველები.

ეს ბავშვები, ყველაფერთან ერთად უტიფრებიც არიან. რომ ჰკითხო, უცხეთში იღებენ მაღალი დონის განათლებას, მაგრამ სინამდვილეში — აგერ, იმავე „ფეისბუქ-პოსტზე“ ისეთი ვინმე „მეპოლემიკა“ 1921 წლის 25 თებერვლის თემებზე, ვისაც გენერალ **გიორგი მაზნიაშვილის** სახელი გაგონილიც კი ჰქონდა. თანაც „მემარიაჟა“, — შვეიცარიაში ვსწავლობო.

გიორგი მაზნიაშვილი სუსტი წერტილია იმ ადამიანებისთვის, ვინც „პატრიოტიზმით“ სპეკულირებს და სურს წარმოაჩინოს, რომ 1921 წელს საბჭოთა არმიის საქართველოში შემოსვლა იყო მხოლოდ საბჭოთა რუსეთის „ახირება“, თორემ საქართველოს სხვა საფრთხე არ ელოდა.

ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ბოდიში და, გამოშტერებულა, როდესაც „ბოლშევიკების“ მხარეს გადავიდა და მათ ბათუმში შემოჭრილი თურქი ასეკერების განდევნაში დაეხმარა.

**სინამდვილეში გიორგი მაზნიაშვილმა, საქართველოს „მენშევიკ“ ხელისუფლათაგან ერთადერთმა შეაფასა სწორად სიტუაცია და გადამწყვეტ მომენტში მაინც მიხვდა, რომ საქართველო ისევ ერეკლე მეფისდროინდელი დილემის წინაშე იყო — ან ოსმალთა თარეში, ან რუსთა ბატონობა!**

**და კიდევ ერთხელ — ჭეშმარიტმა ქართველმა პატრიოტებმა სწორი არჩევანი გააკეთეს, ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტება აირჩიეს.**

1921 წლის 25 თებერვალზე ყველა ნიუანსის დაწვრილებით გარჩევას, ერთი საგაზეთო გვერდი კი არა, მთელი გაზეთიც არ ეყოფა, ამიტომ მესმის, რომ დემაგოგოთათვის ბევრ სალაპარაკო ვტოვებ. მაგრამ ფაქტია: კითხვაზე — „თუკი არავითარი საშიშროება არ გვემუქრებოდა თურქთა მხრიდან, მაშინ რატომ გადავიდა გენერალი მაზნიაშვილი ბოლშევიკების მხარეს ბათუმში?“ — ეს უწიგნური, პროპაგანდას აყოლილი ბავშვები, სხვას რომ ვერაფერს მოიგონებენ, მიპასუხებენ ხოლმე, რომ თურმე გენერალი მაზნიაშვილი ლენინის აგენტი იყო.

აი, ასეთ ადამიანებს აქვთ პრეტენზია, განიხილონ 1921 წლის 25 თებერვლის პერიპეტიები. **მათთვის შოკია იმის შეტყობა, რომ თურმე იმ დროს, როდესაც ტაბახმელა-კოჯორში ქართველ იუნკერთა სისხლი იღვრებოდა, ოზურგეთისა და ფოთის მიმართულებაზე თურქი ასკერები გვიტევდნენ. ეს მათთვის არავის უთქვამს — თურქეთი ხომ ჩვენი „ისტორიული ძმაა“ და იმიტომ!** არც ის უთქვამს არავის, რომ „გმირი“ **ნოე ჟორდანიას** მთავრობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ხედავდა საქართველოს და მხოლოდ რუსეთში „მენშევიკი“ კერენსკის მთავრობის დამარცხებამ დააყენა იგი იძულებით „პატრიოტულ“ რელსებზე. არც იმას ეუბნებიან ამ ბავშვებს, რომ „იუნკრების“ სამხედრო სასწავლებელი რუსეთის იმპერიის გადმონაშთი იყო და ეს თავად-აზნაურთა შვილების სამხედრო სასწავლებელს ნიშნავდა, წითლებთან ბრძოლაში კი ასჯერ მეტი რუსი იუნკერია დაღუპული, ვიდრე ქართველი.

მაგრამ რა გინდა თქვა, როდესაც ქვეყნის ერთ-ერთი პოპულარული ტელევიზიის არანაკლებ პოპულარული თოქშოუს წამყვანი **მაგდა ანიკაშვილი** ბრალდების ტონით უსვამს კითხვას რესპონდენტს — **„მოიცათ, თქვენ ახლა გინდათ თქვათ, რომ ტაო-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ტერიტორიაა?“**

უბედურება კი აქ ის არის, რომ გადაცემაში მიწვეული სტუმარი, რომელიც 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოსვლას სწორი თვალთახედვით უყურებს, სამშობლოს გამყიდველად და კოლაბორაციონისტად წარმოჩნდება, ხოლო ადამიანებს, რომლებიც თურქეთის მიერ წართმეულ ტერიტორიებზე არაფრის დიდებით არ ამბობენ, რომ ის წართმეულია, პატრიოტებად მოაქვთ თავი!

ამიტომ მხოლოდ ამასღა ვიტყვი: ჩემთვის 1921 წლის 25 თებერვალი არის საბჭოთა-რუსი ოკუპანტებისაგან საქართველოს დაპყრობისა და ოსმალო-თურქი ოკუპანტებისაგან გადარჩენის დღე.

ჰოდა, ახლა მაგ თქვენი რეგვენი თავებით, როგორც გსურთ, ისე ამოხსენით ეს „რებუსი“, ბატონო „პატრიოტებო“!

იმავ-არაკი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— გეგმა თქვენ არ გაქვთ და სტრატეგია. ისევ იმის იმედად ხართ, ბიძინა მოიფიქრებსო რამეს. ხეებზე ვიფიქრო თუ თქვენზე? ისე, თქვენი შენახვა უფრო ძვირი მიჯდება. იმ ხეებს გადმოვრგავ და იქნებიან თავისთვის, თქვენ კიდევ, სადაც გადაგრგეთ, ყველგან ჩემი საპატრონო ხართ. როდემდე? ერთ დღეს რომ მომწყინდეს და ისე მოგექცეთ, როგორც ძაღლი ექცევა ხეს, რას იზამთ მერე? — ხმას აუწია ივანიშვილმა.**

# სამი ვიცეპრემიერი, ხვადი ზებრა და მოდელირებული სხდომა ივანიშვილის სასახლეში

**2010 წლის 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ე.წ. მოდელირებული ქრონიკა გავიდა. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ამ სიუჟეტით ვითომ „ნოუ ჰაუ“ შემოგვთავაზა, რომელსაც ხუთი ადამიანი ემსხვერპლა (გულის შეტევით), თუმცა მაშინ არავინ დასჯილა. დასჯის რა გითხრათ და, იმ სიუჟეტის ყველა ავტორ-შემსრულებელი დღეს დაწინაურებულია და უკეთეს თანამდებობაზე მუშაობს. სწორედ იმიტომ, რომ არსად ჩანს ასე ნანატრი სამართლიანობა. გთავაზობთ მოდელირებულ სხდომას, რომელიც სოლოლაკში, ბიძინა ივანიშვილის სახლში, გუშინ (თუნდაც, გუშინწინ) გაიმართა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:**



— გიორგი, შენი მინისტრები ხვალვე სოლოლაკში ამოიყვანე, სულ წავიდნენ ხელიდან. შენც ამოდი, მოუსმინე, როგორ უნდა მათთან საუბარი. ხო, პარტიის ლიდერები არ დაგავიწყდეს, ეგენიც ამომითრიე.

ივანიშვილი აშკარად ვერ იყო გუნებაზე.

დათქმულ დროს მინისტრები და პარტიის ლიდერები სოლოლაკში იყვნენ.

— ძლივს პარლამენტიდან მოვიშორე, მეც კი მაღიზიანებდა ამის დანახვა და აქ მოიყვანე? აღარ არის ეს ლიდერი, ათი წლის განმავლობაში ექნება ის ხელფასი, რაც მთხოვა და მერე თავში ქვა უხლია, წავიდეს აქედან. — გაბრაზდა ბიძინა **მანანა კობახიძის** დანახვაზე, მერე კი ერთ-ერთ ჰალსტუხიანს დააკვირდა და **კვირიკაშვილს** ჰკითხა:

— ეს ვინ არის?

— ეს, ბატონო ბიძინა, **მამუკა მდინარაძეა,** ფრაქციის თავმჯდომარე, — ამოილუღლუღა კვირიკაშვილმა.

— ჰოო, ველარ ვიცანი, გვარამიამ რომ „მიაჩმორა“ ტელევიზორში, ისე დაპატარავდა, აღარ მეგონა, ამხელა თუ იქნებოდა. კარგი, შემოდით და წერია იქ, ვინ სად უნდა დაჯდეს, — თქვა ივანიშვილმა და სახლში შევიდა.

— ბატონო ბიძინა, ბოდიში, მაგრამ ჩემი გვარი არსად წერია და სად დავჯდე? — მორიდებით იკითხა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

— ეს წაიყვანეთ და ხვადი ზებრას გალიაში შეაგდეთ. იქ მიხვდება, სად უნდა დაჯდეს და ერთ საათში უკან ამოიყვანეთ, — იყვირა ივანიშვილმა და გავაზე აფროდიზიაკწასმული ქუმსიშვილი ისე, რომ გაპროტესტებაც ვერ მოასწრო, ხვადი ზებრას გალიაში აღმოჩნდა.

— ეგ პირველი ვიცეპრემიერია ხო? — ჰკითხა ივანიშვილმა კვირიკაშვილს და ყველამ დაინახა, როგორ მოიწმინდა ოფლი მეორე ვიცეპრემიერმა **კალაძემ** და როგორ უცნაურად გაეღიმა მესამე ვიცეს — **ალექსანდრე ჯეჯელავას.**

— კაცო, შენ სულ გადამრიე, რას ერჩი ამ ზღაპრის გმირებს? კომბლეო, ფიფქიაო, დედინაცვალიო... ხომ არ გინდა, მართლა ზღაპრის გმირებთან შეგაგდო და გაჩვენებენ, ვინ არის ზარმაცი და ვინ კიდევ მოძალადე! — მიუტრიალდა ჯეჯელავას ბატონი ბიძინა.

— უფლება არ მაქვს, ჩემი აზრი მქონდეს? — თვალები დაჭყიტა ჯეჯელავამ, მაგრამ სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, მოულოდნელად ჩამობნელდა და, რაღაცის გარჩევა რომ შეძლო, მიხვდა, ისიც ზებრას გალიაში იყო. იქვე ქუმსიშვილი კვნესოდა და ჯეჯელავამ სიცილით უთხრა:

— თავს ნუ მაცოდებ, არაა ეს ზებრა ხვადი.

— ეჰ, ჩემო სანდრო, მეც ასე მეგონა, მაგრამ ბლუჯა უმალავს იმ ადგილს, თმების ბლუჯა. თანაც, გაზაფხული მოდის და ისეთ ჯანზეა, ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარი, — კვნესით თქვა ქუმსიშვილმა, მაგრამ მისი კვნესა ჯეჯელავას ხვნეშამ აირია.

— ეს ნაციონალი ალავიძე რომ შემომტენე მინისტრად, არ იცი, რომ მაგან ნაციონალებს წინასაარჩევნოდ 35 ათასი ლარი შესწირა? — ისევ მიუბრუნდა კვირიკაშვილს ივანიშვილი. კვირიკაშვილმა ოფლი მოიწმინდა და სხვებს გახედა, ჯეჯელავასა და ქუმსიშვილის ღნავილი ოთახამდე აღწევდა და არავის სურდა, ახლოს გაეცნო ხვადი ზებრა.

— ვიცოდი, ბატონო ბიძინა, მაგრამ ჩვენც შემოგვწირა და კიდევ შემოგვწირავს, ასე თქვა, თუ დაგჭირდებათ, საერთოდ შემოგეწირებითო, — დაასრულა კვირიკაშვილმა.

— კარგია, თუ ასეთი თავგანწირულია, მაგრამ უნდა შევამოწმო. ცოტნე დადიანივით მოიქცეს, — ასწია წარბი ივანიშვილმა.

— თაფლი წავისვა? — თვალები აafახულა ალავიძემ.

— სად მაქვს შენი გასაფუჭებელი თაფლი? ზებრასთან შედი, ზებრასთან! — იღრიალა ბიძინამ და მალე გალიიდან კვნესა სამ ხმაში გაისმა.

— მგონი გადავრჩით, ადგილი აღარაა გალიაში, — გადაულაპარაკა მდინარაძემ ბესელიას.

— ვითომ? გაჭირვებით კი შევიდოდა კაცი, — თვალები აafახულა ბესელიამ და ხვადი ზებრას გალიისკენ გაიხედა.

— გაზაფხული მოდის. გლეხებს მიწის მოხვნა უნდათ და ფული არ ექნებათ ისევ. შეეცადეთ, დაეხმაროთ და მოუხნათ. რა გაცინებს, შე უბედურო, თალაკვაძევ, პირდაპირი გაგებით გეუბნები, გლეხებს მოუხანით-მეთქი, გადატანით რომ იგებ ყველაფერს და შავ დღეში რომ გყავს. ის ფოტოგრაფი როგორ არის, შენთვის რომ დაიქირავე და სურათებს რომ გიღებს პარლამენტში? ხარირემთან შეგიშვებდი, ყვირალობა აქვს ახლა, მაგრამ... არ მოსწონს ამ ჩემს ირემს შავგრემანები, ამას წინათ მყავდა **ოთო კახიძე** და ახლოს არ გაიკარა, — თქვა ბიძინამ.

— კახიძეს აქ რა უნდოდა? — გაუკვირდა კვირიკაშვილს.

— ჰო, სწორედ შენ დაშალე ნაციონალები. უნდოდა, უნდოდა მარტორქასთან... — თავისთვის ჩაილაპარაკა ივანიშვლმა.

ამ მომენტში ოთახში ზებრას სტუმრები შემოიყვანეს.

— გაამყარებ? — მოულოდნელად იკითხა ივანიშვილმა და ქუმსიშვილს შეხედა.

— ისევ მე? — ცრემლი ჩამოუგორდა ქუმსიშვილს და ზებრას გახედა.

— ლარზე გეკითხები, შე უბედურო, — დაუკონკრეტა მასპინძელმა.

— კი, ვცდილობ მაქსიმალურად, — ამოიხვნეშა ქუმსიშვილმა.

— კარგი. ახლა საქმეზე გადავიდეთ. რას ველოდებით უახლოეს მომავალში? დასვა კითხვა ივანიშვილმა და ყველამ კვირიკაშვილს შეხედა.

— ინვესტიციები შემოვა, გაზაფხულზე ლარი გამყარდება, იმედი გვაქვს, ხალხის დასაქმებასაც შევძლებთ. პარლამენტი მთლიანად ჩვენია, ხელისუფლება ხომ ჩვენია და ჩვენი. ასე რომ, იმედიანად ვართ, — ომახიანად თქვა კვირიკაშვილმა.

— ხალხის დასაქმებას სად და როდის აპირებთ? — დააკონკრეტა ივანიშვილმა.

— აი იქ... ახალი გზების მშენებლობას ვიწყებთ, იქით კიდევ... ისა... ახალი ჰესებიო, — კალაძემ და კიდევ... — თავი ველარ მოაბა პრემიერმა.

— ასეც ვიცოდი. გეგმა თქვენ არ გაქვთ და სტრატეგია. ისევ იმის იმედად ხართ, ბიძინა მოიფიქრებსო რამეს. ხეებზე ვიფიქრო თუ თქვენზე? ისე, თქვენი შენახვა უფრო ძვირი მიჯდება. იმ ხეებს გადმოვრგავ და იქნებიან თავისთვის, თქვენ კიდევ, სადაც გადაგრგეთ, ყველგან ჩემი საპატრონო ხართ. როდემდე? ერთ დღეს რომ მომწყინდეს და ისე მოგექცეთ, როგორც ძაღლი ექცევა ხეს, რას იზამთ მერე? — ხმას აუწია ივანიშვილმა.

— არ დაგვღუპოთ, ბატონო ბიძინა! — იკივლა ბესელიამ.

— შენ მხოლოდ კივილში რომ ხარ მაგარი, საქმე დამანახვე შენი გაკეთებული, თუ იმას ეძახი საქმეს, სოფლის დედაკაცივით რომ ეტლიკინები ხოლმე ხან ხერხეულიძეს და ხან ბოკუჩავას? — თვალები დააბრიალა ივანიშვილმა.

— აბა შევარჩინო? — გაწიწმატდა ბესელია.

— **კეზერაშვილს, დათა ახალაიას, უგულავას** და კიდევ ბევრს შეარჩინეთ ადამიანების ხოცვა და ფულის ფლანგვა, ქალებისთვის სიტყვა ვერ შეგირჩენია?! შენი რეიტინგი აიწევსო, ვიღაც იდიოტმა გირჩია და აკეთებ შენც, — გაეღიმა ივანიშვილს.



— იდიოტმა? — გაიკვირვა ბესელიამ და თალაკვაძეს გახედა.

— ჰო, იდიოტმა. იდიოტები შეგყარეთ იქ, მეგონა იმ იდიოტებს, მეორე მხრიდან რომ შემოვიდნენ პარლამენტში, კარგად გაუგებდით, მაგრამ არა. ზებრა გალიაშიც და გალიის გარეთაც ზებრაა და ასე ხართ თქვენც. ახლა წადით და, მეორედ რომ მოხვალთ, შეეცადეთ, ისე არ მოიქცეთ, გორილასთან რომ შეგაგდოთ. ჩამომყავს ამ დღეებში მამალი გორილა და... — აღარ დაასრულა ივანიშვილმა.

— ესე იგი, ისევ ისე უნდა მოვიქცე, — ჩაილიმა ბესელიამ და კოჭლობით მიმავალ ქუმსიშვილსა და ჯეჯელავას გახედა.

**ბესო ბარბაქაძე**

**ასაკობრივი ცენზის შემცირების არსი, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ის შესაძლებლობას მისცემს ილჰამ ალიევის ვაჟიშვილს, ჰეიდარს, ჯერ დეპუტატი, შემდეგ კი პრეზიდენტი გახდეს. ის ახლა 19 წლისაა. თუ მამამისი მორიგ არჩევნებს 2018-ში ჩაატარებს, როგორც ეს დაგეგმილია, მაშინ მისი მომდევნო, ამჯერად შვიდწლიანი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ, 2025-ში, უმცროს ჰეიდარ ალიევს იურიდიული უფლება ექნება, პრეზიდენტი გახდეს, თუმცა გამორიცხული არაა, ილჰამ ალიევმა 2025-ში კენჭი კიდევ ერთხელ იყაროს და ხელისუფლება შვილს 15 წლის (ჯამში) შემდეგ გადააბაროს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰეიდარიდან ჰეიდარამდე

**ილჰამ ალიევმა მეუღლე აზერბაიჯანის პირველ ვიცეპრეზიდენტად დანიშნა. რა დგას ამ ცვლილების უკან და რა გავლენას მოახდენს ის მეზობელი ქვეყნის პოლიტიკაზე?
ილჰამ ალიევი პრეზიდენტი 2003-ში გახდა. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ — 2008 და 2013 წელს აირჩიეს. მორიგი არჩევნები 2018-ში უნდა ჩატარდეს და ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის მორიგ წარმატებას მიაღწევს. აზერბაიჯანის კონსტიტუცია არ ზღუდავს ერთი და იმავე პირის მრავალგზის არჩევას პრეზიდენტად. ამასთანავე, სულ ახლახან ილჰამ ალიევმა მისი დინასტიის მდგომარეობის გასამყარებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.**



**ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის მოსახლეობის პოზიციაა, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა «დინასტიური მმართველობის» შემოღებას არ აპროტესტებს და, როგორც ჩანს, ხედავს მასში სტაბილურობის გარანტიას, ერთგვარ დამცავ ზღუდეს, რომელიც მას სისხლიან 90-იანებში დაბრუნებისგან იცავს. ალიევს, ძირითადად, საზღვარგარეთიდან აკრიტიკებენ**

შარშან, 26 სექტემბერს აზერბაიჯანში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელზეც ხელისუფლებამ ოცდაათამდე საკითხი გაიტანა. მათ შორის იყო პრეზიდენტობის ვადის გაზრდა 5-დან 7 წლამდე, პირველი ვიცეპრეზიდენტის პოსტის შემოღება (ის შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას მისი გარდაცვალების ან ქმედუუნარობის შემთხვევაში), პრეზიდენტობისა და დეპუტატობის კანდიდატებისთვის ასაკობრივი ცენზის შემცირება. პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის უფლებაც მიენიჭა. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა თითქმის 70% მივიდა, მათგან 80%-ზე მეტმა (ზოგიერთ საკითხზე კი 90%-ზე მეტმა) მხარი ხელისუფლების ინიციატივებს დაუჭირა.

ასაკობრივი ცენზის შემცირების არსი, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ეს შესაძლებლობას მისცემს ილჰამ ალიევის ვაჟიშვილს, ჰეიდარს, ჯერ დეპუტატი, შემდეგ კი პრეზიდენტი გახდეს. ის ახლა 19 წლისაა. თუ მამამისი მორიგ არჩევნებს 2018-ში ჩაატარებს, როგორც ეს დაგეგმილი იყო, მაშინ მისი მომდევნო, ამჯერად შვიდწლიანი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ, 2025-ში, უმცროს ჰეიდარ ალიევს იურიდიული უფლება ექნება, პრეზიდენტი გახდეს, თუმცა გამორიცხული არაა, ილჰამ ალიევმა 2025-ში კენჭი კიდევ ერთხელ იყაროს და ხელისუფლება შვილს 15 წლის (ჯამში) შემდეგ გადააბაროს, თუმცა ასეთ შორეულ პერსპექტივაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

მეჰრიბან ალიევას დანიშვნა პირველ ვიცეპრეზიდენტად, ანუ ფაქტობრივ მემკვიდრედ, დინასტიის პოზიციებს ამყარებს და მას მოულოდნელობებისგან აზღვევს. **მოქმედ პრეზიდენტს რამე რომც მოუვიდეს, მისი ვაჟიშვილისთვის ხელისუფლების გადაცემა იურიდიულად უზრუნველყოფილი იქნება.** საინტერესოა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არა მხოლოდ ჩაატარა რეფერენდუმი ასაკობრივი ცენზის დაწევაზე, არამედ დაამთხვია მას მძლავრი საინფორმაციო კამპანია, რომლის ცენტრალური ფიგურა იყო აზერბაიჯანში პოპულარული ისტორიული მოღვაწე, სეფიანელთა სახელმწიფოს დამაარსებელი ისმაილ I. როგორც ცნობილია, ის ყიზილბაშებს სათავეში 14 წლის ასაკში ჩაუდგა, ხოლო მომდევნო წელს თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა.

**ზოგიერთი ექსპერტი მეჰრიბან ალიევას პოლიტიკურ პერსპექტივებზე ალაპარაკდა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ილჰამ ალიევი, მისი სანათესაო და უახლოესი გარემოცვა ერთ-ერთ ძირითად ვარიანტად მის გრძელვადიან მმართველობას განიხილავს. მას, დიდი ალბათობით, უყურებენ მხოლოდ, როგორც სატრანზიტო რგოლს ხელისუფლების გადაცემისთვის, რომლის გამოყენება შეიძლება საჭირო არც გახდეს, რადგან, ისტორიული და კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ მოსახლეობას არ სურს, მმართველად ქალი იხილოს.**

აზერბაიჯანი ერთდროულად ევროპული და აზიური პოლიტიკური ტრადიციის გავლენის ქვეშ იმყოფება; ამჯერად არჩევანი აშკარად მეორის სასარგებლოდ გაკეთდა. დღეს ბევრს წერენ იმაზე, რომ აზერბაიჯანი უფრო მეტად ემსგავსება ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ვიდრე თავის მეზობლებს სამხრეთ კავკასიაში, თუმცა, ალბათ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა აზიის რესპუბლიკების მეთაურებს დინასტიური მმართველობისთვის სამართლებრივი გარანტიები არ შეუქმნიათ. „რესპუბლიკური დინასტიური მონარქია“ დღეს ძალიან იშვიათი ფენომენია და ამ კონტექსტში მხოლოდ სირიაში ჰაფეზ ასადის მიერ დაფუძნებულ დინასტიას თუ გავიხსენებთ, თუმცა შუა აზიასთან მაინც არაერთი პარალელის გავლება შეიძლება. მაგალითად, აზერბაიჯანულ რეფერენდუმამდე ორი კვირით ადრე, თურქმენეთის პრეზიდენტმა ბერდიმუხამედოვმა საპრეზიდენტო ვადა ხუთიდან შვიდ წლამდე გაზარდა და პრეზიდენტობის კანდიდატისთვის (ანუ საკუთარი თავისთვის) ზედა ასაკობრივი ზღვარი გააუქმა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის მოსახლეობის პოზიციაა, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა „დინასტიური მმართველობის“ შემოღებას არ აპროტესტებს და, როგორც ჩანს, ხედავს მასში სტაბილურობის გარანტიას, ერთგვარ დამცავ ზღუდეს, რომელიც მას სისხლიან 90-იანებში დაბრუნებისგან იცავს. ალიევს, ძირითადად, საზღვარგარეთიდან აკრიტიკებენ.

ვაშინგტონმა ოფიციალურ ბაქოს მოუწოდა, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები ექსპერტიზისთვის ვენეციის კომისიას გადაუგზავნოს, აგრეთვე, ციხიდან გამოუშვას ის ოპოზიციონერები, რომლებიც რეფერენდუმის წინ, ასე ვთქვათ, „პრევენციულად“ დააპატიმრეს (მათი დაჭერა წარმოჩენილი იყო, როგორც ბრძოლა ფეთჰულა გიულენის მიმდევრებთან, ამისკენ ალიევს თურქეთი მოუწოდებს). ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში მიუთითა, რომ ცვლილებები შექმნიან დისბალანსს აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ და საკანონმდებლო შტოს დაასუსტებენ. თუმცა აზერბაიჯანულმა მხარემ ამას „პოლიტიკური დაკვეთის შესრულება“ უწოდა და ყველაფერი მაინც ისე გააკეთა, როგორც სურდა. ამერიკელებმა და ევროპელებმა უკან დაიხიეს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი წლის წინათ ვაშინგტონში განიხილებოდა აზერბაიჯანისთვის სანქციების დაწესების იდეა, შეიქმნა შესაბამისი კანონპროექტი „აქტი აზერბაჯანის დემოკრატიის შესახებ“, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა. ისევე, როგორც სანავთობო მონარქიების შემთხვევაში, ამერიკელებმა სტრატეგიული ინტერესები დემოკრატიულ რიტორიკაზე მაღლა დააყენეს. მათ სანქციების შემოღების იდეა გვერდზე გადადეს, ხოლო გასულ კვირას ახალმა ადმინისტრაციამ „გაზის სამხრეთის დერეფნის“ პროექტის მხარდაჭერა დაადასტურა — ის აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთის, ალბანეთისა და იტალიის ტერიტორიაზე გაივლის. მისი ძირითადი სეგმენტები სამხრეთ კავკასიის ტრანსანატოლიისა და ტრანსადრიატიკის გაზსადენებია. **იმ ვითარებაში, როდესაც ვაშინგტონი თანდათან კარგავს კონტროლს თავის ძველ მოკავშირე თურქეთზე, აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭება და რეჟიმის დესტაბილიზაციის მცდელობა „ფერადი რევოლუციის“ მოწყობის გზით ნაკლებად სავარაუდო ჩანს, მითუმეტეს, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, მაგრამ თქმული არ ნიშნავს, რომ თეთრი სახლი ალიევს თავს დაანებებს.**

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ „მოგუდა“ პროდასავლური ოპოზიცია, საფრთხე განეიტრალებულად ვერ ჩაითვლება. „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებშიც ძირითად საფრთხეს ისლამისტური და დემოკრატიული ოპოზიცია ქმნიდა (განსაკუთრებით კი მათი ძალისხმევის გაერთიანება), აზერბაიჯანს დიდი პრობლემები შეიძლება ისლამისტებმა და ნაციონალისტებმა შეუქმნან. **აზერბაიჯანმა წააგო ომი და დაკარგა ტერიტორიები, საზოგადოებაში კვლავინდებურად ძლიერია რევანშის სურვილი, ხოლო ის, რომ მმართველ დინასტიას პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლია, ძირს უთხრის მისი ძლევამოსილების მითს და ირიბად მის ლეგიტიმურობას ურტყამს. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ აზერბაიჯანელი ძალოვნები კარგად აკონტროლებენ სიტუაციას და ისალმისტური ტერორისტული იატაკქვეშეთის ჩამოყალიბებას არ დაუშვებენ,** თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ამოცანა ზოგიერთი უფრო ძლიერი ქვეყნის სპეცსამსახურებმაც ვერ გადაწყვიტეს.

ის კონსენსუსი, რომელსაც აზერბაიჯანის სტაბილურობა ეფუძნება, გულისხმობს საზოგადოების მიერ გარკვეული უფლებების დათმობას კეთილდღეობის ზრდის სანაცვლოდ. მსგავსი რამ სხვა სანავთობო ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის ზრდის ტემპები შემცირდა, ნავთობის მოპოვების პიკი უკვე მიღწეულია, ფასი მასზე კი კვლავინდებურად მცირეა, მაშინ, როდესაც ექსპორტიდან შემოსული შემოსავლების 90%-ზე მეტს ენერგომატარებლების გაყიდვა უზრუნველყოფს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნავთობის ფასი მაღალი იყო, როგორც აზერბაიჯანელი, ისე უცხოელი ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ჭარბი შემოსავალი ეკონომიკის დივერსიფიკაციას უნდა მოხმარდეს. მაგრამ ეს, ცალკეულ მიღწევებს თუ არ ჩავთვლით, ვერ მოხერხდა ორი ძირითადი მიზეზის გამო – შემოსავლების ნაწილი მოსახლეობის სოციალური გარანტიების გამყარებაზე, ფაქტობრივად, მისი კეთილგანწყობის ყიდვაზე იხარჯებოდა; ამასთანავე, კორუფციამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში თითქმის ნოლამდე დაიყვანა მასშტაბური მაღალეფექტური პროექტების რეალიზების შესაძლებლობა. **ილჰამ ალიევმა ჯერჯერობით ვერ მოაწყო ანტიკორუფციული „რევოლუცია ზემოდან“ და ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ სანავთობო ქვეყანამ პირველი რანგის ჯანსაღი ეკონომიკა ვერ შექმნა, მაშინ როდესაც ამისთვის თითქმის ყველა წინაპირობა არსებობდა. გამორიცხული არაა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გართულების პარალელურად, მთავარ პრობლემად ალიევების დინასტიისთვის იქცევიან არა იდეური ისლამისტები, ნაციონალისტები თუ დემოკრატები, არამედ უბრალოდ უმუშევარი ახალგაზრდები**, რომელთაც მაძღარი და ლაღი ცხოვრება სურთ, როგორც მათ თანატოლებს „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში (ის არაბი ახალგაზრდები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რა ქაოსს წარმოშობდა რევოლუცია).

ისტორია ცხადყოფს, რომ, როდესაც ორი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, ურთიერთობა მათ შორის იძაბება, მაგრამ, მეორე მხრივ, აზერბაიჯანსა და საქართველოს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა და კეთილგანწყობა, ერთობლივი სატრანზიტო პროექტები და ინტერესები აკავშირებს. ჯერჯერობით, **ძნელი სათქმელია, როგორ შეიცვლება ურთიერთობები საქართველოსა და ახალ „რესპუბლიკურ დინასტიურ მონარქიას“ შორის, თუმცა სასურველია, იმაზე მაინც შევთანხმდეთ, რომ უცხო ძალებს შესაძლებლობას არ მივცემთ, ჩვენი ტერიტორია და რესურსები მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყენონ.** თავის დროზე, უმცროსი ბუშის მმართველობის წლებში, ამერიკელებმა სცადეს, გამოეყენებინათ საქართველო, როგორც პლაცდარმი აზერბაიჯანში „ფერადი რევოლუციის“ მოსამზადებლად, ხოლო 2012 წლის შემდეგ ზოგიერთი მრჩეველი ბაქოში არწმუნებდა ილჰამ ალიევს, რომ მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში დაბრუნებაში უნდა დაეხმაროს. თუ მსგავსი რამ აღარ განმეორდება, ორი ქვეყნის კეთილმეზობლობას, სავარაუდოდ, არაფერი დაემუქრება, მიუხედავად იმისა, რა ცვლილებები მოხდება მათ საშინაო პოლიტიკაში.

**ლუკა ნემსაძე**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**AMNESTY INTERNATIONAL-ის მხრიდან დასავლეთის ქვეყნების ინტერესების დასაცავად მოქმედების ყველაზე ნათელი მაგალითია მხარდაჭერა ოპერაციისა „ქარიშხალი უდაბნოში“. 1990 წლის დეკემბერში ამ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ბრალს სდებდა ერაყის ხელისუფლებას, რომ მან ინკუბატორებში სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების მიღება შეუწყვიტა 300-მდე დღენაკლულ ჩვილს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უფლებადამცველები მოქმედებენ აშშ-ის მთავრობის ინტერესების დასაცავად, რომელიც ცდილობდა ერაყის დემონიზებას საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და აშშ-ის კონგრესის დარწმუნებას, რომ ერაყთან ომის დაწყება აუცილებელი იყო.**

# Amnesty International — ტერორისტების, მეძავებისა და პედერასტების დამცველი

**არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის მიზანი ადამიანის უფლებების დაცვა იყო და არის, მაგრამ დღეს მიზანი ამ კეთილშობილურ იდეას ამოფარებული ბევრი ორგანიზაციისა, რომლებსაც, ძირითადად, სამხრეთის ქვეყნებში სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვ.) მთავრობა აფინანსებს, იმ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაა, რომლებიც დამფინანსებლის ინტერესების დაცვას ემსახურება.**



სუზენ ნოსელი თეთრ სახლში კითხულობს მოხსენებას სირიაზე

ეს პოლიტიკური დაკვეთები, მაგალითად, საქართველოში არის ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაზე ზემოქმედება, ეროვნული ფასეულობებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა და ისეთი ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრება, როგორიცაა ლგბტ-თა უფლებების დაცვა, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზება, მარიხუანის მოხმარებისთვის სასჯელის შემსუბუქება და სხვ. სახელმწიფოებს, რომლებიც სხვა ქვეყნებში აფინანსებენ არასამთავრობოებს, სულაც არ აინტერესებთ, რამდენი ადამიანის უფლებას დაიცავენ ეს არასამთავრობოები, რამდენ ცხოველს თუ ხეს გადაარჩენენ. მათი ინტერესია, რამდენი ადამიანის გამოყვანას შეძლებენ ეს ორგანიზაციები ქუჩაში საპროტესტო აქციაზე გარედან დანიშნულ დროს (გაიხსენეთ „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ და მაიდანი — უკრაინაში).

არასამთავრობო ორგანიზაცია (ასო), აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაცია — ეს არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე. ასეთი ორგანიზაციები მუშაობდნენ საქველმოქმედო, ადამიანის უფლებების დაცვის, რელიგიის, იურიდიული მომსახურების, კულტურის, სპორტისა და სხვა მიმართულებებით.

პირველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია XIX საუკუნეში, 1823 წელს შეიქმნა ლონდონში. ეს იყო მონობის წინააღმდეგ ბრძოლის ბრიტანული და საერთაშორისო საზოგადოება.

**მეოცე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში სულ 134 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, 1958 წელს — დაახლოებით 1000, ამჟამად კი რაოდენობა იმ ორგანიზაციებისა, რომლებსაც სხვა ქვეყნების მთავრობები აფინანსებს (ძირითადად, სამხრეთის ქვეყნებში), 40 ათასამდეა, ისინი გაცილებით მეტია განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში 1,5 მლნ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რუსეთში — 277 ათასი, საქართველოში კი — დაახლოებით 10 ათასი.**

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები დედამიწის ხუთივე კონტინენტზე მოქმედებენ, ამასთანავე, მათი შტაბბინები ძირითადად განლაგებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს განვითარებულ ქვეყნებში: „საერთაშორისო ამნისტიის“ — ლონდონში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის — ჟენევაში, „ოქსფამი“ — ოქსფორდში, „გრინფისი“ — ამსტერდამში, „ფრიდომ ჰაუსი“ — ვაშინგტონში და ა.შ.

ამა თუ იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს თავიანთ მიზნად დეკლარირებული აქვთ საერთაშორისო სტანდარტები და ხაზს უსვამენ თავიანთ დამოუკიდებლობას, თუმცა ზოგჯერ მიკერძოებულად მოქმედებენ, ადამიანების ვიწრო წრის სასარგებლოდ. ამის საილუსტრაციოდ უდიდესი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის“ (Amnesty International) მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ.

**რა არის ცნობილი AMNESTY INTERNATIONAL-ზე?**

## ოდიოზური სპონსორები

„საერთაშორისო ამნისტია“ **(Amnesty International)** 1961 წელს შეიქმნა დიდ ბრიტანეთში. მის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია, რომ ორგანიზაცია არსებობს თავისი წევრებისა და კერძო პირების ნებაყოფლობითი შემოწირულობებით, რომელიც მას სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას აძლევს, მაგრამ „საერთაშორისო ამნისტიას“ დიდძალ თანხებს სწირავს ისეთი ოდიოზური ორგანიზაციები, როგორიცაა ჯორჯ სოროსის ფონდი Open Society Foundation-ი, დემოკრატიის მხარდამჭერი ნაციონალური ფონდი (NED) და სხვ. მსოფლიოში ადამიანის უფლებების დასაცავად თანხებს არ იშურებს, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის მთავრობა, ევროპისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო ამნისტია“ არც მალავს თავის მჭიდრო კავშირს დასავლეთის ქვეყნების მთავრობებთან. 2012—2013 წლებში ამ ორგანიზაციის აშშ-ის განყოფილებაში აღმასრულებელი დირექტორის პოსტი ეკავა **სუზენ ნოსელს — ჰილარი კლინტონის** თანაშემწეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში. ნოსელი ცნობილია არა მხოლოდ უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწეობით, არამედ ის არის ავტორი ტექნოლოგიისა SmartPower-ი, რომელიც აშშ-ის ინტერესების დასაცავად ითვალისწინებს სამხედრო ძალის გამოყენებასა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ამა თუ იმ ქვეყანაში.

## ომი სირიაში

„საერთაშორისო ამნისტია“ სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის წინა ხაზზეა. ამ ორგანიზაციამ თავის 2012 წლის მოხსენებაში გააკრიტიკა ჩინეთი და რუსეთი სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე ვეტოს დადების გამო. მოხსენების ავტორთა აზრით, ჩინეთმა და რუსეთმა ხელი შეუშალეს სირიაში „დემოკრატიული გადატრიალების“ მოწყობას.

2017 წლის თებერვალში „საერთაშორისო ამნისტიამ“ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც სირიის პრეზიდენტის — **ბაშარ ასადის** რეჟიმი ადამიანების გაუსამართლებლად დასჯაში დაადანაშაულა. მოხსენების ავტორები წერენ, რომ **2011—2015 წლებში ციხე „საიედნაიაში“ 13 ათასზე მეტი ადამიანი ჩამოახრჩვეს.** „საერთაშორისო ამნისტია“ თავის განცხადებებში იშვიათად მოიხსენიებს დასავლეთისგან მხარდაჭერილი რადიკალური დაჯგუფებისა და ტერორისტების მსხვერპლს, ამასთანავე, რეგულარულად ადანაშაულებს რუსეთს სირიაში „სამხედრო დანაშაულის“ ჩადენის გამო. მიუხედავად ამისა, როცა ევროპაში დაიწყო მიგრაციული კრიზისი (2015) „საერთაშორისო ამნისტიის“ რუსულმა განყოფილებამ მოსკოვს მოუწოდა, დაუყოვნებლივ დაეწყო სირიელი ლტოლვილების მიღება.

## ომი სპარსეთის ყურეში

Amnesty International-ის მხრიდან დასავლეთის ქვეყნების ინტერესების დასაცავად მოქმედების ყველაზე ნათელი მაგალითია მხარდაჭერა ოპერაციისა „ქარიშხალი უდაბნოში“. 1990 წლის დეკემბერში ამ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ბრალს სდებდა ერაყის ხელისუფლებას, რომ მან ინკუბატორებში სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების მიღება შეუწყვიტა 300-მდე დღენაკლულ ჩვილს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უფლებადამცველები მოქმედებენ აშშ-ის მთავრობის ინტერესების დასაცავად, რომელიც ცდილობდა ერაყის დემონიზებას საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და აშშ-ის კონგრესის დარწმუნებას, რომ ერაყთან ომის დაწყება აუცილებელი იყო.

ამერიკელი კანონმდებლების წინაშე ახალგაზრდა მედდის სიტყვით გამოსვლა ერაყელი სამხედროების თავაშვებულობაზე, რომლებმაც ათასობით ბავშვის სიცოცხლე შეიწირეს, პიარსააგენტო Rendon-Grop-ის მიერ იყო დადგმული.

ცრუ ჩვენებამ გავლენა იქონია კონგრესის კომისიის გადაწყვეტილებაზე. მან, თავის მხრივ, შესაძლებლობა მისცა აშშ-ის ხელისუფლებას, საზოგადოება რეგიონში სამხედრო ოპერაციების ჩატარების აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

## ტერორის ამნისტია

2010 წელს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა, რუსეთისთვის არ გადაეცათ ინვალიდი **ახმედ ჩატაევი**, ეროვნებით ჩეჩენი, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში **დოკუ უმაროვის** მხარდამხარ იბრძოდა ფედერალური ჯარის წინააღმდეგ ჩეჩნეთში.

„საერთაშორისო ამნისტიამ“ საინფორმაციო კამპანია გააჩაღა ჩატაევის დასაცავად — ამტკიცებდა, რომ, თუ ჩატაევს რუსეთს გადასცემდნენ, მას აწამებდნენ და არასამართლიანად გაასამართლებდნენ.

**2016 წელს ჩატაევმა კვლავ შეახსენა თავი მსოფლიოს: თვითმკვლელმა-ტერორისტმა სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტში თავი აიფეთქა. ახმედ ჩატაევის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტის შედეგად 45 ადამიანი დაიღუპა, 200-ზე მეტი დაიჭრა.**

„საერთაშორისო ამნისტია“ არაერთხელ გამოსულა ტერორისტებისა და რადიკალების დასაცავად. მაგალითად, 1998 წელს „საერთაშორისო ამნისტიამ“ პოლიტპატიმრად აღიარა ამერიკელი მემარცხენე აქტივისტი და ჟურნალისტი **ლორი ბერენსონი**, არად ჩააგდო ის ფაქტი, რომ ბერენსონი იყო წევრი ტერორისტული დაჯგუფებისა „ტუპაკ ამარაუს სახელობის მოძრაობა“, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პერუში გადატრიალების მოწყობის მცდელობისა და იაპონიის საელჩოს ხელში ჩაგდებისთვის.

2005 წელს „საერთაშორისო ამნისტიამ“ ევროპაში ტურნე მოუწყო „ალ ქაიდას“ წევრს, ბრიტანელს, წარმოშობით პაკისტანელ **მოაზამ ბეგს**, რომელიც არაერთხელ იყო მხილებული ტერორიზმის პროპაგანდაში. 2015 წელს „საერთაშორისო ამნისტიამ“ საჯაროდ თქვა უარი მოაზამ მეგის მხარდაჭერაზე.

## PUSSYRIOT-ის მხარდაჭერა

„საერთაშორისო ამნისტია“ ხშირად დაუდანაშაულებიათ იდეოლოგიურ მიკერძოებულობაში იმის გამო, რომ კრიტერიუმი, რომლითაც ეს საერთაშორისო ორგანიზაცია განსაზღვრავს სტატუსს „სინდისის პატიმარი“, გაურკვეველია.

მაგალითად, 2011 წელს „საერთაშორისო ამნისტიამ“ სინდისის პატიმრად გამოაცხადა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი **ბორის ნემცოვი**, რომელიც 15 დღით დააპატიმრეს სამართალდამცველების დაუმორჩილებლობის გამო. მოგვიანებით ანალოგიური სტატუსი მიანიჭეს მიხეილ ხოდორკოვსკისაც. „საერთაშორისო ამნისტიას“ უყურადღებოდ არ დაუტოვებია პანკ-ჯგუფ PussyRiot-ის წევრების ისტორია. სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე „საერთაშორისო ამნისტია“ მხარს უჭერდა ნადეჟდა ტოლოკონიკოვასა და სხვებს — მათ ადვოკატებს ფულს უხდიდა.

## მეძავებისა და სუტენიორების უფლებების სადარაჯოზე

**2015 წლის ზაფხულში ევროპაში ხმაურიანი სკანდალი აგორდა. დუბლინში გამართულ ყრილობაზე „საერთაშორისო ამნისტიის“ წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მეძავების ამნისტიას. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით, პროსტიტუცია დანაშაული არ არის, რადგან ცივილიზებულ მსოფლიოში ადამიანს უფლება აქვს, თავისი სხეული ისე გამოიყენოს, როგორც სურს. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ დევნას არ უნდა დაექვემდებარონ სუტენიორები.** ორგანიზაციის საფრანგეთის განყოფილების ხელმძღვანელმა **კეტრინ გოდარმა** განაცხადა, რომ პროექტის მიზანია, მოქალაქეების უკეთ დასაცავად სექს-მომსახურება გადაიქცეს „ჩვეულებრივ საქმედ“.

მეძავების უფლებებისთვის ბრძოლამ ორგანიზაციაში კონფლიქტი გამოიწვია — Amnesty International-ის შვედური განყოფილება 1800 წევრმა დატოვა. ▶

**ქვეყანაში საშუალო ხელფასი 2015 წელს 900,4 ლარს (?) შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პენსია, 180ლარი, საშუალო ხელფასზე, რომელიც გაუგებარია, რა მეთოდით, და რომელი პარამეტრების გათვალისწინებით არის გამოთვლილი, 5-ჯერ ნაკლებია.**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პროსტიტუციის დეკრიმინალიზაცია ადამიანის უფლებების დაცვა არ არის, — განაცხადა ორგანიზაციის ყოფილმა წევრმა როზი როტშტეინმა, — „საერთაშორისო ამნისტიამ" ყურადღება უნდა მიაპყროს სიღარიბეს, რომელიც აიძულებს ქალებს, დაკავდნენ სექსმომსახურებით".

## AMNESTY INTERNATIONAL-ი და საქართველო

ახლახან, 2017 წლის თებერვალში, Amnesty International-მა გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს ეხება, ნათქვამია, რომ საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, არის შერჩევითი მართლმსაჯულება, პოლიტიკური ნიშნით დევნა და სამართალდამცველთა მიერ ძალითა და ზემოქმედებით სხვა საშუალებების გამოყენება. დასახელებულია „რუსთავი 2"-ის მფლობელისა და ე.წ. კაბელების საქმეები, აგრეთვე, **ვანო მერაბიშვილის** საქმე, ფარული ჩანაწერების გავრცელება, ლგბტ-პირებზე თავდასხმები. სხვათა შორის, 2013 წლის 17 მაისს ჰომოსექსუალების აქციის დაშლაზე ერთი ამბავი ატეხა „საერთაშორისო ამნისტიამ", როდესაც განაცხადა, რომ თბილისში პოლიციამ ვერ შეძლო ლგბტ-აქტივისტების დაცვა: „ირონიაა, რომ ეს სამარცხვინო ძალადობა დაემთხვა დღეს, რომელიც მსოფლიოში ჰომოფობიის წინააღმდეგ სოლიდარობის დღედ ითვლება. ეს კი მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას გრძელი გზა აქვს გასავლელი ტოლერანტობის ხელშესაწყობად და ლგბტ ადამიანებისა და მათი უფლებების დასაცავად. ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ძალადობის ფაქტები და პასუხი აგებინოს მათ, ვინც ისეთი ქმედება ჩაიდინა, რომელიც კანონით ისჯება", — წერდა იმხანად „საერთაშორისო ამნისტია".

მაგრამ **„საერთაშორისო ამნისტია" ასეთი მწვავე განცხადებებით არ გამოსულა, როდესაც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიან დემონსტრანტებს, არც 2011 წლის 26 მაისს და მით უმეტეს კრინტი არ დაუძრავს, როდესაც გლდანის ეკლესიის კარი სატვირთო ავტომობილით შელეწეს „ნაცმოძრაობის" ჯალათებმა, შემდეგ კი თმით ათრიეს მრევლი, თუმცა სააკაშვილი და მისი გუნდი, რომელსაც ხელები ქართველი ხალხის სისხლში აქვს გასვრილი, ხომ დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ის ძაღლისშვილები იყვნენ და არიან,** ამიტომ მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე არც მიანიშნებს ეს „ავტორიტეტული" საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავისი პატრონების — დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მთავრობების ინტერესების დასაცავად არც ტყუილებს ერიდება და არც ორმაგ სტანდარტებს.

**ნიკა კორინთელი**

# საქართველო პენსიების ოდენობის მხრივ, არამხოლოდ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებსაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება

**საქართველოს ხელისუფლებები მოსახლეობას ყოველი არჩევნების წინ ჰპირდებოდნენ სოციალური შემწეობების, კერძოდ, პენსიების მომატებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 2003-დან (როცა პენსია 14 ლარი იყო) 2016 წლამდე პენსიამ თითქმის 13-ჯერ მოიმატა და მხოლოდ 180 ლარი შეადგინა (69,2 დოლარი), რაც ლარის კურსის დაცემის, პროდუქტების, მედიკამენტებისა და პირველადი სამომხმარებლო საგნების გაძვირების ფონზე, მაინც ძალიან დაბალია.**



აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 166,3 ლარია (იხ. geostat.ge), რაც ძალიან შორსაა საერთაშორისო ნორმებისგან. **თუ საერთაშორისო ნორმებით ხორცპროდუქტების დღიური ნორმა 200 გრამია, საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ეს ნორმა 70 გრამს შეადგენს (ძროხისა და ხბოს ხორცი — 40 გრ, ღორის ხორცი — 10 გრ, ფრინველის — 20 გრ.), ბევრი ექსპერტის აზრით, 70 გრ ხორცი დღიურ ნორმად — ეს ადამიანის სასიკვდილოდ გაწირვაა, რადგან ხორცი ცილების ძირითადი წყაროა ადამიანისთვის. და, თუ რაციონში ცილები არასაკმარისი რაოდენობითაა, ორგანიზმს ექმნება ცილების დეფიციტი, რაც ნერვული სისტემის მოშლის, ენდოკრინული და სხვა დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს.** ალბათ, ამის მიზეზითაც არის საქართველოში გავრცელებული ისეთი ენდოკრინული დაავადებები, როგორიცაა დიაბეტი და ჩიყვი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 2015 წელს 900,4 ლარს(?) შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პენსია, 180ლარი, საშუალო ხელფასზე, რომელიც გაუგებარია, რა მეთოდით და რომელი პარამეტრების გათვალისწინებით არის გამოთვლილი, 5-ჯერ ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ **ბოლო (2014 წ.) აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 14,3%, ანუ 529 ათასი ადამიანი პენსიონერია.**

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 74,4 წელს შეადგენს (82-ე ადგილი მსოფლიოში), მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა 70,3 წელია, ქალის — 78,3 წელი. საშუალო პენსია — 180 ლარი (2016 წლიდან), საპენსიო ასაკი მამაკაცისთვის 65 წელია, ქალისთვის — 60. სხვათა შორის, **საბჭოთა კავშირში, რომელსაც ასე თავგამოდებით ლანძღავენ ე.წ. ნეოლიბერალები, 1932 წელს შემოიღეს საპენსიო უზრუნველყოფა ხანდაზმულთათვის. საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის იყო 60 წელი, ქალებისთვის — 55. მძიმე პირობებში მომუშავეთათვის, მაგალითად, მეშახტეებისა და მეტალურგებისთვის — მამაკაცებისთვის 50 წელი, ქალებისთვის — 45 (მუშაობის 20-წლიანი სტაჟის შემთხვევაში).**

საერთოდ კი, პენსიის ოდენობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მეთოდით ითვლიან. ზოგ ქვეყანაში პენსია მუშაობის სტაჟზეა დამოკიდებული, ზოგან კი პენსიას ცხოვრების განმავლობაში ამა თუ იმ ფონდში გადახდილი თანხების მიხედვით იღებენ, სხვაგან კი პენსია ხელფასის ნახევრის ან მეტის ტოლია და ადამიანი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ხელფასის გარკვეულ პროცენტს იღებს.

**რამდენი წლისა გადიან პენსიაზე და რამდენია საშუალო პენსია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში?**

მსოფლიოში ყველაზე მეტი პენსია აქვთ **ლუქსემბურგელებს**, რომლებიც საპენსიო ასაკის (60 წელი) მიღწევის შემდეგ ყოველთვიურად იღებენ ხელფასის 87,4%-ს. იქ კი საშუალო ხელფასი დაახლოებით 4,3 ათასი ევროა. გამოდის ლუქსემბურგელების პენსია თვეში დაახლოებით 3500 ევროა, ანუ 9450 ლარი.

**SAბჭოთა კავშირში, რომელსაც ასე თავგამოდებით ლანძღავენ ე.წ. ნეოლიბერალები, 1932 წელს შემოიღეს საპენსიო უზრუნველყოფა ხანდაზმულთათვის. საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის იყო 60 წელი, ქალებისთვის — 55. მძიმე პირობებში მომუშავეთათვის, მაგალითად, მეშახტეებისა და მეტალურგებისთვის — მამაკაცებისთვის 50 წელი, ქალებისთვის — 45 (მუშაობის 20-წლიანი სტაჟის შემთხვევაში)**

* ევროპაში პენსიის სიდიდის მიხედვით მეორე **ნორვეგიაა** — დაახლოებით 2250 დოლარი, ანუ 5850 ლარი. ამ ქვეყანაში პენსიაზე გადიან 67 წლის ადამიანები.

* **ისრაელში** პენსია დაახლოებით 1500 დოლარია (3900 ლ). საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის — 67 წელი, ქალებისთვის 62 წელია.

* **აშშ-ში** საშუალო პენსია 1500 დოლარია, ანუ 3900 ლარი, საპენსიო ასაკი ქალისა და მამაკაცისთვის — 67 წელი.

* **გერმანიაში**, სადაც მამაკაცებისთვის საპენსიო ასაკი 67 წელია, ქალებისთვის — 65, საშუალო პენსია დაახლოებით 1200 ევროა (3240 ლარი).

* ევროპაში ყველაზე მცირე პენსია აქვთ ევროკავშირის ახალ წევრებს: **ბულგარელებს** — 140 ევრო და **რუმინელებს** — 175 ევრო.

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს:

* **რუსეთში,** სადაც საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 60 წელია, ქალებისთვის — 55, საშუალო პენსია 2017 წლიდან დაახლოებით 237 დოლარია (616 ლ);

* **ბელარუსში** საშუალო პენსია 175 დოლარია (475 ლარი). საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის — 60 წელია, ქალებისთვის — 55;

* **ყაზახეთში** 2015 წელს საშუალო პენსია 250 დოლარი, ანუ დაახლოებით 650 ლარი იყო. ამ ქვეყანაში საპენსიო ასაკი 63 (მამაკაცებისთვის) და 58 (ქალებისთვის) წლებია.

* **უკრაინა** — საშუალო პენსია 72 დოლარი, ანუ 187,2 ლ.; საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის — 60 წელი, ქალებისთვის — 55 წელი.

* **ლატვიაში** პენსია 335 დოლარის ტოლია, ლიტვაში — 245 დოლარის, ესტონეთში — 255 დოლარის.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში კი მდგომარეობა ასეთია:

* **აზერბაიჯანში** საშუალო პენსია 210 მანათია, ანუ დაახლოებით 300 ლარი. ამ ქვეყანაში მამაკაცებისთვის საპენსიო ასაკი 63 წელია, ქალებისთვის — 60;

* **სომხეთში**, სადაც საპენსიო ასაკი ქალებისა და მამაკაცებისთვის 63 წელია, საშუალო პენსია დაახლოებით 85 დოლარს შეადგენს (221ლ);

* **თურქეთში** მამაკაცები პენსიაში 60 წლის შესრულების შემდეგ გადიან, ქალები — 58 წლის შემდეგ. ამ ქვეყანაში საშუალო პენსია დაახლოებით 465 დოლარია, ანუ 1200 ლარი.

როგორც ხედავთ, საქართველო მოქალაქეთა პენსიების მიხედვით არა მხოლოდ ევროპასა და მსოფლიოშია აუტსაიდერი, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. არადა, **სახელმწიფო ბიუჯეტს ყოფილი დეპუტატების შენახვა 4,5 მილიონი ლარი უჯდება — 2016 წლის მარტის მონაცემებით, 560-ლარიან პენსიას 677 დეპუტატი იღებს, მათი რაოდენობა კი ყოველ 4 წელიწადში იზრდება.** ყოფილი დეპუტატის პენსია რიგითი მოქალაქის პენსიაზე 3-ჯერ მეტია, არადა, ზოგიერთი დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში ყოფნის ვადას ისე ასრულებს, რომ ტრიბუნაზე სიტყვით ერთხელაც არ გამოდის, არც კანონშემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობს. ან რატომ უნდა ჰქონდეს დეპუტატზე 3-ჯერ ნაკლები პენსია მუშას, ხელოვნების მუშაკს, მწერალს თუ მეცნიერს, მათი წვლილი სახელმწიფო დოვლათის შექმნაში ხომ არანაკლებია, მეტი თუ არა?!

**ნიკა კორინთელი**

**ცნობისთვის:**

**საპენსიო უზრუნველყოფა პირველად შემოიღეს საფრანგეთში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრებისთვის (1673 წ.) საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში. მასობრივი და უნივერსალური საპენსიო უზრუნველყოფა კი პირველად გერმანიაში დააწესეს 1889 წელს, დანიაში — 1891 წელს, დიდ ბრიტანეთში — 1908 წელს, საფრანგეთში — 1910 წელს.**

## საშუალო პენსიის ოდენობა




## ქვეყნები, სადაც პენსიონერებისთვის საცხოვრებელი პირობები საუკეთესოა



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ტროცკისტული ბანდა, ბუხარინის მეთაურობით, ჯერ კიდევ 1918 წელს გეგმავდა ლენინის, სტალინის, სვერდლოვის დაპატიმრებას და მათ ფიზიკურ განადგურებას. მოქმედებდნენ რა ტროცკის პირდაპირი მითითებით, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ბუხარინი, იაგოდა, ტუხაჩევსი 1930-იან წლებში გეგმავდნენ სამხედრო გადატრიალებას, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის ფიზიკურ განადგურებას.**

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

## თუ არ იქნებოდა 1937, არ იქნებოდა 1945 წელი



**1937 წელი იყო ერთ-ერთი უდიადესი წელი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში. რომ არა 1937, არ იქნებოდა ლენინიზმი და სტალინი, რომ არა 1937, იქნებოდა ტროცკი და ტროცკიზმი, მისგან გამომდინარე ყველა ტრაგიკული შედეგით**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (377-383)

— ჩემი დაცემა დაიწყო მაშინ, — განაცხადა **იაგოდამ**, როცა რიკოვმა შემომთავაზა, დამემალა პარტიისთვის ჩემი მემარჯვენული თვალსაზრისი. იყო ერთი იაგოდა — პარტიის წევრი და გახდა სხვა იაგოდა — სამშობლოს მოღალატე, შეთქმული. მე ვიცი ჩემი განაჩენი... არ მსურს, თვალთმაქცურად განვაცხადო, რომ სიკვდილი მინდა. ძნელია ასეთი დამღით სიკვდილი... მე მივმართავ სასამართლოს თხოვნით, თუ შეიძლება, მაპატიეთ“.

**1938 წლის 13 მარტს სასამართლო კოლეგიამ გამოაცხადა განაჩენი, რომლის მიხედვითაც 21 განსასჯელიდან — 18-ს, მათ შორის ბუხარინს, კრესტინსკის, რიკოვს, იაგოდას — მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.**

ასე დასრულდა შეთქმული ტროცკისტების მეოთხე და უკანასკნელი სასამართლო პროცესი, რომელსაც ესწრებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი კორესპონდენტი; არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა უცხოელი დიპლომატების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მედიცინისა და დარგობრივი ექსპერტების მონაწილეობის გარეშე. გამომდინარე აქედან, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაინახა, რომ სასამართლო იყო მიუკერძოებელი, ჭეშმარიტად კვალიფიციური და კომპეტენტური. ამ მოსაზრებას ადასტურებენ ის უცხოელი დიპლომატები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც რეგულარულად ესწრებოდნენ სასამართლო სხდომებს.

აი რას სწერდა თავის ანგარიშში საგარეო საქმეთა მინისტრს პროფესიონალი იურისტი, შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში — **ჯოზეფ დევისი**, რომელსაც არც ერთი სხდომა არ გამოუტოვებია: **„მოსკოვში მომუშავე თითქმის ყველა დიპლომატი თვლის, რომ განაჩენი იყო სამართლიანი, რომ ნამდვილად არსებობდა შეთქმულთა ჯგუფები, რომელთა მიზანი ხელისუფლების დამხობა იყო. საზღვარგარეთ ფართოდ გავრცელებული აზრი, თითქოს ყველა განსასჯელი ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ისინი შეუპოვრად ეკამათებოდნენ ბრალდებას და მხოლოდ იმას აღიარებდნენ, რისი უარყოფაც შეუძლებელი იყო.**

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებელ **ვიშინსკის**, რომელსაც საზღვარგარეთული პროპაგანდა სასტიკ ინკვიზიტორად სახავს, ის ძალიან წააგავს აშ შტატების იუსტიციის მინისტრ **კამინგს**; ისეთივე მშვიდია, მიუკერძოებელი, გონივრული, გაწაფული, ბრძენი, როგორც იურისტი, მე დიდად კმაყოფილი დავრჩი იმით, როგორ მიჰყავდა მას ეს რთული საქმე“.

**მკითხველისათვის ამ მოვლენების არც ხრუშჩოვისეული შეფასება იქნება უინტერესო. XX ყრილობაზე, სადაც იგი ანტისტალინური დემაგოგიური მოხსენებით გამოვიდა, იძულებული იყო, ეთქვა:**

**„პარტიამ ლენინიზმის ყველა მტერი გაანადგურა და ამაში სტალინმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. თუ ეს მტრები არ იქნებოდნენ განადგურებული, ჩვენ არ გვექნებოდა მძიმე ინდუსტრია, არ გვექნებოდა კოლმეურნეობები, აქედან გამომდინარე კაპიტალისტურ გარემოცვაში დავრჩებოდით უძლურნი და განიარაღებულნი“.**

სტალინს ჭეშმარიტად სურდა, რომ ბუხარინი უდანაშაულო ყოფილიყო. დიდხანს არ აძლევდა ორგანოებს მისი დაპატიმრების უფლებას. იგი ზომაზე მეტად აფასებდა მასთან ძველ მეგობრობასა და თანამშრომლობას. ამის ნათელი მაგალითია სტალინის მიერ წარმოთქმული ბუხარინის სადღეგრძელო სამხედრო აკადემიის ბანკეტზე 1935 წელს:

„შევსვათ ბუხარინის სადღეგრძელო, ჩვენ ყველა ვიცნობთ და გვიყვარს იგი და, ვინც წარსულს უხსენებს მას, ვურჩიოთ, დაანებოს თავი წარსულის ქექვას“. სტალინის გულწრფელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მან ბუხარინი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, 1936 წელს შეიყვანა კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში, ამავე წლის დეკემბერში კი, როცა **ეჟოვმა** ამხილა ბუხარინი კიროვის მკვლელობის ორგანიზებაში და მოითხოვა მისი დაპატიმრება, სტალინმა უარი უთხრა იმ მოტივით, რომ „ამ საქმეში სიჩქარე დაუშვებელია“. სტალინმა საკითხის შესწავლა ცეკას წევრებს დაავალა... და **სწორედ ცეკას დადგენილების საფუძველზე დააპატიმრეს ბუხარინი და არა სტალინის მითითებით.** პირიქით, მას შემდეგ, რაც ბუხარინმა **კაგანოვიჩის** კაბინეტში კრესტინსკისთან დაპირისპირებისას უარყო მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, სტალინმა მიუთითა პროკურატურას, შეეწყვიტა ბუხარინის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სამხილის უქონლობის მოტივით. სტალინი აქ ნამდვილად ცდებოდა, გამოძიებამ ბუხარინზე სამხილი საკმარისზე მეტი მოიპოვა. მაშინ სტალინი იძულებული შეიქნა, ბუხარინი პოლიტბიუროზე მიეწვია საკითხის ობიექტურად გაშუქების მიზნით. ბუხარინის ქვრივი **ანა ლარინა** ამ შემთხვევას თავის მემუარებში ასე აღწერს: „ეფიმ ცეიტლინმა თავისი ჩვენებებით ბუხარინი სტალინის წინააღმდეგ ტროცკისტული აქტის მზადებაში ამხილა. პროცესამდე, რომელიც 1937 წლის 23 იანვარს დაიწყო, რამდენიმე დღით ადრე ბუხარინი ცეკა-ში მიიწვიეს. იქ სტალინის, პოლიტბიუროს ყველა წევრისა და ეჟოვის მონაწილეობით მოხდა ბუხარინის დაპირისპირება **სოსნოვსკისთან.** ეყრდნობოდა რა ბუხარინისგან მიღებულ წერილს, დაპირისპირებისას სოსნოვსკიმ განაცხადა, რომ ტროცკისტებმა ტერორის გააქტიურება გადაწყვიტეს, ხოლო ბუხარინის მიერ მათთვის გაგზავნილი ფული მიუთითებდა იმაზე, რომ მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაცია იზიარებს ტროცკისტების თვალსაზრისს და იმავე პრინციპით იმოქმედებს. სტალინის შეკითხვას, გაუგზავნა თუ არა მან სოსნოვსკის ფული, ბუხარინმა უპასუხა: — კი, ვუგზავნიდი!

— ყველაფერი ნათელია, — შენიშნა სტალინმა.

ამხილა რა ბუხარინი, პიატაკოვმა აღიარა, რომ თვითონაც კონტრრევოლუციური ცენტრის წევრი იყო.

— ნუთუ თქვენი ჩვენებები ნებაყოფლობითია? — შეეკითხა პიატაკოვს პოლიტბიუროს წევრი **სერგო ორჯონიკიძე.**

— ჩემი ჩვენებები ნებაყოფლობითია, — უპასუხა პიატაკოვმა.

**რადეკმა** პოლიტბიუროს განუცხადა: „გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციაში ლაპარაკი იყო კიროვის მოკვლაზე, მაგრამ სტალინის ლიკვიდაციის გარეშე, კაპიტალიზმის რესტავრაცია შეუძლებელი იყო“.

მიუხედავად მოყვანილი ფაქტებისა, ბუხარინი არ დაუპატიმრებიათ, უფრო მეტიც, მასთან ჩხრეკაც კი არ ჩაუტარებიათ.

თითქმის 20 წლის განმავლობაში მძვინვარებდა ქვეყანაში ტროცკისტული ტერორი, რომელიც გულისხმობდა საბოტაჟს, დივერსიას, დემაგოგიას, ჯაშუშობას, რეპრესიებს და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარ ანტისახელმწიფოებრივ-ანტიხალხურ სიბინძურეს. სოციალისტური სამშობლოს ამ ბოროტმა მოღალატეებმა, ჯერ კიდევ 1918 წელს განახორციელეს ტერორისტული თავდასხმა **ლენინზე**, მისი ლიკვიდაციის მიზნით. ამავე პერიოდში მოკლეს **ურიცკი და ვოლოდარსკი.** სიცოცხლეს გამოასალმეს **მენჟინსკი, კუიბიშევი, მაქსიმ გორკი,** მისი შვილი **მაქსიმ პეშკოვი.** 1934 წელს ვერაგულად მოკლეს **კიროვი.** ეს ტროცკისტული ბანდა ბუხარინის მეთაურობით ჯერ კიდევ 1918 წელს გეგმავდა ლენინის, სტალინის, **სვერდლოვის** დაპატიმრებას და მათ ფიზიკურ განადგურებას. მოქმედებდნენ რა ტროცკის პირდაპირი მითითებით, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ბუხარინი, იაგოდა, ტუხაჩევსი 1930-იან წლებში გეგმავდნენ სამხედრო გადატრიალებას, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის ფიზიკურ განადგურებას. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც სტალინმა ჩვეული ბრძნული შორსმჭვრეტელობით ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივა შემდეგი ფრაზით გამოხატა: **„ჩვენ ასი წლით ჩამოვრჩით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ჩვენ ან დავფარავთ ამ მანძილს 10 წელიწადში, ან გაგვსრესენ“!**

მხოლოდ 37-ში დადგა შურისგების მომენტი. **სტალინმა მტკიცე ხელითა და ცივი გონებით, კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მომაკვდინებლად დაარტყა მტარვალ რენეგატებს, რითაც „ტროცკისტული ბლოკი“, კაცობრიობის უბოროტესი მტერი, საბოლოოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. ეს იყო ოქტომბრის გადატრიალების ტოლფასი გამარჯვება, თუ მეტი არა, რადგან ტროცკიზმის გამარჯვება და ტროცკის მოსვლა ხელისუფლების სათავეში რუსეთს და სრულიად მსოფლიოს დიდი მასშტაბის უბედურებას უქადდა.** თუ რა საშინელ ხვედრს უმზადებდა კაცობრიობას ტროცკისტული ვანდეა, უკვე აღვნიშნეთ გრიგორი რასპუტინის მდივნის — **არონ სიმანოვიჩის** ფრაზებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი ლოგიკური დასკვნა: დაწყევლილი **1937 წელი იყო ერთ-ერთი უდიადესი წელი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში. რომ არა 1937, არ იქნებოდა ლენინიზმი და სტალინი, რომ არა 1937, იქნებოდა ტროცკი და ტროცკიზმი, მისგან გამომდინარე ყველა ტრაგიკული შედეგით.**

სასამართლო პროცესებმა აჩვენა და მათზე დამსწრე უამრავმა უცხოელმა მოღვაწემ დაადასტურა, რომ შეთქმულების მონაწილენი ნამდვილად იყვნენ ჩართული სახელმწიფო ღალატში, რომლის მიზანი იყო სამხედრო გადატრიალება, სახელმწიფოს ხელმძღვანელების ფიზიკური განადგურება, კაპიტალიზმის რესტავრაცია.

და, რამდენიც უნდა ეცადონ რენეგატები, სოციალიზმისა და რუსი ერის დაუძინებელი მტრები — **ხრუშჩოვ-გორბაჩოვ-ელცინის** ხროვა და მათი დამქაშები — **ვოლკოგონოვები** და ძმანი მათნი, მაინც ვერ შეძლებენ ისტორიის გადაკეთება-გაყალბებას არარსებული „ფაქტების“ გამოგონებით, ბოროტი ჭორების, ბინძური ცილისწამების გავრცელებით, თუნდაც სახელმწიფო არქივების განადგურებით, ისტორიას თავისი მეხსიერება აქვს.

რაკი არქივებზე ჩამოვარდა სიტყვა, ხრუშჩოვის ბინძური მზაკვრობაც უნდა ვახსენო. საქმე ის არის, რომ, როცა მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, მან ადვილად მოახერხა ბერიას გზიდან ჩამოცილება მისი ფიზიკური განადგურებით. შედეგად, ფაქტობ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განა შეიძლება რუს ერს, რუს პატრიოტს, რომელ თაობასაც უნდა წარმოადგენდეს, აუგი წამოსცდეს სტალინზე, რომელმაც თავისი სიცოცხლე, მათ ბედნიერებაზე ზრუნვას შეალია?! რა თქმა უნდა, არა; სტალინს ანათემას გადასცემენ რუსი ხალხის მტრები, რასაც 1937-ს უკავშირებენ, წელს რომელმაც რუსეთი და მსოფლიოც იხსნა გლობალური უბედურებისგან.




**ჩნდება კითხვა: სად არის აქ 100 მილიონი დაღუპული, თუნდაც 40 მილიონი, თუნდაც 1? ოფიციალურად, სახელმწიფო დოკუმენტში აღრიცხულია 642 980 სიკვდილმისჯილი, რაც კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამდენივე დაისაჯა სიკვდილით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიის ფალსიფიკატორები, რომლებიც „ამტკიცებენ“, რეპრესიებმა 60 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო, ვერ ასხვავებენ 64-ს 0,64-ისაგან, მათი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ სასვენი ნიშანია — მძიმე**

რივი ერთმმართველი გახდა. გაეხსნა რა ხელფეხი, ხრუშჩოვმა იმ მიზნით, რომ დაემალა თავისი ბნელი წარსული, დაიწყო არქივების განადგურება... ეს საკითხი საფუძვლიანად შეუსწავლია მწერალ-ისტორიკოს **ალექსანდრე შაბალოვს**, ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი ციტატის მოყვანა წიგნიდან „ამხანაგი სტალინის მეთერთმეტე დარტყმა“.

**„სტალინს არ ეშინოდა თავისი არქივების. სიმართლის პანიკურად ეშინოდა ხრუშჩოვს. მოვიდა რა ხელისუფლებაში, მან იმთავითვე ჩამოაყალიბა ზესაიდუმლო კომისია მათ მოსასპობად. ჩვენ შევძელით მისი ნაწილის ნახვა... ოთახში ასე 30 კაცი ვმუშაობდით. ერთმანეთთან კავშირი აბსოლუტურად გამორიცხული იყო. მოკლედ ვიწერდით საბუთების შინაარსს და ვწვავდით. მაგიდებს შორის მოარული ჩეკისტები დროდადრო გვიახლოვდებოდნენ და გვითითებდნენ საბუთებზე, რომელთა ხსენება არ შეიძლებოდა“...**

როგორც აღვნიშნეთ, სტალინი მუხლჩაუხრელად შრომობდა ქვეყნის ასაღორძინებლად, მისი თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. მსოფლიო განცვიფრებული იყო მისი მოღვაწეობით. კაპიტალისტმა მილიონერმა **ჰენრი ფორდმა** თავისი განცვიფრება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ტრიბუნიდან 1930 წელს შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ის გეგმები, რომლებსაც კომუნისტური ბელადები ახორციელებდნენ, თავისი მოცულობით და მნიშვნელობით აღემატება ისტორიაში ცნობილ ყველაზე დიდ და გაბედულ წამოწყებებს. **პეტრე დიდის პროექტები ფერმკრთალდება სტალინის გეგმებთან შედარებით“.**

ვინც რუსეთის ისტორიას, თუნდაც XIX საუკუნის ისტორიას, იცნობს, ან ვისაც რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ წაუკითხავს, ვერც კი წარმოიდგენს მასშტაბებს იმ გრანდიოზული გარდაქმნებისა, რომლებიც სტალინმა რუსი გლეხკაცის ცხოვრებაში რამდენიმე წელიწადში მოახდინა. ცარიზმის მიერ გალატაკებული, დამონებული მშრომელი სტალინმა შრომის გმირად აქცია... და ეს მისი მოღვაწეობის მხოლოდ ეპიზოდია.

და **განა შეიძლება რუს ერს, რუს პატრიოტს, რომელ თაობასაც უნდა წარმოადგენდეს, აუგი წამოსცდეს სტალინზე, რომელმაც თავისი სიცოცხლე, მათ ბედნიერებაზე ზრუნვას შეალია?! რა თქმა უნდა, არა; სტალინს ანათემას გადასცემენ რუსი ხალხის მტრები, რასაც 1937-ს უკავშირებენ, წელს რომელმაც რუსეთი და მსოფლიოც იხსნა გლობალური უბედურებისგან.**

1937 წლის 5 მარტს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სტალინმა განაცხადა: „ჩვენს ზოგიერთ პარტიულ ხელმძღვანელს ცუდი სენი სჭირს, ისინი უყურადღებობას იჩენენ ადამიანების მიმართ. როგორც პარტიის წევრების, ასევე უპარტიო მუშაკების მიმართაც. უფრო მეტიც, ისინი არ სწავლობენ თავიანთ მუშაკებს, არ იციან, რით ცხოვრობენ ისინი, ამიტომ მათ არც ინდივიდუალური მიდგომა აქვთ თავიანთი მუშაკების მიმართ. ინდივიდუალური მიდგომა კი ძირითადია ჩვენს საორგანიზაციო მუშაობაში... სწორედ იმის გამო, რომ ისინი ცუდად იცნობენ თავიანთ კადრებს, ადგილი აქვს პარტიული კადრების დაუმსახურებელ დარბევას, პარტიის რიგებიდან ათასობით და ათიათასობის ადამიანის გარიცხვას. ეს კი უბრალო საქმედ მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რადგან ჩვენი პარტია ძლიერი და მრავალრიცხოვანია, ასეთი დანაკლისი მის ძლიერებას ვერ შეასუსტებს. ასე მხოლოდ ანტიპარტიული ელემენტები შეიძლება მსჯელობდნენ.

ადამიანებისადმი ასეთმა უსულგულო დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, გაღიზიანება გამოიწვია პარტიის წევრთა ერთ ნაწილში და გასაგებიცაა, რომ მათ ტროცკისტი მავნებლები ადვილად ითრევენ თავიანთ ჭაობში.

...ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის თვითნებობა იქამდე მიდის, რომ თავის წევრს პარტიიდან აძევებს სოციალური მდგომარეობის დამალვისა და პასიურობისთვის. ამასაც არ სჯერდებიან, ხსნიან სამსახურიდან და ბინიდან ასახლებენ. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ასეთი პარტიული ორგანიზაციები წყალს ხალხის მტრების წისქვილზე ასხამენ“.

აღნიშნულ საკითხზე სტალინმა ყურადღება კიდევ უფრო გაამახვილა ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმზე. მან კონკრეტული მაგალითებისა და კონკრეტული პირების დასახელებით ამხილა პარტიის მაღალ ეშელონებში მოკალათებული თანამდებობის პირები, რომლებიც „ტროცკისტული ბლოკის“ მითითებით იბრძოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი მოგონილი ბრალდებებით ცილს სწამებდნენ პატიოსან, პარტიის ერთგულ ადამიანებს, აძევებდნენ პარტიის რიგებიდან და აპატიმრებდნენ კიდეც. „მაგალითად: აზერბაიჯანის ცეკამ 1937 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე პარტიის რიგებიდან გარიცხა 279 კომუნისტი; სტალინგრადის საოლქო კომიტეტმა ამავე წლის 26 ნოემბერს — 69 კაცი, ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტმა 28 ნოემბერს — 72; ორჯონიკიძის სამხარეო კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიამ 160 გარიცხულიდან, როგორც არასწორად და სრულიად დაუსაბუთებლად გარიცხული, 101 კომუნისტი აღადგინა პარტიის რიგებში. დაზარალებულთა აპელაციის საფუძველზე, ნოვოსიბირსკის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში დააბრუნა 51 წევრი 80-დან; როსტოვის პარტორგანიზაციამ — 43 წევრი 66-დან; სტალინგრადის პარტორგანიზაციამ — 58 წევრი 103-დან; სარატოვისამ — 80, 134-დან და ა.შ. ხარკოვის ოლქის ბევრ რაიონში „სიფხიზლის“ საბაბით ადგილი აქვს კადრების სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევებს, ასევე, პარტიის რიგებიდან მათ მასობრივ გაძევებას. შემოწმებებმა გამოავლინა მათი უსაფუძვლობა და უკანონობა. ასე მაგალითად, ზმიევსკის რაიონში 1937 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სამუშაოდან მოხსნილია 36 მასწავლებელი, 42 კი მონიშნულია გასათავისუფლებელთა სიებში. ამის შედეგად მთელ რიგ სოფლებში აღარ ისწავლება ისტორია, სსრ კავშირის კონსტიტუცია, რუსული, უკრაინული და უცხო ენები.

თუ რა უსაფუძვლო და ხშირად ცინიკურია ეს გათავისუფლებები, კარგად ჩანს შემდეგ მაგალითზე: ქ. ზმიევსკის საშუალო სკოლაში მუშაობდა ბიოლოგიის მასწავლებელი ქალი **ჟურკო**, 1904 წელს დაბადებული, კოლმეურნის შვილი, 8 წლის სტაჟის მქონე, დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი. ადგილობრივ გაზეთში მის ძმაზე, რომელიც ქ. იზიუმში პედაგოგად მსახურობდა, გაჩნდა მინიშნება, თითქოს იგი ნაციონალისტია. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჟურკო მოეხსნათ თანამდებობიდან, ამას კი მისი პედაგოგი მეუღლის გათავისუფლება მოჰყვა. საკითხის განხილვამ გამოავლინა, რომ გაზეთში დაბეჭდილი სტატია შეთითხნილი იყო ადგილობრივი ტროცკისტის მიერ, ხოლო ჟურკოს ძმა ნაციონალისტი არ ყოფილა.

კუიბიშევის ოლქის ბევრ რაიონში პარტიის რიგებიდან გარიცხულია დიდი რაოდენობით კომუნისტი „ხალხის მტრის“ ბრალდებით. შინსახკომის ორგანოებმა, გადაამოწმეს რა ბრალდებულთა საქმეები, 50-დან 43 უდანაშაულოდ ცნეს, გაათავისუფლეს ისინი პატიმრობიდან და აღადგინეს პარტიის რიგებში.

ხალხის მტრების ასეთი პროვოკაციული საქმიანობა გამომჟღავნდა და აღიკვეთა საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა ოლქში, ქალაქსა თუ რაიონში“.

სტალინმა პლენუმზე სასტიკად დაგმო პარტიის წევრთა და უბრალო ადამიანების მიმართ გამოვლენილი რეპრესიების შემთხვევები, მან პარტიის მესვეურებს შეახსენა, რომ **„პარტია პარტიის წევრისთვის იქცა ძალიან დიდ და სერიოზულ საქმედ, ამიტომ პარტიის რიგებში ყოფნა თუ მისი რიგებიდან გარიცხვა, პარტიის წევრის ცხოვრებაში დიდი გარდატეხის მომასწავლებელია. დროა, შევიგნოთ, რომ პარტიის რიგითი წევრისთვის პარტიაში ყოფნა-არყოფნა სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასია“.** პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში, სხვა მრავალ პუნქტთან ერთად, შემდეგიც ჩაწერა:

„დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს, გადასცენ პარტიულ პასუხისგებაში პირები, რომლებიც შემჩნეულნი არიან უდანაშაულო ადამიანების ცილისწამებაში. მთლიანად იქნან რეაბილიტირებულნი არასწორად დასჯილნი. გამოქვეყნდეს პრესაში მათი გამამართლებელი მასალები. აიკრძალოს არასწორი, დანაშაულებრივი პრაქტიკა, როცა პარტიის რიგებიდან გარიცხულთ ხსნიან დაკავებული თანამდებობიდან და, თუ ეს განთავისუფლება აუცილებელია, მისი განხორციელება მოხდეს მას შემდეგ, რაც დაზარალებულს ახალი სამუშაო მიეცემა.

დაევალოთ საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, 1938 წლის 15 თებერვლამდე უზრუნველყონ პარტიიდან გარიცხულთა შრომითი მოწყობა; მომავალში არ დაუშვან, რომ პარტიიდან გარიცხულები უმუშევარი დარჩნენ“.

მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და მილიარდობით მატერიალური ფასეულობა შეიწირა ამ ურჩხულთა ნამოქმედარმა... და მაშინ, როცა სტალინმა გვიან, მაგრამ მაინც შესძლო მათი განადგურება — 1937-ში. **რუსი კონტრრევოლუციონერები, ისევე, როგორც ყველა ჯურის ანტისოციალისტი, აღდგა სტალინის წინააღმდეგ. რა არ დააბრალეს, რა არ მოუგონეს, რა შხამი და ნაღველი არ ანთხიეს ამაგდარი ადამიანის მიმართ.**

...და ამ სიბინძურეს სწორედ 1937 წელი დაუდეს საფუძვლად: თითქოს სტალინმა სწორედ ამ საბედისწერო წელს მასობრივი რეპრესიების გამოყენებით მილიონობით უდანაშაულო ადამიანი გაანადგურა. სახელდება ფანტასტიკური რიცხვები — 60-დან 120 მილიონამდე და ამ მონაცემების ავტორებს — **სოლჟენიცინებს, რაძინსკებს, იაკოვლევებს, კარიაკინებს — ამ კანიბალებს ისტორიული მოვლენების გაყალბების გზით სურთ, უკეთილშობილესი სტალინი სისხლისმსმელ ტირანად წარმოგვიდგინონ.**

ისტორიული სიმართლე კი სრულიად საწინააღმდეგოს ლაღადებს.

**ნაძირალების მიერ დასახელებული 60-120 მილიონი ადამიანის განადგურება სახელმწიფოში, რომლის მოსახლეობა 160 მილიონს შეადგენდა, დემოგრაფიულ კატასტროფას გამოიწვევდა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ნული იქნებოდა წლების განმავლობაში, სინამდვილეში კი პირიქით მოხდა.**

ამის დასადასტურებლად საკმარისია უბრალო სტატისტიკის მოშველიება. **ევროპის სამ უდიდეს სახელმწიფოში — ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში — 1914—1960 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი საშუალო წლიური მატება 0,4%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 0,6% იყო. აქედან გამომდინარე, ელემენტარული მათემატიკის მოშველიებით ვრწმუნდებით, რომ საბჭოთა კავშირში სტალინის მოღვაწეობის პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი საშუალო წლიური მატება ერთ-ნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეყნებში. მითი მილიონობით და ათეულ მილიონობით რეპრესირებულთა შესახებ კი გათვლილია იმ ადამიანებზე, რომელთაც არათუ დამოუკიდებელი აზროვნების, არამედ მარტივი არითმეტიკული რიცხვებით მანიპულირების უნარიც კი არ აქვთ.**

სინამდვილეში რამდენი იყო რეპრესირებული? ამ შეკითხვაზე, ყველა სხვა ამ საკითხზე გამოქვეყნებულ მასალათაგან შედარებით ზუსტ პასუხს იძლევა ხრუშჩოვის სახელზე 1954 წლის 1 თებერვალს დაწერილი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი **რუდენკო**, შინაგან საქმეთა მინისტრი **კრუგლოვი**, იუსტიციის მინისტრი **გორშენინი.** ამ ფრიად კომპეტენტურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე, კონტრრევოლუციური დანაშაულისთვის გასამართლებული იყო **3 777 380** ადამიანი. მათგან დახვრეტა მიუსაჯეს 642 980-ს, რა თქმა უნდა, ყველა არ დაუხვრეტიათ, ზოგს შეუცვალეს სასჯელის ზომა და მაინც ბევრია, თუ ცოტა დაღუპულთა რაოდენობა? რა თქმა უნდა, ბევრია. თუმცა ვინ იცის, შეიძლება ცოტაც კი იყოს იმ მრისხანე პერიოდში, სასტიკ მტერთან შერკინების შედეგად მიღწეულ ისტორიულ გამარჯვებათა ფონზე.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: სად არის აქ 100 მილიონი დაღუპული, თუნდაც 40 მილიონი, თუნდაც 1? ოფიციალურად, სახელმწიფო დოკუმენტში აღრიცხულია 642 980 სიკვდილმისჯილი, რაც კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამდენივე დაისაჯა სიკვდილით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიის ფალსიფიკატორები, რომლებიც „ამტკიცებენ“, რეპრესიებმა 60 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო, ვერ ასხვავებენ 64-ს 0,64-ისგან, მათი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ სასვენი ნიშანია — „მძიმე“.

იყო თუ არა სტალინური მმართველობის წლები რეკორდული პატიმართა რაოდენობით? ამ საკითხზე, საინტერესოა, მოვისმინოთ საბჭოთა კავშირისდროინდელი საშინაო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის კომენტარი, რომელიც მან 1991 წელს რუსულ პრესაში გააკეთა: **„თუ სტალინის მმართველობის 30 წლის განმავლობაში საბჭოთა ციხეებში 4 მილიონამდე პატიმარი იხდიდა სასჯელს, ბოლო 30 წლის განმავლობაში, 1960—1990 წლამდე, ამ რიცხვმა 11 მილიონს გადააჭარბა“.**

დაახლოებით ასეთია ისტორიული 1937-ის უარყოფითი და დადებითი შედეგები. მთავარი კი ის არის, რომ, თუ არ იქნებოდა 1937, არ იქნებოდა 1945 წელი.

ჟურნალისტური გამოძიება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იქ შემთხვევით აღმოვჩნდი, ვიდექი ხუთიოდე მეტრის მოშორებით, ამიტომ ვერ გეტყვით, სამსონი მთვრალი იყო თუ არა, მაგრამ, რაც სამსონმა ჩაიდინა, იმას ფხიზელი ადამიანი არ გააკეთებდა“.**

# რა მოხდა სოფელ ნარდევანში,

## ანუ გადაიქცევა თუ არა ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის საქმე მეორე «გირგვლიანის საქმედ»?

**წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში მცხოვრები თამარიანებისა და მელტონიანების ოჯახების დაპირისპირებაზე სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ შევიტყვე. ვადასტურებ, რომ არც მელტონიანები არიან ჩემი გადამკვდარი მეგობრები და არც თამარიანები, ამიტომ ზედმიწევნით შევისწავლე ამ საქმის ხელმისაწვდომი ოფიციალური მასალები, ვეწვიე ნარდევანს, გავესაუბრე მცხოვრებლებს და მკითხველს ვთავაზობ დატრიალებული უბედურების ქრონიკას ჩემი მოსაზრებებით, რომლებსაც თავს არავის ვახვევ; უბრალოდ, ამ წერილის წაკითხვისას მკითხველს ვთხოვ, სალი გონებით განსაჯოს მომხდარი.**

2016 წლის 30 ივლისს სოფელ ნარდევანის მკვიდრი, ყოფილი გამგებელი, ყოფილი ნაციონალი, შემდეგ — „მეოცნებე“, ამჟამად კი წალკის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავკაცი **სამსონ თამარიანი** დაახლოებით 17:00 საათზე კუთვნილი ავტომანქანით („მერსედეს-ბენც“ GL 550, სახ. ნომერი MHR–009) მოძრაობდა სოფელ ნარდევანის ცენტრში. თავისი მაღაზიის ახლოს სამსონმა შეამჩნია, როგორც თვითონ მიიჩნევს, მისი არაკეთილმსურველის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის — **აიკ მელტონიანის** 17 წლის ვაჟი **მერგელი** და მასთან ერთად მყოფი მისი ბიძაშვილი **ჰაიკ მელტონიანი.** რა მოხდა ამის შემდეგ?

მოვუსმინოთ ორივე მხარეს.

**მერგელ მელტონიანის** ჩვენებიდან: „დაახლოებით 17:00 საათზე ბიძაშვილთან, ჰაიკ მელტონიანთან ერთად, მივდიოდი სოფლის სტადიონზე, სადაც ნავთობსადენზე მომუშავე უცხოელებს ფეხბურთი უნდა ეთამაშათ. სოფლის ცენტრში დავინახეთ მანქანაში მჯდომი სამსონ თამარიანი. მან უხეშად გვიხმო. შეგვეშინდა, რადგან ჩვენი მშობლები წლების განმავლობაში გვაფრთხილებდნენ, თავი აგვერიდებინა სამსონ თამარიანთან ნებისმიერი ურთიერთობისთვის, — გვემტერება და შეიარაღებული დადისო. მივედით მანქანასთან. მე შევიხედე სალონში. იქ თოფი ვერ შევამჩნიე და დავმშვიდდი. სამსონ თამარიანს პირიდან ამოსდიოდა ალკოჰოლის სუნი. მან დაგვიწყო ლანძღვაგინება. უცებ სამსონმა საჭე მარჯვნივ დაატრიალა, მკვეთრად დააწვა „გაზს“ და მანქანა უკან დაძრა. ვიგრძენი ძლიერი დარტყმა და მიწაზე დავეცი, ასევე ვიგრძენი საშინელი ტკივილი ფეხებში“.

**ჰაიკ მელტონიანის** ჩვენებიდან: „მერგელი წაიქცა. უკუსვლით წასულმა სამსონ თამარიანმა მანქანა დაამუხრუჭა და ისევ წინ გამოქანდა, რათა წაქცეული მერგელისთვის გადაევლო. მე ჩავავლე მერგელს ხელი და გვერდით გავათრიე. სადაც წამით ადრე მერგელი იწვა, სამსონის მანქანამ ჩაიქროლა. შემდეგ გააჩერა მანქანა და დაგვემუქრა: მანდ დამელოდეთ და ნახავთ, რაც მოგივათო და წავიდა“.

**ახლა მოვუსმინოთ მეორე მხარეს.**

**სამსონ თამარიანის** ჩვენებიდან: „სოფლის გზაზე მანქანით ვმოძრაობდი. სოფლის ცენტრში დამხვდნენ არასრულწლოვანი მერგელ მელტონიანი და მისი ბიძაშვილი ჰაიკ მელტონიანი. შემეკამათნენ, მერე დამიწყეს ლანძღვაგინება და ცემა. მანქანაში მჯდომს ღია ფანჯრიდან მერგელი და მისი ბიძაშვილი ისე ძლიერად მირტყამდნენ მუშტებს სახესა და თავში, რომ ტკივილისგან რამდენიმეჯერ კინაღამ გონება დავკარგე. ჩემს მანქანას ეს ბიჭები მთელი ძალით ურტყამდნენ წიხლებს და ჩაამტვრიეს წინა მარცხენა კარის მინა. ამის შემდეგ შეშინებული გავიქეცი შემთხვევის ადგილიდან, მერგელ მელტონიანი კი მომდევდა და ქვებს ისროდა მანქანის მიმართულებით“.

დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდა სულ ოთხი ადამიანი: სამსონ თამარიანი, რომელიც უარყოფს, რომ მანქანა დააჯახა 17 წლის მოზარდს; დაზარალებული მერგელ მელტონიანი; მისი ბიძაშვილი ჰაიკ მელტონიანი და მათი თანასოფლელი, სრულიად ნეიტრალური პიროვნება **სარო აივაზიანი.** სამსონ თამარიანისა და აიკ მელტონიანების ოჯახები ნათესავები არიან, ხოლო ბატონი სარო არ ენათესავება არც ერთ მათგანს. როგორც სარო აივაზიანმა მითხრა, სამსონ თამარიანმა მანქანა ჯერ მერგელ მელტონიანს დააჯახა, შემდეგ კი სცადა, მანქანით გადაევლო წაქცეულისთვის, მაგრამ ჰაიკ მელტონიანმა მოასწრო მერგელის გზიდან გადათრევა. ჩემს კითხვაზე, იყო თუ არა სამსონ თამარიანი არაფხიზელ მდგომარეობაში, ბატონმა სარომ მიპასუხა: **„იქ შემთხვევით აღმოვჩნდი, ვიდექი ხუთიოდე მეტრის მოშორებით, ამიტომ ვერ გეტყვით, სამსონი მთვრალი იყო თუ არა, მაგრამ, რაც სამსონმა ჩაიდინა, იმას ფხიზელი ადამიანი არ გააკეთებდა“.**



გარდაცვლილი ანდრანიკ მელტონიანი

ოთხიდან სამმა მოწმემ დაადასტურა სამსონ თამარიანის მიერ მერგელ მელტონიანზე მანქანის დაჯახება და მკვლელობის მცდელობა. სამივე მოწმის ჩვენება დევს საქმეში, მაგრამ ხომ არის შესაძლებელი, რომ სამი მოწმე ცრუობდეს, ხოლო ერთი იყოს ცამდე მართალი? სრულიად შესაძლებელია. მაშ, ვის დავუჯეროთ?

მოდი, ვცადოთ და ჯერ სამსონ თამარიანის ჩვენება დავიჯეროთ. ბატონი სამსონი თავის ჩვენებაში ამბობს, ჩემს მანქანას ეს ბიჭები მთელი ძალით ურტყამდნენ წიხლებს და ჩაამტვრიეს წინა მარცხენა კარის მინაო... **ანდრანიკ მელტონიანის** მკვლელობიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სამსონ თამარიანის „მერსედეს-ბენც“ GL 550 დაათვალიერა წალკის პოლიციის გამომძიებელმა **მერაბ ყულოშვილმა.** მან დაზიანებები ვერ იპოვა. მოგვიანებით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა სამსონ თამარიანის „მერსედესის“ სრული ექსპერტიზა. მის დასკვნაში წერია, რომ მანქანის ყველა მინა მთელია, ხოლო მანქანის ძარას მიკროსკოპული დაზიანებაც კი არ აღენიშნება და არის იდეალურ მდგომარეობაშიო. საკვირველია ისიც, რატომ არ მიმართა დაზარალებულმა სამსონ თამარიანმა წალკის საავადმყოფოს, მას ხომ ბიჭები **„ისეთი სიძლიერით ურტყამდნენ სახესა და თავის არეში, რომ რამდენიმეჯერ კინაღამ გონება დაკარგა“?**

დავიჯეროთ, რომ სამსონ თამარიანმა აპატია ახალგაზრდა ხულიგნებს მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, მით უმეტეს, დანაშაული შეუნდო მისი პირადი მტრის, წალკის რაიონში 2012 წელს „ნაცმოძრაობის“ ზეობის ხანაში, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, აიკ მელტონიანის, შვილს — მერგელს? ნუთუ სამსონ თამარიანმა, კეთილშობილური ზრახვების გამო, ხელიდან გაუშვა ასეთი უნიკალური შესაძლებლობა, **კანონიერად** გასწორებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს? თუმცა სამსონ თამარიანის შემდეგმა მოქმედებამ ხაზი გადაუსვა მის კეთილშობილებას. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობ, რომ **სამსონ თამარიანმა იმიტომ არ მიმართა წალკის საავადმყოფოს, რომ მისი სახე ისეთივე იდეალურ მდგომარეობაში იყო, როგორც მისი „მერსედესი“.** მეტიც, გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების გასამყარებლად სამსონ თამარიანმა, ალბათ, სიხარბისგან ვერ გაწირა ძვირფასი მანქანა, ანუ არ ჩაამტვრია წინა მარცხენა მინა და თავის „მერსედესს“ წიხლებიც ვერ „უთავაზა“. ჩანს, დასაჟეჟად ვერც საკუთარი ფიზიონომია გაიმეტა, რადგან არ სთხოვა ოჯახის წევრებს, სახეში ორიოდე მუშტი მაინც დაერტყათ... ნარდევანში ყოფნისას დავუკავშირდი სამსონ თამარიანს და ვთხოვე შეხვედრა, რათა თვითონ უარეყო მელტონიანებისა და თანასოფლელების მიერ ჩემთვის მოწოდებული ინფორმაცია. ბატონმა სამსონმა საკმაოდ უხეშად მირჩია, — შენ, უკეთესია, მელტონიანებს ჰკითხე, რა უნდათ ჩემგანო და მობილური გათიშა. დამეთანხმებით, ბატონი სამსონის „რჩევა“ შორდება საღ აზრს, რადგან კითხვა „რა უნდათ ჩემგან მელტონიანებს?“ იმ კაცისგან, რომელმაც დაასახიჩრა არასრულწლოვანი მერგელ მელტონიანი, ხოლო 20 წუთის შემდეგ მისმა შვილმა **ანდრანიკ თამარიანმა** სიცოცხლეს გამოასალმა 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი, თავხედურია. **საკითხავია, ვისი იმედით თავხედობს წალკის საკრებულოს წევრი და ამავე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, უჭირს წერა-კითხვა მშობლიურ სომხურ ენაზეც და ძირითადად ლაპარაკობს თურქულად, არ აქვს უმაღლესი ეკონომიკური განათლება?** თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ეს ფაქტი გაოცებას არ უნდა იწვევდეს, რადგან სააკაშვილის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკას მართავდა სტრიპტიზის „მუშაკი“, ვინმე **ვერა ქობალია...**

ნარდევანში მიღებული ცნობებით, სამსონ თამარიანის სახლში საკმაოდ ხშირად ქეიფობდნენ წალკის პოლიციის უფროსი **ნიკოლოზ გადელია**, სოფელ ავრანლოს პოლიციის განყოფილების უფროსი, სამსონ თამარიანის მეუღლის — **ჯულიეტა აგაჯანიანის** თანასოფლელი და ნათესავი **ედუარდ ხაჩატრიანი** და რაიონის სხვა თანამდებობის პირები...

ახლა შევეცადოთ და დავიჯეროთ მერგელ და ჰაიკ მელტონიანების, აგრეთვე, მათი თანასოფლელის — სარო აივაზიანის ჩვენებები. სამსონ თამარიანი ჩვენებაში ამბობს, რომ შეშინებული გავიქეცი შემთხვევის ადგილიდან, მერგელ მელტონიანი კი მომდევდა და ქვებს ისროდა მანქანის მიმართულებითო. ანუ, ბატონი სამსონი უარყოფს, რომ მერგელ მელტონიანს მანქანით დაეჯახა და ფეხი მოტეხა, მაგრამ არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს 2016 წლის 30 ივლისის საღამოს ფეხი მართლა რომ ჰქონდა მოტეხილი, ადასტურებს წალკის საავადმყოფოში იმ დღეს მორიგე ექიმი **ბეჟან ხოზრევანიძე**, აგრეთვე, ამავე სამედიცინო დაწესებულების ტრავმატოლოგი **თამაზ ჯაფარიძე.** მოზარდის ფეხის მოტეხვას ადასტურებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროც. მის დასკვნაში წერია, რომ მერგელ მელტონიანს აქვს მარცხენა ფეხის ორივე წვივის ძვლის ღია მოტეხილობა, რომელიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანების მძიმე ხარისხს და სიცოცხლისთვის სახიფათოა. ჩნდება კითხვა: **მაშ, ვინ მოსტეხა ფეხი მერგელ მელტონიანს? სამსონ თამარიანი კატეგორიულ უარზეა. იქნებ, ჰაიკ მელტონიანმა ან სარო აივაზიანმა მოტეხეს? ან, იქნებ, სულაც, თვითონ მერგელ მელტონიანმა მოიტეხა ფეხი, რითაც ჯოჯოხეთური ტკივილებისთვის გაწირა თავი?**

ის, რომ 2016 წლის 30 ივლისს მერგელ მელტონიანს მანქანის დაჯახების შედეგად ფეხი მოსტეხა სამსონ თამარიანმა, თვით ბატონმა სამსონმა, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარა. ჩადენილი დანაშაულის შესახებ მან მობილური ტელეფონით (რაც გამოძიების მიერ დადასტურებულია — ავტ.) აცნობა სოფელ ნარდევანის რწმუნებულ **ანტარამ მელტონიანს.** ამ ფაქტზე ქალბატონმა ანტარამმა ჩვენება მისცა გამომძიებელს: „2016 წლის 30 ივნისს მობილურით დამიკავშირდა სამსონ თამარიანი და მაცნობა, რომ მანქანით **შემთხვევით** დაეჯახა მერგელ მელტონიანს. მე დავუკავშირდი პოლიციას და მომხდარზე შევატყობინე“. რით დავეხმარო წალკის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავკაც სამსონ თამარიანს ამ ეპიზოდში?

აი, როგორ ამართლებს პრესის ფურცლებზე თამარიანს მისი ერთ-ერთი ადვოკატი **მუხრან ღურწკაია:** „...ჩვენ დავდეთ ექსპერტიზის დასკვნა, რომ ამ გადავლით (ადვოკატი გულისხმობს მანქანით გადავლას მერგელ მელტონიანის ფეხზე — ავტ.) ასეთი დაზიანება ვერ იქნებოდა, ისინი (მელტონიანები — ავტ.) ტყუიან. რამდენიმე მოწმე გამოვკითხეთ და ამ ქმედებებში პირიქით — მელტონიანებს ადანაშაულებენ. მერე კი მათზე (მოწმეებზე — ავტ.) ზეწოლა მოახდინეს და ჩვენებები შეცვალეს“. როგორც შევიტყვე, ბატონმა მუხრანმა და მისმა მეუღლემ, ამ სასამართლო პროცესში მონაწილე ადვოკატმა **თამარ სადრაძემ**, დადეს დამოუკიდებელი სასამართლო-სამედი- ▶

# ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ აიკ მელტონიანის მიერ ყველა ნასროლი ტყვია მანქანას მოხვდა წინიდან, რაც ნათლად მიუთითებს, რომ მანქანა მიემართებოდა უშუალოდ მისკენ. სროლის შედეგად, სამველ თამარიანი ხელში დაიჭრა. მან მოატრიალა მანქანა და გაიქცა.

ჟურნალისტური გამოძიება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ცინო ექსპერტის დასკვნაც. დასკვნა კი დაიდო, მაგრამ ექსპერტს მთავარი გამორჩა — **მერგელ მელტონიანის ტრავმის „ცოცხლად“ დათვალიერება; ანუ დაზარალებული მერგელ მელტონიანი ექსპერტს თვალითაც არ უნახავს, ისევე, როგორც სამსონ თამარიანის მანქანა.** ახლა, რაც შეეხება იმ მოწმეებს, რომლებზეც, ადვოკატ მუხრან ღურწკაიას მტკიცებით, „ზეწოლა მოახდინეს“: ნარდევანში ყოფნისას ამ მოწმეებსაც შევხვდი. ესენი **არიან სარქის მაზმანიანი** და **ტირუნ აივაზიანი.**

„იმ დღეს ვიყავი სათიბში, — აღელვებით მიყვება **ბატონი სარქისი**, — სახლში დავბრუნდი საღამოს შვიდ საათზე. ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობასა და მერგელის ფეხის მოტეხვაზე თანასოფლელებისგან შევიტყვე. როგორ ვარ თვითმხილველი, როცა მე არაფერი დამინახავს?! რატომ დამასახელეს მოწმედ?! რა ჩვენება უნდა მივცე, როცა იქ არ ვყოფილვარ?! თამარიანები და მელტონიანები ჩემი თანასოფლელები არიან და არავის მხარეზე არ ვარ. თუ ისინი ჩხუბობენ, მე რა შუაში ვარ?! რატომ მეძახიან გამომძიებელთან, მე ხომ არაფერი ვიცი. დამანებონ თავი“!

დავუჯეროთ სარქის მაზმანიანს? მე დავუჯერე, რადგან ქალბატონ სადრაძისთვის „მიცემული“ ჩვენების გამო აღშფოთების ასე გამოხატვა-გათამაშება თვით დიდ სომეხ მსახიობს, შექსპირის გმირების სცენაზე გაცოცხლების უბადლო ოსტატს — **ვაგრამ პაპაზიანსაც** კი გაუჭირდებოდა. ასეთივე აღშფოთება გამოხატა ტირუნ აივაზიანმაც.

დავუბრუნდეთ სოფელ ნარდევანის ცენტრში მომხდარს.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ამ შემთხვევის შემდეგ სამსონ თამარიანმა გეზი თავისი სახლისკენ აიღო. სახლიდან ის მობილურით დაუკავშირდა ძმას — **სამველ თამარიანს** და შვილს — **ანდრანიკ თამარიანს** და მოიხმო. რამდენიმე წუთში სამველი და ანდრანიკი მივიდნენ სამსონთან, რომელმაც, **სავარაუდოდ**, ჩადენილი დანაშაულის გამართლების მიზნით, განუცხადა მათ, რომ მელტონიანები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამ მომენტში მასთან სახლში მივიდნენ პოლიციელები, რადგან **დაზარალებული მერგელ მელტონიანის მამამ აიკ მელტონიანმა და ბიძაშვილმა ანდრანიკ მელტონიანმა არაერთხელ დარეკეს 112-ში (დადასტურებულია გამოძიების მიერ — ავტ.) და განაცხადეს, რომ სამსონ თამარიანმა დაასახიჩრა მერგელ მელტონიანი, რომელიც სოფლის ცენტრში სისხლისგან იცლება, და მოითხოვეს სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის მისვლა შემთხვევის ადგილზე.** ასევე, სოფელ ავრანლოს პოლიციის განყოფილებას მომხდარზე შეატყობინა ნარდევანის რწმუნებულმა ანტარამ მელტონიანმა.

მოწმეების ჩვენებით, შემთხვევის ადგილზე, სადაც უკვე შეკრებილი იყო ხალხი და იწვა ფეხმოტეხილი მერგელ მელტონიანი, სასწრაფოზე ადრე სამსახურის პიკაპით ავრანლოდან მივიდნენ პოლიციელები ედუარდ ხაჩატრიანის მეთაურობით. შეგახსენებთ, ეს პიროვნება არის სამსონ თამარიანის მეუღლის ნათესავი და თანასოფლელი. დაზარალებულის მამამ და მერგელის ბიძამ — **მორლენ მელტონიანმა** პოლიციელებს ყველაფერი უამბეს დანაშაულის შესახებ და სთხოვეს ედუარდ ხაჩატრიანს, დაუყოვნებლივ დაეკავებინათ სამსონ თამარიანი, რადგან მერგელისა და ჰაიკისგან შეიტყვეს სამსონის მუქარა, — ცოტა ხანში დავბრუნდები და ნახავთ, რაც მოგივათო. ის, რომ პოლიციელები მივიდნენ სამსონ თამარიანის სახლში და ნახეს სამსონი, დადასტურებულია მოწმის — **გაიანე ნაზლოიანის** ჩვენებაში, მაგრამ, როცა ხუთიოდე წუთის შემდეგ ედუარდ ხაჩატრიანი დაბრუნდა დანაშაულის ადგილზე და აიკ და მორლენ მელტონიანებს განუცხადა, სამსონი სახლში არ არის და მისი ადგილსამყოფელი არ იციანო, დაზარალებულის მამამ აიკ მელტონიანმა უცენზურო სიტყვებით მიმართა და ყველას გასაგონად ედუარდ ხაჩატრიანი სამსონ თამარიანის მფარველობაში დაადანაშაულა; აიკ მელტონიანის ძმა მორლენი შეეცადა ძმის დამშვიდებას, შეურაცხყოფისთვის ბოდიში მოუხადა პოლიციელს და შეეხვეწა ხაჩატრიანს, დახმარებოდა მათ, რადგან სამსონი დაბრუნებას აპირებსო. **მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა, ედუარდ ხაჩატრიანმა და მისმა თანამშრომლებმა დატოვეს შემთხვევის ადგილი და პოლიციის განყოფილებისკენ წავიდნენ. ყოველივე ეს დადასტურებულია მრავალი მოწმის ჩვენებით. თუმცა ამა წლის 16 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ვესწრებოდი, მოწმედ დაკითხულმა სოფელ ავრანლოს პოლიციის განყოფილების უფროსმა ედუარდ ხაჩატრიანმა ზემოთ ნათქვამი უარყო...**

მოწმეების ჩვენებით პოლიციელების წასვლიდან 2-3 წუთში სამსონ თამარიანის კუთვნილი „ფორდ-ტრანზიტის“ მიკროავტობუსით შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სამსონ თამარიანის ძმა სამველი და სამსონის შვილი ანდრანიკი. მოწმეთა ჩვენებიდან და საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ **შეჯგუფებულ ხალხთან ათ მეტრში სამველმა მანქანა დაამუხრუჭა, გვერდით მჯდომი ანდრანიკი მანქანიდან გადმოხტა და არარეგისტრირებული „ვინჩესტერის“ სისტემის თოფით შეგროვილი ხალხის მიმართულებით გაისროლა. მსხვილი ნადირისთვის განკუთვნილი საფანტი გაიშალა, მათგან ორი თავში მოხვდა აიკ მელტონიანის 23 წლის ძმისშვილს — ანდრანიკ მელტონიანს და ადგილზე მოკლა, ხოლო დანარჩენმა საფანტმა დააზიანა მოკლული ანდრანიკის ავტომანქანა „ნივა“,** ამით ავტომობილის უკან მდგომი ადამიანები გადარჩნენ. შემდეგ ანდრანიკ თამარიანმა თოფი გადატენა, რათა მეორედ ესროლა იქ მყოფი ადამიანებისთვის, საბედნიეროდ, ვაზნა გაიჭედა და ანდრანიკ თამარიანი გაიქცა მკვლელობის ადგილიდან



დაზარალებული მერგელ მელტონიანი

**დაზარალებული მერგელ მელტონიანის მამამ აიკ მელტონიანმა და ბიძაშვილმა ანდრანიკ მელტონიანმა არაერთხელ დარეკეს 112-ში (დადასტურებულია გამოძიების მიერ — ავტ.) და განაცხადეს, რომ სამსონ თამარიანმა დაასახიჩრა მერგელ მელტონიანი, რომელიც სოფლის ცენტრში სისხლისგან იცლება, და მოითხოვეს სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის მისვლა შემთხვევის ადგილზე**

იმ გზით, რომლითაც ის და ბიძამისი მოვიდნენ. ამ მომენტში „ფორდ-ტრანზიტის“ საჭესთან მჯდომმა სამველ თამარიანმა დაძრა მანქანა ანდრანიკ მელტონიანის გვამთან მდგარი აიკ მელტონიანისა და მისი უმცროსი შვილის — ჰამბარცუმის მიმართულებით, რათა მათთვის დაეჯახებინა მანქანა. აიკ მელტონიანმა, რომელსაც 30 წუთის წინათ სამსონ თამარიანმა შვილი დაუსახიჩრა, ხოლო სამსონის შვილმა ერთი წუთის წინათ თვალწინ ძმისშვილი მოუკლა, დაინახა, რომ სამველ თამარიანი ცდილობდა მისთვის და მისი უმცროსი შვილისთვის მანქანის დაჯახებას, ამიტომ ბავშვისა და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ამოიღო ტაბელური იარაღი და გაისროლა მანქანის მიმართულებით...

**ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ აიკ მელტონიანის მიერ ყველა ნასროლი ტყვია მანქანას მოხვდა წინიდან, რაც ნათლად მიუთითებს, რომ მანქანა მიემართებოდა უშუალოდ მისკენ. სროლის შედეგად, სამველ თამარიანი ხელში დაიჭრა. მან მოატრიალა მანქანა და გაიქცა.**

სამველ თამარიანი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში წერს, რომ ის სამსონისგან მიდიოდა თავის სახლში. მართალია, მის გვერდით იჯდა ანდრანიკი, მაგრამ ძმისშვილის ხელში მკვლელობის იარაღი არ დაუნახავს და მკვლელობაც ვერ შეამჩნია... მაგრამ მელტონიანების დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა: გზის ტოპოგრაფიული გეგმით, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტით, რომელიც ვიდეოკამერაზე აღიბეჭდა და საქმეში დევს, სამველ თამარიანს შინ მისასვლელად ჰქონდა ოთხი გზა, მაგრამ აირჩია სოფლის ცენტრი — ჩიხი, რომლიდანაც ის თავის სახლში ვერ მოხვდებოდა; სამაგიეროდ, იქ მელტონიანები იდგნენ... **დავუშვათ, მკვლელობა ბატონ სამველს არ დაუნახავს, მაგრამ გასაოცარია, როგორ ვერ შეამჩნია ანდრანიკის ხელში თოფი, რომლის სიგრძე მეტრი და ოცდათორმეტი სანტიმეტრია?!** აი, ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორ **ლევან გეგეჭკორს** ამ საოცრებისა სჯერა. არ ვხუმრობ, ბატონ ლევანს ამ „საოცრების“ მართლა სჯერა, რაც მაიძულებს, თხოვნით მივმართო მთავარ პროკურორ **ირაკლი შოთაძეს**, სასწრაფოდ შეამოწმოს ლევან გეგეჭკორის პროფესიული კვალიფიკაცია. და, მიუხედავად იმისა, რომ გეგეჭკორი ბატონ ირაკლი შოთაძესთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა იურისპრუდენციას და მისი ახლო მეგობარია, დაინტერესდეს მაინც მთავარი პროკურორი, რატომ ასრულებს ლევან გეგეჭკორი მისთვის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლისთვის, შეუფერებელ როლს — სამსონ და სამველ თამარიანების ადვოკატის როლს.

## ცოტა რამ პოლიციისა და პროკურატურის უცნაურობებზე

მელტონიანებმა დანაშაულის ადგილზე გამოიძახეს პოლიცია და სამართალდამცავები საქმის კურსში ჩააყენეს. წალკის საავადმყოფოში მიყვანილმა მერგელ მელტონიანმა მორიგე ექიმს — ბეჟან ხოზრევანიძეს აცნობა, რომ მას მანქანით დაეჯახა სამსონ თამარიანი. მიუხედავად ამისა, **პოლიციამ არ შემოღობა დანაშაულის ადგილი, არ ჩაატარა აუცილებელი საგზაო შემთხვევის ექსპერტიზა, არ დააკავა სამსონ თამარიანი და არ ჩაუტარა მას ალკოტესტი.**

სამსონ თამარიანის მიერ მანქანით მერგელ მელტონიანის მძიმე დაზიანებამ მხარეთა შორის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება გამოიწვია, რომელიც ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობით დასრულდა. ეს ორი დანაშაული ერთი საქმის შემადგენელია, ურთიერთდაკავშირებული რგოლებია, რაც, სხვათა შორის, სასამართლო სხდომებზე არაერთხელ დაადასტურა ამ საქმის პროკურორმა **გიორგი ლონდაძემ.** აი, ლევან გეგეჭკორის ზეწოლით კი, სამსონ თამარიანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიყო ცალკე წარმოებაში და მიმდინარეობს ცალკე სასამართლო პროცესი. ამით სამხარეო პროკურორმა მიზანმიმართულად მოუსპო დაზარალებულ მერგელ მელტონიანს თავის დაცვის და სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება. **თვითმხილველთა ჩვენებით დადგენილია, რომ სამსონ თამარიანმა განზრახ დააჯახა მოზარდს კუთვნილი ავტომანქანა და სცადა მეორედ დაჯახება. სამხარეო პროკურატურამ კი სამსონ თამარიანის მიმართ აღძრა საქმე სსკ-ის 124-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სხეულის დაზიანების გაუფრთხილებლობით მიყენებას და ისჯება მხოლოდ ფულადი ჯარიმით,** რაც მოცემულ შემთხვევაში აბსურდია. როცა მელტონიანების დაცვამ (ადვოკატები **თემურ და დიანა გვიშიანები**) სასამართლოს წინაშე დააყენა საქმის გაერთიანების საკითხი, რომელიც დაშვებული შეცდომების ნაწილს გამოასწორებდა, სამხარეო პროკურატურა წინააღმდეგი წავიდა. როცა მკვლელობის შემდეგ სამველ თამარიანმა დაძრა ავტომანქანა და გაემართა იქ მყოფი მელტონიანებისკენ, რათა გადაევლო მათთვის, აიკ მელტონიანმა ტაბელური იარაღით კანონზომიერად გაისროლა თავდამსხმელის მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სამველ თამარიანი მანქანით გადაუვლიდა როგორც აიკ და ჰამბარცუმ მელტონიანებს, ისე იქ მდგომ სხვა ადამიანებსაც. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: აიკ მელტონიანი დააპატიმრეს სამველ თამარიანის განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით და მას ასამართლებენ მისი ძმისშვილის მკვლელთან — ანდრანიკ თამარიანთან ერთად, ხოლო მკვლელობის, ფაქტიურად, წამქეზებელ სამსონ თამარიანს მხოლოდ დაჯარიმება ემუქრება; მისი ძმა — სამველი კი, რომელმაც, ყველაფერთან ერთად, მკვლელი მკვლელობის ადგილზე მიიყვანა, დაზარალებულად არის ცნობილი...

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმემ „ნაციონალური მოძრაობა“ დაასამარა, რადგან საააკაშვილის ხელისუფლებამ არ მოისურვა ამ მხეცური მკვლელობის ორგანიზატორების კანონიერი დასჯა. ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობაც სერიოზული გაფრთხილებაა ამჯერად „ქართული ოცნებისთვის“, რადგან აქაც შეინიშნება დამნაშავეების აშკარა მფარველობის მცდელობა. როგორც თავის დროზე ირინე ენუქიძე არ შეურიგდა უსამართლობას, ასევე მელტონიანების ოჯახი არ აპირებს დანებებას. თუ დამნაშავეებს სასამართლო საკადრისად არ დასჯის, მელტონიანები და მათი თანასოფლელები აპირებენ პერმანენტული აქციების გამართვას ერთდროულად ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან.**

**გიორგი კორძაძე**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია შემდგომაც მიაწვდის მკითხველს ორ მიმდინარე პროცესზე ამომწურავ ინფორმაციას.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოციოლოგების აზრით, მოსახლეობას აღელვებს აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. ხალხი მშვიდობის მოლოდინშია, მაგრამ კიევში დღემდე არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც კონსესუსის პრინციპს დაეფუძნებოდა. „დემოკრატიული ინიციატივების" ფონდის გამოკითხვის მიხედვით, უკრაინელების 27 პროცენტი ომამდელი სტატუს-კვოს დაბრუნების მომხრეა.**

# იმედგაცრუება, უნდობლობა, პესიმიზმი — ასეთია უკრაინელების განწყობილება მაიდნიდან სამი წლის შემდეგ

## ასეთია სოციოლოგების დასკვნა, რომელიც მრავალი სოციალური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზეა მიღებული



### ისტორია მეორდება

რაზუმკოვის სახელობის სოციოლოგიური სამსახურის მონაცემებით, უკრაინელების 73,5 პროცენტის აზრით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვითარება ქვეყანაში გაუარესდა; ხოლო 3 პროცენტი თვლის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

სინამდვილის ნეგატიური აღქმის ტენდენცია უკრაინის საზოგადოებაში, კარგა ხანია, არ იცვლება.

პოლიტიკური კლასისადმი და, კერძოდ, პრეზიდენტისადმი უნდობლობის დონე მნიშვნელოვნად აჭარბებს ნდობის მაჩვენებელს.

სოციოლოგიური კვლევების ცენტრის დირექტორ **ანდრეი ბიჩენკოს** თქმით, „ისტორია მეორდება. 2005 წელს, იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს, შემდეგ იანუკოვიჩის პერიოდში — 2010 წელს და ამჟამად პოროშენკოს ზეობის ხანაში თავიდან ხელისუფლებისადმი ნდობა უცებ ავარდებოდა, შემდეგ პოზიტიური შედეგების არარსებობის გამო კრიტიკულად ეცემოდა". იგი აღნიშნავს, რომ **დღეისთვის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს უკრაინელების მხოლოდ 23,8 პროცენტი ენდობა, არ ენდობა 69 პროცენტი.** სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ უკრაინელების უმეტესობა ენდობა ეკლესიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოხალისეთა ბატალიონების წარმომადგენლებს, არმიას, სასაზღვრო სამსახურსა და ეროვნულ გვარდიას.

### რეფორმები შეჩერებულია

სოციოლოგები აღნიშნავენ, რომ უკრაინელები ვერ გრძნობენ ვერავითარ პროგრესს რეფორმების განხორციელების საქმეში. დამოუკიდებელი ანალიტიკური პლატფორმის — VoxUkraine-ის მონაცემებით, რეფორმების დანერგვის მონიტორინგის ინდექსი გვიჩვენებს, რომ დადებითი ძვრები ამ მიმართულებით თითქმის არ შეიმჩნევა. 2017 წლის 23 იანვრიდან 5 თებერვლამდე პერიოდში ინდექსის მაჩვენებელმა +0,4 ქულა შეადგინა (შესაძლებელი ოდენობა +0,5 იყო). ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ ინდექსის ასეთი დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ცალკეულ დარგებში და ისიც წერტილოვანი ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა. კუჩერიევის სახელობის „დემოკრატიული ინიციატივების" ფონდის მიერ ჩატარებული საექსპერტო გამოკითხვით დადგინდა, რომ უკრაინაში რეფორმების პროგრესი ექსპერტებმა 5 შესაძლებლიდან მხოლოდ 2,52 ქულით შეაფასეს. „ზოგი რამ კეთდება: დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების, ელექტრონული დეკლარირების სისტემები, ამუშავდა საპატრულო პოლიცია, მაგრამ ძირითადი მიმართულებით, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა, ძალიან ცოტა რამ კეთდება და ხალხი ამას ხედავს", — განაცხადა აღნიშნული ფონდის დირექტორმა **ირინა ბეკეშკინამ.**

მისი აზრით, ერთგვარად მეტი ოპტიმიზმით ექსპერტები აფასებენ რეფორმებთან დაკავშირებულ სიტუაციას, ვიდრე მოქალაქეები. ამას ადასტურებს რაზუმკოვის ცენტრის მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები: 10 შესაძლებლიდან 5 ქულაც კი ვერ მიიღო ვერც ერთმა რეფორმამ.

უკრაინის მოქალაქეები დადებით ძვრებს მხოლოდ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში ამჩნევენ, — ამბობს რაზუმკოვის ცენტრის თანამშრომელი ანდრეი ბიჩენკო.

ამასთანავე, ფონდ „დემოკრატიული ინიციატივების" მონაცემებით, უკრაინელების 19 პროცენტი თვლის, რომ დასავლეთის ქვეყნები დადებით როლს თამაშობენ უკრაინაში რეფორმების რეალიზაციის საქმეში. ქვეყანაში რეფორმების ლოკომოტივად რესპონდენტებმა დაასახელეს მეცნიერები, მთავრობა და პრეზიდენტი. სოციოლოგებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის 35 პროცენტი მზად არის, აიტანოს თავისი ცხოვრების დონის გაუარესება რეფორმების საბოლოო წარმატების საფასურად.

### მშვიდობის მოლოდინში

სოციოლოგების აზრით, მოსახლეობას აღელვებს აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია. ხალხი მშვიდობის მოლოდინშია, მაგრამ კიევში დღემდე არ არსებობს ამ პრობლემის მოგვარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც კონსესუსის პრინციპს დაეფუძნებოდა. „დემოკრატიული ინიციატივების" ფონდის გამოკითხვის მიხედვით, უკრაინელების 27 პროცენტი ომამდელი სტატუს-კვოს დაბრუნების მომხრეა.

ქვეყნის მოქალაქეთა 17 პროცენტს სურს, რომ აღმოსავლეთის ტერიტორიები „ოკუპირებულად" იქნას აღიარებული, 14 პროცენტი განსაკუთრებულ სტატუსს უჭერს მხარს. კიდევ 14 პროცენტი ახლანდელი სახელმწიფო პოლიტიკის შენარჩუნებას ითხოვს, ხოლო ყოველ მეოთხე რესპონდენტს არ აქვს პასუხი ამ შეკითხვაზე.

დღეს ადამიანებს ყველაზე უფრო აღელვებთ მშვიდობის დამყარება დონბასში, ეკონომიკის ზრდა და საკუთარი კეთილდღეობა, მაგრამ გაუმჯობესებას ვერსად ხედავენ, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მშპ-ს 1-2 პროცენტით ზრდას დეკლარირებს. პოზიტივი არსად ჩანს იმიტომ, რომ 2014 წელს უკრაინის ეკონომიკა დაინგრა", — ამბობს ირინა ბეკეშკინა.

### პოზიტივი – მხოლოდ დღესასწაულების პერიოდში

სოციალური თვითშეფასების ყოველთვიური ინდექსი, რომელსაც ადგენს კომპანია Research and Vranding Group-ი, მოწმობს, რომ უკრაინელების ორი მესამედი უკმაყოფილოა თავისი ცხოვრებით. თებერვლის მდგომარეობით, მოქალაქეთა 82 პროცენტი თვლის, რომ ქვეყანაში ამჟამად არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციაა, 59 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა.

„რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად დაზოგონ თანხები ტანსაცმლის, საკვების, მედიკამენტების შეძენისას; მიუთითებენ, რომ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, ფასების გაძვირებამ, კომუნალური ტარიფების ზრდამ, კორუფციამ", — ამბობს აღნიშნული ჯგუფის ანალიტიკოსი **ალექსეი ლიაშკო.**

ლიაშკო აღნიშნავს, რომ გამოკითხულთა 41 პროცენტს არ სჯერა, გაისად წლევანდელზე უკეთესი მდგომარეობა რომ იქნება. უკრაინელებს ოპტიმიზმი გარკვეულად უძლიერდებათ დეკემბერსა და მაისში, სწორედ ამ თვეებში აღნიშნავენ უკრაინაში განსაკუთრებით ბევრ დღესასწაულს.

Le Temps:

# მარინ ლე პენი ტრამპსა და პუტინს უწვდის ხელს



**„გასული კვირის ხუთშაბათს „ეროვნული ფრონტის" ლიდერმა საზოგადოებრიობას თავდაცვისა და დიპლომატიის საკითხებზე თავისი წინადადებები წარუდგინა. მისი გამოსვლის ჩაშლას შეეცადა მოძრაობა „ფემენის" ნახევრადშიშველი აქტივისტი ქალი, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატი ამ გამოხდომას არ დაუბრკოლებია: იგი ამომრჩევლებს დაჰპირდა, რომ ბოლოს მოუღებდა ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკას", — წერს შვეიცარიული გაზეთ Le Temps-ის ჟურნალისტი რიშარდ ვერლი.**

„იმ საღამოს **მარინ ლე პენი** კიდევ უფრო დაუახლოვდა ვლადიმერ პუტინსა და დონალდ ტრამპს. „ეროვნული ფრონტის" ლიდერმა ის-ის იყო დაიწყო ლაპარაკი დიპლომატიისა და თავდაცვის საქმეში თავის წინადადებებზე, რომ დარბაზში შეიჭრა მოძრაობა „ფემინის" აქტივისტი ქალი, რომელსაც შიშველ მკერდზე ბეჭდური შრიფტით ეწერა ლოზუნგი: „მარინ ფიქტიური ფემინისტია", — წერია სტატიაში.

„ფემინის" აქტივისტი ქალები, რომლებმაც სახელი გაითქვეს პუტინის წინააღმდეგ მოწყობილი აქციებითა და ტრამპის წინასაარჩევნო მიტინგებზე ხულიგნური შეჭრით, დღეს „ეროვნული ფრონტის" ლიდერის წინააღმდეგ არიან დარაზმულები. სცენამ, რომელიც გადაიღეს უცხოურმა ტელეარხებმა, ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ლე პენის გამოსვლაზე. იგი სრულად მიეძღვნა ფრანგული ეროვნული მიზნების სამომავლოდ განხორციელებას. „ფრონტის" ლიდერი ამომრჩეველს დაჰპირდა, რომ ბოლოს მოუღებს „ადამიანის უფლებების სისტემატური დაცვის" პოლიტიკას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ სწორედ ასეთმა პოზიციამ ორი თვის შემდეგ უნდა უზრუნველყოს მისი გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში.

„მარინ ლე პენი თუ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდება, ყველაფერი ეროვნული ინტერესების დამოუკიდებლობისა და გაწონასწორებულობის გარშემო იტრიალებს — **ეროვნება, როგორც მიზანი, რომელიც მოწოდებულია, შეცვალოს „ეს კარიკატურული ევროკავშირი".**

პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ „გადახედავს" ამ საერთაშორისო წარმონაქმნს — ევროკავშირს, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს რეალური მსოფლიოს მიღმა. ამას იგი განახორციელებს მას შემდეგ, რაც გაიმარჯვებს გერმანიასთან პირისპირ ბრძოლაში: „გერმანია ან დაგვთანხმდება აწარმოოს მოლაპარაკება, ან საფრანგეთი სხვა გზას მოძებნის", — გააფრთხილა მან აუდიტორიის პირველი რიგები, სადაც თვალში საცემი იყო 28 ქვეყნის დიპლომატების საკმაოდ შეთხელებული რაოდენობა.

გასული კვირის დასაწყისში „ეროვნული ფრონტის ლიდერის" მიერ პირველად გაჟღერებული არგუმენტი იყო ის, რომ **მსოფლიო დიპლომატიის საფუძველი უნდა გახდეს ცალკეული სახელმწიფოები. ამის მომაბეზრებელი გამეორება, — ნათქვამია სტატიაში, — ეწინააღმდეგება ადრე აფიშირებულ ნებას „მულტიპოლარული მსოფლიოსკენ" მისწრაფების შესახებ. „მარინ ლე პენი მიილტვის დაუნდობელი მსოფლიოსკენ, რომელსაც არ შეზღუდავს დაბრკოლებები და საპირწონეები",** — დარწმუნებით აცხადებს პუბლიკაციის ავტორი.

„არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდებისა და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მხილება, რომლებიც ეფუძნებიან სახელმწიფოს მხარდაჭერის არქონას; დაპირება „ორმაგ სტანდარტებზე" უარის თქმის შესახებ, რომლებითაც, მისი (ლე პენის) აზრით, ძალიან ხშირად აპელირებს დასავლეთი; ვალდებულება, რომ ადამიანის უფლებებს შეცვლის „ხალხთა უფლებებით" — ეს ყველაფერი უნდა მოემსახუროს პარიზის, ვაშინგტონისა და მოსკოვის ალიანსის პროექტს. „ჩვენ ვაცხადებთ თავდაცვით ინიციატივას აშშ-თან და რუსეთთან ერთად. არაფერია ხელშეუხები და ურყევი", — განაცხადა მარინ ლე პენმა, როცა გაილაშქრა ამერიკელების მიერ თავიანთი ძლიერების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, და დააზუსტა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში „ვერავითარი ალიანსი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საფრანგეთის ნაცვლად".

„მიმართვა, რომელიც სტრიქონებს შორის იკითხება, გამჭვირვალეა: მარინ ლე პენის პრეზიდენტობისას საფრანგეთი, თავის მხრივ, ძალთა თანაფარდობას დაეყრდნობა. უწინარეს ყოვლისა, სწრაფად აღადგენს ურთიერთობას სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმთან. **„ჩაურევლობის" პრინციპს, რომელსაც ოფიციალურად აფრიალებს საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი, იგივე კონტურები აქვს, როგორიც ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის ბრძოლის პრინციპებს",** — ასკვნის ვერლი.

მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

**რობერტ მიკელსონი პატარებს ამსტერდამის საბავშვო ბაღებში უკავშირდებოდა, სადაც აღმზრდელად იყო მიწვეული; ამასთანავე, ინტერნეტში ავრცელებდა განცხადებებს, რომ შეუძლია და აქვს ბავშვების მომვლელად მუშაობის გამოცდილება. „ურჩხულის“ გარყვნილებას შეეწირნენ როგორც გოგონები, ისე პატარა ბიჭები. ამ ბავშვების წლოვანება 2,5 წელს არ აღემატებოდა. ყველაზე უმცროსი იყო ძუძუთა ბავშვი, რომელიც ბოროტმოქმედების ჩადენის დროს მხოლოდ 19 დღისა იყო.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## შვედი «წვერიანი ქალები» კიევში გამოვლენ

**წლეულს კიევში ევროვიზიის კონკურსზე შვედეთიდან გრემ-როკერები — Dissmised-ის წევრები გამოვლენ. მუსიკოსები მაკიაჟით გალამაზებულები და ქალების მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე „ამხედრებულები“ წარსდგებიან მაყურებლების წინაშე. როგორც ამ ქალ-კაცებმა განაცხადეს, მათ მომზადებული აქვთ ნამდვილი ჰიმნი ლგბტ-თემის დასაცავად იმ ქვეყნებში, რომლებშიც „მამათმავლების უფლებები ირღვევა“.**



ეს არასტანდარტული როკ-კოლექტივი აპირებს, გააოცოს დამსწრენი პროვოკაციული წარმოდგენით და იმედოვნებენ, რომ მათ თბილად მიიღებს „ევროვიზიის“ მაყურებელი, რომელთა შორის ტრადიციულად ბევრი არიან პედერასტები ყველა ქვეყნისა.

როგორც ჩანს, მათ, ამ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ყოფილ მამაკაცებს, აღაფრთოვანებთ „ევროვიზიის“ 2014 წლის ტრიუმფატორის — **კონჩიტა ვურსის** მაგალითი, რომელმაც სიმღერით „ავღსდგები ვითარცა ფენიქსი“ არნახული პოპულარობა მოიპოვა მსოფლიო ელგებეტელებში.





კონჩიტამ გაიხსენა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია **ტომ ნოივირტი** და დააპირა, ფენიქსებრივ აღადგინოს იგი მამათმავრობის ფერფლიდან: „წვერიანმა მომღერალმა ასულმა“ გადაწყვიტა, მოიკლას თავი. ამას იტყობინება გაზეთი Die Welt-ი.

აკვნესდნენ მისი ფანატები: პროფესიონალი პიარტექნოლოგების მიერ გაბერილი საპნის ბუშტი გასკდა.

**„ამ ქალთან, რომელთან ერთადაც „ევროვიზიაში“ გავიმარჯვე, ყველაფერს მივაღწიე. მისგან მეტი აღარაფერი მინდა. ახლა ვმუშაობ ახალი პერსონაჟის შექმნაზე, ამიტომ კონჩიტა უნდა მოვკლა. ვეძებ ისეთ საქმეს, რომელშიც რეალიზებას შევძლებ. ტომი აჯანყდა მის წინააღმდეგ“, — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ნოივირტმა, რომელიც დაუნანებლად განიძარცვა ქალის კაბისგან და თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა.**

დღეს არტისტი სცენაზე მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გამოდის.

მოკლედ, ამ ამბის მორალს ზუსტად ერგება ცნობილი ფრთიანი გამოთქმის პერიფრაზი: „გეი მოკვდა, გაუმარჯოს გეის“!



## უკრაინელი გეების წყვილმა დასაქორწინებლად აშშ-ს მიაშურა

**თავიანთი ცისფერი ოცნების შესასრულებლად ორი უკრაინელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. ნიუ იორკში გაიმართა მათი დაქორწინების ცერემონია.**

ამის შესახებ საზოგადოებას აცნობა გეიაქტივისტმა ალექსანდრა სმირნოვმა თავისი „ფეისბუკის“ მეშვეობით. მან აღნიშნა, რომ ბედნიერი წყვილი — ტარასი და ნიკოლაი არიან ორგანიზაცია „გეიალიანსის“ აქტივისტები: „ლამაზი წყვილი, შესანიშნავი კოსტიუმები, გულის ამაჩუყებელი ფიცი და მხიარული სტუმრები — საერთო ბედნიერება!.. ბიჭები ღელავდნენ. მათთან ერთად მეც მიხარია!“ — აღფრთოვანებას არ მალავს ალექსანდრე.

საყოველთაო სიხარულს ერთი კოვზი კუპრი ამწარებდა: უკრაინაში მათი ურთიერთობის დაკანონებას არავინ აღიარებს.

სამაგიეროდ პატრიოტები არიან: ნეფეს ლურჯი კოსტიუმი ეცვა და ყვითელი ჰალსტუხი ეკეთა, დედოფალს პირიქით — ყვითელი კოსტიუმი და ლურჯი ჰალსტუხი ამშვენებდა.

იქნებ, პირიქით?

ალაჰმა უწყის.

მაგრამ ერთი რამ უდავოა: ორივე უკრაინის დროშის ფერებში იყო გამოწყობილი.

ხაი ჟივე, უკრაინა, და, ღმერთო, დაიფარე ამერიკა!

## 87 ბავშვის გაუპატიურებისთვის «რიგელი ურჩხული» 18 წლით ციხეში ჩასვეს

**ლატვიელ რობერტ მიკელსონს 87 ბავშვის გაუპატიურებისთვის 18 წელიწადი მიუსაჯეს და უვადო ფსიქიატრიული მკურნალობა დაუწესეს.**



28 წლის პედოფილს, რომელსაც „რიგელი ურჩხული“ უწოდეს, ასევე ბრალად ედებოდა ბავშვთა პორნოგრაფიის მასალების დამზადება და გავრცელება.

დაზარალებული ბავშვების მშობლებმა უკვე განაცხადეს, რომ მიკელსონისთვის უვადო პატიმრობას მოითხოვენ. ამ არაკაცმა სრულად აღიარა დანაშაული. პედოფილის „მოღვაწეობა“ მოიცავდა პერიოდს 2007 წლის თებერვლიდან 2010 წლის იანვრამდე.

**რობერტ მიკელსონი** პატარებს ამსტერდამის საბავშვო ბაღებში უკავშირდებოდა, სადაც აღმზრდელად იყო მიწვეული; ამასთანავე, ინტერნეტში ავრცელებდა განცხადებებს, რომ შეუძლია და აქვს ბავშვების მომვლელად მუშაობის გამოცდილება.

**„ურჩხულის“ გარყვნილებას შეეწირნენ როგორც გოგონები, ისე პატარა ბიჭები. ამ ბავშვების წლოვანება 2,5 წელს არ აღემატებოდა. ყველაზე უმცროსი იყო ძუძუთა ბავშვი, რომელიც ბოროტმოქმედების ჩადენის დროს მხოლოდ 19 დღისა იყო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დადგა ისეთი დრო, როცა საყროლეთის მეცენატებმა „უბორნიის პოეტების“ თანამედროვე ეპიგონების წიგნების დასაფინანსებლად ბანკის ჯიბეზე ხელი გაიკრეს და ლიტერატურული პრემიებიც კი დაუწესეს.**

BBC:

# ობამას შემოღებული ტრანსგენდერების სპეცტუალეტები აყროლდა და გააუქმეს

**დიახ, სწორედ ასე და არა სხვაგვარად: აშშ-ის პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ გააუქმა ყოფილი პრეზიდენტის — ბარაკ ჰუსეინ ობამას ბრძანებულება სკოლებში ტრანსგენდერების სპეციალური საპირფარეშოების დაწესების შესახებ.**

ხომ საჭირო იყო ამ მიმართულებითაც ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვა? იზრუნა კიდეც დემოკრატიის უპირველესმა კერამ და, როგორც ამერიკელმა მამათმავლებმა ჯერ კიდევ შარშან გამოაცხადეს, მათმა ჭეშმარიტმა პრეზიდენტმა ობამამ.

აბა, რა!

რა და ის, რომ საქართველო ჯერ კიდევ როდის უსწრებდა ამერიკას საზოგადოებრივ აზროვნებაში საპირფარეშოების თემატიკის დამკვიდრებისა და გავრცელების მხრივ. მართალია, ამ წინწაწეულობის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა საზოგადოებრივი ტუალეტების კედლებს არ გასცდენია, მაგრამ სწორედ ამ გზით აყვავდა და გაიფურჩქნა „უბორნიის პოეტების“ ორიგინალური შემოქმედება.

სამწუხაროდ, რენესანსის ეს ეპოქა სტაციონარული საზოგადოებრივი ტუალეტების საყოველთაოდ გაუქმების შემდეგ იავარ იქმნა.



აღარც ტუალეტები, აღარც კედლები, რომლებიც მომავალ თაობებს შეუნახავდა მათზე წარწერილ შედევრებს.

მაგრამ დადგა ისეთი დრო, როცა საყროლეთის მეცენატებმა „უბორნიის პოეტების“ თანამედროვე ეპიგონების წიგნების დასაფინანსებლად ბანკის ჯიბეზე ხელი გაიკრეს და ლიტერატურული პრემიებიც კი დაუწესეს.

აშშ-ის გენერალური პროკურორის — **ჯეფ სეშნსის** განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტრომ და განათლების დეპარტამენტმა მიიღეს იმის გამო, რომ ობამას ადმინისტრაციის ბრძანებულება „არ შეიცავდა საკმარის იურიდიულ ანალიზს და არ ეთანხმებოდა კანონის ენას“. მიკიბმოკიბეს, რაიც ასე იკითხება: ბითურობა იყოო.

**2016 წლის მაისში მიღებული გადაწყვეტილებით, ამერიკულ სკოლებში ტრანსგენდერებს შეეძლოთ, ესარგებლათ ტუალეტებით თავიანთი „ფაქტობრივი სქესის“ (!) მიუხედავად.** ამას ამართლებდნენ სქესგარდაქმნილთა მიმართ თანატოლების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულების თავიდან აცილების აუცილებლობით. ამერიკის 11 შტატმა ფედერალურ სასამართლოში გააპროტესტა ობამას გადაწყვეტილება: მომჩივნებმა სკოლების სოციალური ექსპერიმენტის ლაბორატორიებად გადაქცევის მცდელობა კატეგორიულად დაგმეს.




აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას განაცხადა, რომ სასკოლო ტუალეტების მოხმარების წესები უნდა გადაწყდეს შტატების დონეზე, ამიტომ იყო, რომ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ ამომრჩევლები ელოდნენ „ანტიდისკრიმინაციული“ ღონისძიებების შესახებ ბრძანებულების გაუქმებას.

აშშ-ში 13-დან 17 წლამდე მოზარდების დაახლოებით 0,7 პროცენტი თავს ტრანსგენდერად მიიჩნევს.

**Ruposters-ის ცნობით, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ თეთრი სახლის ოფიციალური საიტიდან გააქრეს ლგბტ-თემისადმი მიძღვნილი მასალები.**

**აქ გავიხსენოთ საქართველოს რეალობა და დავსვათ წერტილი.**

**ჭკვიან ადამიანებს უთქვამთ, რომ დუმილი საუბრის გაგრძელებააო.**

## აშშ-ში 13-დან 17 წლამდე მოზარდების დაახლოებით 0,7 პროცენტი თავს ტრანსგენდერად მიიჩნევს

Die Zeit:

# გენდერული დისკრიმინაცია მამაკაცების მიმართ



**ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დეპუტატ კაი ვეგნერს, რომელიც შარშან ქდკ-ის ბერლინის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ამჟამად კი დიდი ქალაქების საქმეთა სპეცწარმომადგენლის თანამდებობას იკავებს, სურს, ქვეყანაში ჩასული ლტოლვილების რაოდენობა გენდერული კვოტების მიხედვით შეამციროს.**

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება **კატრინა შულცი** თავის წერილში, რომელიც **Die Zeit**-ში გამოქვეყნდა.

ვეგნერის ანალიზში მითითებულია, რომ მიგრანტთა შორის მნიშვნელოვნად ჭარბობს ახალგაზრდა მამაკაცთა რაოდენობა: „ამან შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილებისა და აგრესიული ქცევის გაზრდა“. პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ პრობლემის მოსახსნელად მომავალში ლტოლვილი ქალებისა და კაცების ერთნაირი რაოდენობა უნდა შეუშვან ქვეყანაში. „ვეგნერი დარწმუნებულია: ამ ღონისძიებით შეიძლება შემცირდეს მიგრანტების საერთო რაოდენობა“, — შენიშნავს სტატიის ავტორი.

ჟურნალისტის აზრით, ეს წინადადება აბსურდულია.

„მამაკაცების სიმრავლემ საზოგადოებას შეიძლება წონასწორობა დაურღვიოს, — წერს პოლიტიკოსი და მაგალითებად ინდოეთსა და ჩინეთს ასახელებს. — თითქოს არსებობდეს საშიშროება იმისა, რომ ორივე სქესის ადამიანების შეფარდებას შეუძლია გერმანიის კალაპოტიდან ამოგდება“.

ამას გარდა, თავის შეფასებებში ვეგნერი გვარწმუნებს, რომ მიგრანტები პარტნიორებს მხოლოდ თავისიანებში მოძებნიან. მას მხედველობიდან რჩება, რომ ბევრ ახალგაზრდა კაცს სამშობლოში ცოლშვილი ჰყავს დატოვებული და ხელმეორედ დაოჯახებას არ აპირებს და რომ „სწორედ გერმანიის პოლიტიკა ართულებს მათ გაერთიანებას“, —ასკვნის ავტორი.

**უფრო სერიოზულია სამართლებრივი ასპექტები, რომლებიც არ ეთანხმება ვეგნერის იდეას. გერმანიას არ შეუძლია, საზღვარზე გადაწყვიტოს, ვინ შეუშვას ქვეყანაში და ვინ — არა. „ერთი მხრივ, უარის თქმა მხოლოდ სქესობრივი პრინციპიდან გამომდინარე ევროპული საიმიგრაციო სამართლის დარღვევაა, მეორე მხრივ კი, თანასწორობის ფუძემდებლური პრინციპის უხეშ დარღვევად ითვლება“,** — ნათქვამია წერილში.



Fox News:

# ტრამპმა ობამა დაადანაშაულა

**27 თებერვალს Fox News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა: „ვფიქრობ, ამის (ინფორმაციების გაჟონვის) უკან დგას ობამა, ამის უკან უეჭველად მისი ხალხი მოიაზრება. ზოგიერთ გაჟონვაში, უეჭველია, რომ ამ ჯგუფის ხელი ურევია“.**

პრეზიდენტმა ინფორმაციის გაჟონვის ფაქტს სერიოზული უწოდა, რადგან იგი აშშ-ის ეროვნულ უშიშროებაზე უარყოფითად მოქმედებს. მას არ განუმარტავს, კერძოდ რას გულისხმობდა, მაგრამ დაუშვა, რომ ამგვარი გაჟონვა გრძელდება, რადგან ასეთია პოლიტიკა: „ეს არის პოლიტიკა. ყველაფერი ასეა მოწყობილი. ამასთან, ვერასოდეს გაიგებ, ნამდვილად რა ხდება კულისებს მიღმა“.

მასმედიაში არაერთხელ გაჟონავს სხვა ქვეყნების ლიდერებთან ტრამპის სატელეფონო საუბრების დეტალებს. მაგალითად, 9 თებერვალს „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრისას თეთრი სახლის მეთაურმა გააკრიტიკა სტრატეგიული შეტევის შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულება, რომელსაც აშშ-ისთვის წამგებიანი შეთანხმება უწოდა.

პრეზიდენტ ტრამპის აზრით, ობამას გუნდი რესპუბლიკელთა ახალი ადმინისტრაციის წინააღმდეგ აღვივებს უკმაყოფილებას და გამორიცხული არ არის, საპროტესტო აქციების ორგანიზებაშიც იყოს გარეული.

**GALLUP-ის აზრით, 2017 წელი შეიძლება „შემობრუნების წლად“ იქცეს, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეთანხმებას მიაღწევენ ურთიერთობის საკითხებში აშშ და რუსეთი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Forbes:

# ბოდიში, სენატორო მაკეინ, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის პოპულარობა ამერიკაში თითქმის გაორმაგდა





**ამერიკელების უმრავლესობა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ფანატი არ არის, მაგრამ, მისი პოპულარობა რომ ორჯერ გაიზარდა, ფაქტია — სოციალური კვლევების Gallup-ის ჯგუფის მონაცემები, რომლებიც 21 თებერვალს გამოქვეყნდა, სწორედ ამას ადასტურებს.**

Forbes-ის მიმომხილველი **ქენეტ რაპოზა** წერს: „ეს შედეგები მკვეთრად კონტრასტულია რესპუბლიკელების შეხედულებებთან შედარებით, რომლებსაც სათავეში უდგას სენატორი არიზონას შტატიდან — ჯონ მაკეინი. გერმანიაში ამასწინანდელი ვიზიტისას მან გააკრიტიკა პრეზიდენტი ტრამპი, რომელიც კრემლთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს“.

**GALLUP-ის მონაცემებით, ამერიკელების 22 პროცენტი პუტინისადმი დადებითად არის განწყობილი. 2015 წელს მათი რაოდენობა 15 პროცენტი იყო.** პუტინის მიუღებლობის რეიტინგი 72 პროცენტის დონეზე რჩება, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და 32 პროცენტს მიაღწია, მაგრამ დემოკრატების მხოლოდ 10 პროცენტი აფასებს მას პოზიტიურად. 2015 წელს მათი რაოდენობა 15 პროცენტს შეადგენდა.

**„რუსეთის ლიდერის მიმართ დადებითად განწყობილთა რეიტინგი უპარტიო რესპონდენტებს შორის 12-დან 23 პროცენტამდე გაიზარდა“,** — ნათქვამია სტატიაში.

„2002 წელს, პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის პერიოდში, Gallup-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგის მიხედვით, ამერიკელების 41 პროცენტმა იგი დადებითად შეაფასა, 18 პროცენტმა — უარყოფითად, ხოლო დანარჩენ 41 პროცენტს მასზე არაფერი სმენოდა. 2013 წელს, როცა Gallup-მა კვლავ მიმართა ამავე შეკითხვით მოქალაქეებს, გაცილებით მეტმა ადამიანმა იგი უარყოფითად შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს გაზეთების სათაურებში რუსეთი არ ფიგურირებდა“, — წერს რაპოზა.

„ამერიკელების შეხედულება რუსეთზე ეთანხმება მათ დამოკიდებულებას პუტინის მიმართ: 28 პროცენტი ქვეყნის მიმართ დადებითად არის განწყობილი, 70 პროცენტი — უარყოფითად“, — აღნიშნავს პუბლიკაციის ავტორი.

**GALLUP-ის აზრით, 2017 წელი შეიძლება „შემობრუნების წლად“ იქცეს, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეთანხმებას მიაღწევენ ურთიერთობის საკითხებში აშშ და რუსეთი.**

მაკეინი არ ცხრება, არ სურს, დაიჯეროს, რომ ქორების დრო მილევაზეა. Wall Street Journal-ი იტყობინება, რომ გასულ კვირაში სენატორი საიდუმლოდ ჩავიდა სირიის ულიარებელ ქურთულ კანტონ ქობანიში, სადაც ამერიკელ სამხედროებსა და ქურთ მოხალისეებს შეხვდა. იქიდან ანკარაში გაემგზავრა და თებერვლის მიწურულს თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან შეხვედრა გამართა.

წერას ჰყავს ატანილი.

Die Welt:

# არ უნდა დავუშვათ რუსეთთან დასავლეთის ურთიერთობის გართულება

**დასავლეთს რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკა სჭირდება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს სანქციების გაუქმება, — მიაჩნია გერმანული გაზეთი Die Welt-ის მიმომხილველს — მიხაელ შტურმერს.**

„დასავლეთის ქვეყნები დროდადრო აგრძელებენ და ამკაცრებენ სამი წლის წინათ დაწესებულ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ეს განამტკიცებს მათ ურთიერთობას, მაგრამ ამგვარ პოლიტიკას სიცოცხლისუნარიანს ვერ ვუწოდებთ“, — წერს ჟურნალისტი. პრეზიდენტ რეიგანის ყოფილმა მრჩეველმა და მოსკოვში აშშ-ის ექსელჩმა **ჯეკ მეტლოკმა** ახლახან განაცხადა, რომ სანქციები დასავლეთს სარგებელზე უფრო მეტად აზარალებს.

**ჰენრი კისინჯერიც** კი, რომელსაც პუტინის თაყვანისმცემლობას ვერ დააბრალებ, ამბობს, რომ „პუტინის დემონიზაცია პოლიტიკა კი არ არის, არამედ მისი არასრულფასოვანი შემცვლელია“.

„ობამას პოლიტიკა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის დასასჯელად ხორციელდებოდა, ჩიხში მოექცა, — ხაზი გაუსვა მიხაელ შტურმერმა, — სანქციებს ჰქონდა ეფექტი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც სურდათ დედაქალაქებს ვაშინგტონიდან ბრიუსელამდე“.

დადგა დრო ახალი აღმოსავლური პოლიტიკის, რომლის ღერძი რუსეთთან კარგი დამოკიდებულება უნდა იყოს? — ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ „პუტინის ავტოკრატიის“ ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის შეფასებას, რომელიც საეჭვოა, უახლოეს დროში გამოსწორდეს. აქ აუცილებელია, გავითვალისწინოთ დასავლეთის შორს მიმავალი ინტერესები, ამერიკის ახალი პრეზიდენტის ძნელად ამოსაცნობი მოქმედება და ეკონომიკური დანახარჯები, რომლებიც გამოიწვევს რუსეთის დასავლეთთან გამიჯვნას საშუალო და შორეულ პერსპექტივაში“, — განაგრძობს შტურმერი და ასკვნის, რომ ჩაფიქრება მოგვიწევს სანქციების ფონდის ეროზიაზეო, რათა დროთა განმავლობაში ტრამპიცა და ევროკავშირის სახელმწიფოებიც თავიანთი ინტერესების განხორციელებაზე იზრუნებენ თუნდაც იმიტომ, რომ მათ მოუწევთ ამის გაკეთება... „რუსეთის მიმართ კარგად გათვლილი პოლიტიკის დახმარებით შეგვიძლია, ახლავე თავიდან ავიცილოთ რღვევის ტენდენცია, — დარწმუნებულია შტურმერი, — რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციების ერთგულება მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ იცის, როგორ უნდა გაუქმდეს ისინი, ნამდვილი აბსურდია“.

„მაგრამ უმთავრესი უნდა გახდეს საერთო მიზანი — თავიდან ავიცილოთ ომის დაწყება, მიუხედავად მიზეზისა: იქნება ეს პოლიტიკური ჩანაფიქრი, თავქარიანობა თუ სამხედრო კონტროლის დაკარგვა, — მიუთითებს მიმომხილველი, — რუსეთი არც ისეთი ძლიერია, როგორც სურს, რომ იყოს, იგი სუსტიც არ არის. კრიზისი იგრძნობა მალაზიებშიც, კურორტებზეც, სადაც რუსები შვებულებას ატარებენ. მაგრამ ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც შესანიშნავად ახსოვს უარესი დრო და მიდრეკილია, ყველაფერი უარყოფითი დანარჩენ მსოფლიოს დააბრალოს“.

„სადღეისოდ ვითარება უკიდურესად სერიოზულია და შეიძლება გაუმჯობესდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები სანქციების გაუქმებაზე მოილაპარაკებენ, ხოლო დასავლეთი სანაცვლოდ რაღაცას მიიღებს. დღევანდელი ვითარების შენარჩუნება უკიდურესად საშიშია“, — გვაფრთხილებს ავტორი.

The Daily Caller:

# ჰერტ ვილდერსი მაროკოელებს ემუქრება



**«ჰოლანდიაში ბევრია მაროკოელი ნაძირალა, რომლებმაც ჩვენი ქუჩები საშიშ ზონებად აქციეს»**

**ნიდერლანდის სამეფოში ეთნიკური ხასიათის სკანდალის შესახებ წერს The Daily Caller.**

პოპულისტურმა ლიდერმა ჰერტ ვილდერსმა სტარტი მისცა თავის წინასაარჩევნო კამპანიას. ის თანამემამულეებს დაჰპირდა, რომ გაუსწორდება „მაროკოელ ნაგვებს“, აღკვეთს მუსლიმთა იმიგრაციას, დახურავს ყველა მეჩეთს და ჰოლანდიელებს ევროკავშირიდან გამოსვლის შანსს მისცემს იმ შემთხვევაში, თუ მისი „თავისუფლების პარტია გაიმარჯვებს ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 15 მარტს გაიმართება.

**„ყველა მათგანი არამზადა არ არის, მაგრამ ჰოლანდიაში ბევრია მაროკოელი ნაძირალა, რომლებმაც ჩვენი ქუჩები საშიშ ზონებად აქციეს,** — განაცხადა ვილდერსმა, — **ნიდერლანდები ამ თაღლითებს საშუალებას აძლევს, გაჩარხონ თავიანთი საქმეები. თუ გსურთ საკუთარი ქვეყნის აღდგენა, თუ გსურთ, ნიდერლანდები კვლავ თქვენი სახლი გახდეს, ხმა უნდა მისცეთ მხოლოდ ერთ პარტიას“.**

ეს ერთადერთი და განუმეორებელი „თავისუფლების პარტიაა“.

არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე ამ პარტიას თავის კონკურენტებზე ოდნავ მეტი უპირატესობა აქვს, მაგრამ უთუოდ ვერ შეძლებს მთავრობის ჩამოყალიბებას, რადგან სხვა პარტიები არ აპირებენ მასთან თანამშრომლობას იმიგრაციისადმი ვილდერსის კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

მიუხედავად ამისა, თავისუფლების პარტიას ნიდერლანდებში პოლიტიკური სურათის შეცვლის შანსი გააჩნია. მას შეუძლია მომავალ არჩევნებში დამატებითი იმპულსი მისცეს გერმანიისა და საფრანგეთის პოპულისტურ პარტიებს.

ეს პოლიტიკოსი მაროკოელ იმიგრანტებს პირველად არ ესხმის თავს. 2014 წელს იგი დამნაშავედ ცნეს „რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზებაში“.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**KT-112UD-ს შეიარაღებულია მაღალი სიზუსტის ლაზერულსამიზნიანი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „ბარიერი-ბ“, „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტებით, მაღალი სიზუსტის ბომბებით და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით. შეიარაღება გამიზნულია საჰაერო და სახმელეთო მიზნების ფართო სპექტრისთვის (ტანკების, ვერტმფრენებისა და უპილოტოების ჩათვლით).**



# დასახელდა ახალი Honda UR-V-ს გაყიდვის თარიღი

**იაპონიის საავტომობილო ბრენდი Honda მარტიდან ჩინურ ბაზარზე კროს-კუპე UR-V-ს გაყიდვას იწყებს.**

ახალი ავტომობილი გარკვეულწილად წარმოადგენს რეპლიკას მოდელისა Honda Avancier, რომელიც უკვე იყიდება ჩინურ ბაზარზე. განსხვავება ამ მანქანებს შორის მხოლოდ ექსტერიერის დიზაინშია.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მსგავსი მოდელები ჩინური ბაზრისთვის დამახასიათებელია. დღეს ჩინეთში იყიდება, როგორც Honda XR-V, ასევე Honda Vezel-ი, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მოდელია, უბრალოდ, ისინი სხვადასხვა საწარმოშია აწყობილი.



# ჰორაციო პაგანიმ თავისი ექსკლუზიური «ფერარი» აჩვენა

**კომპანია Pagani-ს დამფუძნებელმა ჰორაციო პაგანიმ მარანელოში, „ფერარის“ საწარმოში ჩაუშვა სუპერკარი F12tdf-ის სპეციალური მოდიფიკაცია, რომელიც მისი შეკვეთით დამუშავდა. ამ მანქანის პირველი ფოტოები თებერვლის დასაწყისში გამოჩნდა.**

Ferrari F12tdf-ის სპეცვერსიის მომზადებით დაკავებული იყო Tailor-Made, რომელიც უნიკალურ ავტომობილებზეა სპეციალიზებული.

**მიმზიდველ იერთან ერთად კუპე F12tdf-ს აქვს 780 ძალის 12-ცილინდრიანი ძრავა, რომლის მოცულობაა 6,3 ლიტრი, და რობოტიზებული გადაცემათა კოლოფი. ეს მანქანა 100 კმ-ს 2,9 წამში კრებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე 340 კმ/სთ-ს აღწევს.**



# მრავალმიზნობრივი მოიერიშე ვერტმფრენი KT-112UD

**„უკრობორონპრომმა“ თავდაცვის საერთაშორისო გამოფენა IDEX-2017-ზე მსუბუქი მრავალმიზნობრივი მოიერიშე ვერტმფრენი KT-112UD წარმოადგინა.**

მოდელი ვერტმფრენ KT-112 „კადეტის“ გაუმჯობესებული ვერსიაა. ახალ მოდელს 115 ცხ. ძ. სიმძლავრის ორი ძრავა აქვს, რომლებიც სიჩქარის 200 კმ/სთ-მდე გაზრდის საშუალებას იძლევა. ვერტმფრენის სიგრძე 6,97 მეტრია, სიგანე — 2,47 მეტრი, მაქსიმალური ასაფრენი მასა — 1000 კგ. ვერტმფრენი აღჭურვილია მოქნილი დამიზნების სისტემით, ასევე, ინფრაწითელი კამერითა და ლაზერული სამიზნისთვის საჭირო სამართავი სისტემით.

**KT-112UD-ს შეიარაღებულია მაღალი სიზუსტის ლაზერულსამიზნიანი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „ბარიერი-ბ“, „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტებით, მაღალი სიზუსტის ბომბებით და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით. შეიარაღება გამიზნულია საჰაერო და სახმელეთო მიზნების ფართო სპექტრისთვის (ტანკების, ვერტმფრენებისა და უპილოტოების ჩათვლით).**

# Apple ერთდროულად ოთხი პლანშეტის წარმოსადგენად ემზადება



**როგორც იაპონური გამოცემა Mac Otakara იტყობინება, Apple ერთდროულად ოთხი iPad პლანშეტის წარმოსადგენად ემზადება. ბოლო თვეების განმავლობში სხვადასხვა გამოცემაში არაერთხელ წამოტივტივდა თემა Apple iPad-ის განახლებული პლანშეტების შესახებ. როგორც იქნა, კომპიუტერების ექსპერტები და მიმწოდებლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ერთდროულად წარმოადგენენ რამდენიმე ახალ iPad-ს.**

მაშ ასე: იაპონელი ჟურნალისტების ცნობით, Apple-მა მოამზადა ოთხი მოდელი: ორი განახლებული პლანშეტი Pro ხაზიდან 9,7 და 12,3-დიუმიან ფორმატში (Apple Pro 2), ასევე ორი სრულიად ახალი, 7,9-დიუმიანი მოდელი, რომლებიც ჩაანაცვლებს iPad mini-სა და პრემიუმ-კლასის მოდელს (10,5 დიუმი), არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ მინიმუმ 10,5-დიუმიანი მოდელი სათავეს დაუდებს ახალი სერიის წარმოებას, ოღონდ არ უნდა გამოვრიცხოთ ის ვერსიაც, რომ ის შეავსებს (ან ჩაანაცვლებს) Air-ის არსებულ ხაზს. საინტერესოა ისიც, რომ წყაროებმა უკვე დაასახელეს ოთხივე მოდელის გაყიდვის თარიღები, სავარაუდოდ, ეს მიმდინარე წლის მარტი და მაისია.

# რობოტი-გველი წყალქვეშა ცურვისთვის ემზადება

**სულ ახლახან სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ რობოტი-გველი Eelume მზადაა ოპერაციებისთვის ღია ზღვაში.**

უნდა ითქვას, რომ Eelume-ს ახალი ვერსია რამდენადმე განსხვავდება მისი პროტოტიპისგან, რომელიც შარშან აჩვენეს. ახალი ვერსია მოჰგავს დიდ წყალქვეშა ნავს. მოდული რობოტ Eelume-ს ეხმარება, იოლად შეცვალოს მისი კონფიგურაცია, იყოს საკმაოდ დრეკადი და მოძრავი შესასრულებელი ამოცანის განხორციელების შესაბამისად.

Eelume გადაადგილდება რამდენიმე ძრავის საშუალებით. ამას გარდა, რობოტის წინა ნაწილს შეუძლია ატაროს მოძრავი ინსტრუმენტ-მანიპულატორები და დამატებითი კამერები მუშაობის სხვადასხვა რეჟიმით.

რობოტს წყალქვეშ დაყოვნება საკმაოდ დიდხანს შეუძლია წყალქვეშა დოკ-სადგურების წყალობით, სადაც შესაძლებელია მისი ბატარეების დატუმბვა და ძირითადი სისტემების დიაგნოსტიკა. ამას გარდა, იმავე დოკ-სადგურის მეშვეობით რობოტს შეუძლია წყალქვეშა ობიექტების შეკეთება. ეს სასარგებლო სიახლე შეიძლება გამოყენებული იქნას ნავთობის მილგაყვანილობისა და სხვა წყალქვეშა ინფრასტრუქტურების მოწესრიგების მიზნით, ზედაპირზე არსებული ამინდის მიუხედავად.



ამჟამად რობოტი გამოცდების სერიას გადის პლატფორმაზე PREZIOSO Linjebygg Subsea Test Center.

სეტ შოსტაკს მიაჩნია, რომ ადრე მარსი თბილი და ნესტიანი იყო, ხოლო დედამიწა — აბსოლუტურად უსიცოცხლო. და სწორედ ამიტომ ზუსტად მარსზე იყო შესაძლებელი სიცოცხლის ჩასახვა.

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# კონცერნი «კალაშნიკოვი» უახლეს საბრძოლო რობოტებს ქმნის

**დღეს „კალაშნიკოვი“ მრავალპროფილიანი ჰოლდინგია და მოცემულ მომენტში საბრძოლო რობოტების შემუშავებითაა დაკავებული, მათ შორის მთლიანად ავტომატიზებული სისტემების, რომლებიც გამორიცხავს ადამიანის ყოფნის აუცილებლობას ბრძოლის ველზე.**

კონცერნში აქტიურად ავითარებენ კომპეტენციას უპილოტო საფრენი და სახმელეთო კომპლექსების შექმნის სფეროში. რობოტოტექნიკის სფეროში მათ მიერ განხორციელებული ახალი პროექტებია ახალი საბრძოლო მოდულები და ახალი რობოტიზებული პლატფორმები, როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი კლასისა.

**მალე კონცერნი „კალაშნიკოვი“ უახლეს საბრძოლო რობოტებს შექმნის და მათ „არმია 2017“-ის გამოფენაზე წარმოადგენს. ეს იქნება რუსული წარმოების თანამედროვე, ახალი ტიპის რობოტები. გამოფენა 22-27 აგვისტოს მოეწყობა.**



# რა სიგნალს გვაძლევს ორგანიზმი სიკვდილამდე 5 წლით ადრე?

**ხანდაზმული ადამიანებისთვის სუნების გარჩევის უნარის დაქვეითება სიკვდილის პროგნოზირების ძლიერი ფაქტორია, — ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

კვლევის მონაწილეთაგან, რომლებმაც უბრალო ტესტი სუნებზე ვერ გაიარეს, 39 პროცენტი ხუთ წელიწადში გარდაიცვალა; ხოლო ვინც გაიარა, ეს მაჩვენებელი მათთან მხოლოდ 10 პროცენტი იყო.

2005-2006 წლებში ექიმებმა 3005 ხანშიშესულ (57-85 წლის) ამერიკელს ჩაუტარეს ტესტი 5 სხვადასხვა სუნის ამოსაცნობად (ხორცის, თევზის, ფორთოხლის, ვარდისა და ტყავის). უმრავლესობამ სწორად განსაზღვრა ოთხი ან ხუთივე სუნი; 20 პროცენტმა — ორი ან სამი; ხოლო 3,5 პროცენტმა — ერთი ან საერთოდ არც ერთი.

ხუთი წლის შემდეგ მეცნიერები მიუბრუნდნენ იმ ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებმაც ტესტი გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში 430 ადამიანი გარდაცვლილიყო, ანუ მათი 12,5 პროცენტი. დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით (ასაკი, სქესი, რასა, განათლების დონე და შემოსავალი, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა), სიკვდილიანობის მაჩვენებელი იმ პირებისა, რომელთაც სუნის შეგრძნება დაქვეითებული აქვთ, საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა.



# არაბეთის გაერთიანებული საემიროები მარსზე ქალაქის აშენებას გეგმავს

**სულ რაღაც 40 წლის წინათ დუბაი პატარა დასახლება იყო, რომელშიც მარგალიტების მაძიებელნი ცხოვრობდნენ. დღეს კი დუბაი ერთ-ერთი მსხვილი და ყველაზე ფუტურისტული ქალაქია მსოფლიოში, რომელიც ამშვენებს არაბთა გაერთიანებულ საემიროს.**

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ცოტაა და ისინი ამჟამად ქალაქის მშენებლობას მარსზე აპირებენ.

ახლახან არაბთა გაერთიანებულ საემიროების ვიცეპრეზიდენტმა მუჰამედ იბნ რაშიდ ალ მაქტუმ ახალი პროექტი წარმოადგინა, რომლის მიზანია მარსის ზედაპირზე ახალი ქალაქის მშენებლობა. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას რამდენიმე ქვეყანა მიიღებს, რადგან ასეთი მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

პირველი ქალაქის სახელწოდებაც მოფიქრებულია: **მარსი 2017.** მშენებლობა როდის დაიწყება, რა თქმა უნდა, ჯერ ცნობილი არ არის, მას, ალბათ, მომავალი თაობები განახორციელებენ, მაგრამ ხნული გავლებულია და პირველი მარცვალიც ჩადებული.

სავარაუდოდ, **მარსი 2017** ჩიკაგოს ხელა ქალაქი იქნება, რომელშიც 600 ათასი ადამიანი იცხოვრებს. თუმცა მარსის კოლონიზაციის როგორც სხვა, ისე ეს პროექტიც სკეპტიციზმს იწვევს, მიუხედავად არაბეთის გაერთიანებული საემიროების უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობებისა.





# მეცნიერები: ადამიანები მარსელებისგან წარმოიშვნენ

**მეცნიერებმა განაცხადეს, რომ დედამიწაზე ადამიანები მარსელებისგან წარმოიშვნენ. არამიწიერი გონის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი სეტ შოსტაკი დარწმუნებულია, რომ სიცოცხლე დედამიწაზე, შესაძლოა, გაჩენილიყო მარსზე ასტეროიდის შეჯახების გამო.**

„ცხადია, მილიარდი წლის წინათ, მარსთან ასტეროიდის შეჯახების შემდეგ, ბიონაწილებმა დატოვეს წითელი პლანეტა და როგორღაც შეძლეს დედამიწაზე დასახლება“, — ამბობს შოსტაკი. მან განაცხადა, რომ, მისი თეორიის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე წყალში კი არ ჩაისახა, არამედ მარსის (უკვე გამქრალ) ზღვებში.

დედამიწაზე სიცოცხლის მარსელებისგან წარმომავლობის თეორიას უწოდებენ **პანსპერმიას**.

პანსპერმია (პანსპერმიზმი) სიცოცხლის წარმოშობის ერთ-ერთი ჰიპოთეზაა, რომლის თანახმადაც ცოცხალი ორგანიზმის წარმომშობი სპერმები (თესლები) ან აუცილებელი უმარტივესი ქიმიური ნაერთები კოსმოსურ სივრცეშია მიმოფანტული და ხელსაყრელი პირობების შექმნისას ვითარდება ამა თუ იმ სახის ცოცხალ ორგანიზმად.

ამ ჰიპოთეზის თანახმად, ზოგმა მიკროორგანიზმმა შეძლო გადარჩენა და ევოლუციის შედეგად იქცა თანამედროვე ადამიანების წინაპრად. სეტ შოსტაკს მიაჩნია, რომ ადრე მარსი თბილი და ნესტიანი იყო, ხოლო დედამიწა აბსოლუტურად უსიცოცხლო. და სწორედ ამიტომ ზუსტად მარსზე იყო შესაძლებელი სიცოცხლის ჩასახვა“.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონსტიტუციის I თავს „ზოგადი დებულებები“ იმ მუხლებთან, რომლებშიც საუბარია სახელმწიფო ენასა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსზე, უნდა დაემატოს მუხლი, რომელიც მიწას, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმისა, ცნობს, როგორც განსაკუთრებულ ღირებულებას — ეროვნულ საუნჯესა და ქართველთა მომავალი თაობების სამუდამო სამკვიდროს.**

# მიწის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში

### 1. მიწა, როგორც განსაკუთრებული საუნჯე და ეროვნული სამკვიდრო

**გიორგი მერჩულემ ჯერ კიდევ X საუკუნეში ბრძანა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ეს დეფინიცია საქართველოს ტერიტორიულ, ენობრივ და სარწმუნოებრივ იდენტობას გამოხატავს.**

იდენტობის დამდგენ ამ ტრიადაში უწინარესია ქვე-ყანა, ტერიტორიული იდენტობა. ქვე-ყანა ქართულად სწორედ მიწას აღნიშნავს. „ფრიადი ქუეყანაი“ — მიწათა ერთობლიობა და ერთიანი მთლიანობაა, ანუ ტერიტორიული იდენტობაა ეროვნული თვითცნობიერების და შესაბამისად, სახელმწიფოებრიობის ნიადაგი.

მიწათ-მფლობელობის მოწესრიგებულობიდან წარმოდგებოდა არა მხოლოდ იმდროინდელი თაობების, არამედ მათ წინაპართა და შთამომავალთა ერთიანი იდენტობა, უწყვეტი მემკვიდრეობითობა, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურღვევი კავშირი. ეს სწორედ იმას ნიშნავდა, რომ საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში „ფრიადი ქუეყანაცა“ და ამ ქვეყნის ყოველი სოფელიც ქართველებს სამუდამოდ ჰქონდათ დამკვიდრებული.

მიწის საკითხის ქართული წესით მოწესრიგება აუცილებელი წინაპირობა იყო, რომ ბედი ამა ქვეყნისა, მიუხედავად ათასგვარი ჟამთა სიავისა, არავითარ შემთხვევაში სასწორზე არ იქნებოდა შეგდებული.

აშკარაა, რომ ქართული ტრადიციით მიწა ნებისმიერი სხვა მატერიალური სიკეთისგან გამორჩეული განსაკუთრებული ღირებულებაა. მეტიც: ცივილიზაციის, განსაკუთრებით — გეორგიანული ცივილიზაციის, მარადიული ღირებულება. ამდენად, როგორ არის დაცული ეს ღირებულება, უწინარესად, დაცული სამართლის მიერ, არსებითად ქვეყნისა და სახელმწიფოს ბედის განმსაზღვრელია.

### 2. არსებული მძიმე ვითარება: მიწის საკითხის მოქმედი კონსტიტუციის მიღმა დატოვება

დღეს მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში საერთოდ არ არის ჩანაწერი მიწის თაობაზე, გარდა კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, რომლის ძალითაც „მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ კანონმდებლობა“ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება“. ეს ჩანაწერი აშკარად უკმარია, რადგან მიწის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯისა და ყოველთა ქართველთა სამკვიდროს, მიმართ კონსტიტუციას და, საერთოდ, ქართულ სამართალს გეორგიანული ცივილიზაციის ქვეყანაში გამორჩეული, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მარად უნდა ჰქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის პრეამბულა ხაზგასმით მოიხსენიებს „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას“, როგორც კონსტიტუციის დასაყრდენს, ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი — მიწის საკითხი კონსტიტუციით საერთოდ არ წესრიგდება.

### 3. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობასთან შეუთავსებლობა

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“. სამწუხაროდ, ეს პრინციპი — მიწაზე საკუთრების საზოგადოებრივად დამავალდებულებელი ხასიათი, დღეს მოქმედ კონსტიტუციაში მთლიანად დაკარგულია; **მოქმედი კონსტიტუციითა და სამართლით მიწა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას, გამორჩეული საჯარო ინტერესისა და ზრუნვის საგანს; იგი არაფრით გამოირჩევა სხვა, რომელიც გნებავთ, ნივთისა და „სახმარი“, ორდინარული მატერიალური სიკეთისგან, რაც უდავოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული ინტერესებისთვის და, როგორც ქართულ სამართლებრივ ტრადიციას, ასევე გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასაც ძირშივე ეწინააღმდეგება.**

### 4. საკუთრების უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებით შეუზღუდავობა საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლი, საზოგადოდ, საკუთრებას და, შესაბამისად, მიწის საკუთრებასაც განიხილავს მხოლოდ უფლებად და ამ უფლების საზოგადოებრივად დამავალდებულებელ ხასიათს ერთი სიტყვითაც არსად მიუთითებს, მაშასადამე, არც ცნობს; ამგვარი **ულტრალიბერალური დამოკიდებულების გამო, მესაკუთრე საზოგადოების წინაშე ყოველგვარი პოზიტიური ვალდებულებისგან სრულიად თავისუფალია და უარესიც: მას შეუძლია, უპატრონოდ მიატოვოს საკუთარი ქონება და თუნდაც მხოლოდ ამ გზით სახელმწიფო და საზოგადო ინტერესების საზიანოდაც კი მიმართოს საკუთრების უფლება.**

არსებითად არაფერს ცვლის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“), ვინაიდან ეს ჩანაწერი მესაკუთრეს საზოგადოების წინაშე რაიმე პოზიტიური ვალდებულებებით კი არ ბოჭავს, არამედ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში საზოგადოებას უტოვებს უფლებას, კერძო საკუთრება ისე შეზღუდოს, რომ არ დაირღვეს „საკუთრების უფლების არსი“, ე.ი. ამ შემთხვევაში — მესაკუთრის საზოგადო ვალდებულებებისგან თავისუფლება; საკუთრების ამგვარი თავისუფლება გამყარებულია სამოქალაქო სამართლითაც. სკ-ის 170-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის 1-ელი ნაწილი): „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან



**მოქმედი კონსტიტუციითა და სამართლით მიწა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას, გამორჩეული საჯარო ინტერესისა და ზრუნვის საგანს; იგი არაფრით გამოირჩევა სხვა, რომელიც გნებავთ, ნივთისა და «სახმარი», ორდინარული მატერიალური სიკეთისგან, რაც უდავოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული ინტერესებისთვის და, როგორც ქართულ სამართლებრივ ტრადიციას, ასევე გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასაც ძირშივე ეწინააღმდეგება**

სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო, შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. სკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით „უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია“.

ამრიგად, აშკარაა, რომ **კონსტიტუციის 21-ე მუხლი და შესაბამისად, სამოქალაქო სამართალიც საკუთრების უფლებას უფრო წინ აყენებს, ვიდრე საჯარო და სახელმწიფო ინტერესებს და მესაკუთრეს არაფრით ავალდებულებს ჯეროვნად, საზოგადოდოებისთვის სასიკეთოდ, საჯარო ინტერესის შესაბამისად უპატრონოს და გამოიყენოს ქონება; განსაკუთრებით, თუკი ეს ქონება, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, საერთო ეროვნულ საუნჯეს, ქართველი ხალხის სამკვიდროს — მიწას წარმოადგენს.**

### 5. რა უნდა გაკეთდეს?

უწინარესად, **საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ და ქართველი ხალხის სამკვიდროდ.**

ამასთანავე, მოქმედ კონსტიტუციაში მოცემული ულტრალიბერალური დამოკიდებულება საკუთრების, განსაკუთრებით კი მიწის საკუთრების, მიმართ უნდა შეიცვალოს და გონივრულად ლიბერალური გახდეს; ეს ნიშნავს, რომ **საკუთრების ხელშეუვალობის კონსტიტუციურ გარანტიასთან ერთად 21-ე მუხლში აუცილებლად უნდა გაჩნდეს ჩანაწერი საკუთრების, როგორც იმთავითვე საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებით შეზღუდულ უფლებაზე.**

რასაკვირველია, მესაკუთრე თავისუფლად ახორციელებს უფლებას, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთარ ქონებას, მაგრამ, ულტრალიბერალური მიდგომისგან განსხვავებით, „თავისუფლება“ გააზრებული უნდა იქნეს მისი არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური მნიშვნელობით.

საკუთრების ამგვარი, ე.ი. თავისუფლების პოზიტიური შინაარსის გააზრებიდან გამომდინარე გაგება თავისთავად გულისხმობს, რომ ეს უფლება არა მხოლოდ ნეგატიური თვალსაზრისით იზღუდება (ე. ი. იკრძალება მისი ბოროტად გამოყენება, როგორც დღესაც არის ჩვენს კერძო სამართალში), არამედ პოზიტიურადაც — მესაკუთრე იმთავითვე, ე. ი. უფლების შეძენისთანავე ვალდებული ხდება ამ უფლების განხორციელებისას არა მხოლოდ კერძო, არამედ საზოგადოებრივ სიკეთეს ემსახუროს.

ეს ფუნდამენტური პრინციპი, პირველ ყოვლისა, მიწის საკუთრების მიმართ უნდა იქნეს გავრცელებული და დღევანდელი კონსტიტუციით უნდა აღდგეს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა, კერძოდ, მისი 116-ე მუხლის ის პრინციპი, რომ მიწის საკუთრება იმთავითვე გულისხმობს მესაკუთრის პოზიტიურ ვალდებულებას, ჯეროვნად უპატრონოს და დაამუშავოს მიწა.

ბუნებრივია, თუ კონსტიტუციის ახალი რედაქცია საკუთრების უფლებას ამგვარ ვალდებულებას განუყოფლად დაუკავშირებს, მაშინ ლოგიკურად გამომდინარეობს მიწის საკუთრების შეძენის შეზღუდვაც. მართლაც: **ვინაიდან მიწაზე, რომელიც განსაკუთრებული ეროვნული საუნჯე და ქართველი ხალხის სამკვიდროა, საკუთრება იმთავითვე განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ ვალდებულებასაც გულისხმობს, მაშასადამე, მიწის შემძენმა ნებისმიერმა პირმა შეძენისას უნდა დაასაბუთოს, რომ მას ხელეწიფება ამგვარ ვალდებულებათა ტვირთის ზიდვა.**

ასევე ცხადია, რომ იმ სუბიექტებს, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფოსთან სამართლებრივი კავშირი არ აქვთ (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არ მქონე პირები ან საქართველოს არარეზიდენტი იურიდიული პირები) და თავისუფალი არიან მოქალაქის ვალდებულებებისგან, დასაბუთება უფრო მკაცრი კრიტერიუმებით უნდა მოვთხოვოთ, როგორც ეს არის ცივილიზებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში.

ბუნებრივია, კონსტიტუცია როგორც, საზოგადოდ, საკუთრების, ასევე კონკრეტულად მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მხოლოდ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპებს უნდა შეიცავდეს, ხოლო დაწვრილებით საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები კერძო სამართალმა, ხოლო მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საუნჯის, საკუთრების შემთხვევაში კი ორგანულმა კანონმა — მიწის კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, **კონსტიტუციის I თავს „ზოგადი დებულებები“ იმ მუხლებთან, რომლებშიც საუბარია სახელმწიფო ენასა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსზე, უნდა დაემატოს მუხლი, რომელიც მიწას, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმისა, ცნობს, როგორც განსაკუთრებულ ღირებულებას — ეროვნულ საუნჯესა და ქართველთა მომავალი თაობების სამუდამო სამკვიდროს** (ამ მუხლის დამატება კონსტიტუციაში შეკრავს მარადიულ ქართულ ტრიადას — „მამული, ენა, სარწმუნოება“).

ეს მუხლი შექმნის მიწის განსაკუთრებული დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს, დაადგენს მიწის საკუთრების ფორმებს — სახელმწიფო, მუნიციპალურ (სათემო) და კერძო საკუთრებას, განსაზღვრავს მიწის საკუთრების, როგორც უფლების, იმთავითვე საზოგადოებრივი ვალდებულებით დატვირთვის პრინციპს, ხოლო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხების მოწესრიგებას ორგანულ კანონს — „მიწის კოდექსს“ მიანდობს. ამ მუხლის შესაძლო რედაქცია შემდეგია:

**„მუხლი 71**

**1.** მიწა, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, წარმოადგენს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯეს — წინაპარი, აწმყო და მომავალი თაობების სამუდამო სამკვიდროს, რომელსაც იცავს ხალხი და სახელმწიფო.

**2.** მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ (სათემო) და კერძო საკუთრებაში. მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, ხოლო სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში, აგრეთვე, მისი სათანადო დამუშავება შეადგენს მიწის მესაკუთრის ვალდებულებას ქართველი ხალხისა და ადგილობრივი თემის წინაშე.

**3.** მიწაზე უფლებების შეძენა ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. მიწაზე უფლებების შეძენისა და დაკარგვის, უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაციის, მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და დაგეგმვის, მიწათმოწყობის, კატეგორიების მიხედვით მიწის მასივთა და ლანდშაფტების მართვისა და დაცვის წესებსა და პირობებს ადგენს ორგანული კანონი „საქართველოს მიწის კოდექსი“.

**4.** მიწის საკუთრების ყოველი შემძენი იმთავითვე დაიკისრებს ვალდებულებას, რომ მის მიერ საკუთრების უფლების განხორციელება, გარდა კერძო მიზნებისა, საზოგადო კეთილდღეობას მოემსახურება, ხოლო მიწა, როგორც ▶

**ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა, ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტური გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება. მეხილეობაში გამოყენებულია ბაღში მცენარეთა განლაგების შემდეგი წესები: კვადრატული, სწორკუთხოვანი, ჭადრაკული და კონტურული.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ეროვნული საუნჯე, დაცული იქნება არაჯეროვანი მოვლა-პატრონობის, ბოროტად გამოყენების, დაზიანების ან მოცდენისგან. ამ ვალდებულებიდან გამომდინარე, შემძენ პირს მოეთხოვება ორგანული კანონით — „საქართველოს მიწის კოდექსით" — დადგენილი კრიტერიუმის დაკმაყოფილება. იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, შეიძლება ორგანული კანონით ცალკე კრიტერიუმები დაწესდეს. უცხოელზე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ „საქართველოს მიწის კოდექსით" განსაზღვრულ ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, თუ აშკარაა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საზოგადო სარგებელი (სასიცოცხლო სტრატეგიული საჭიროება) და არსებობს ადგილობრივი თემის წინასწარი თანხმობა".

რაც შეეხება კონსტიტუციის 21-ე მუხლს, იგი შესაძლოა შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:

**„მუხლი 21**

**1.** საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები კანონით განისაზღვრება. მიწის საკუთრების შეძენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობები.

**2.** საკუთრების უფლება მესაკუთრეს იმავე დროს ავალდებულებს: მის მიერ საკუთარი ქონების თავისუფლად ფლობა და სარგებლობა, გარდა კერძო სიკეთისა, იმავე დროს უნდა ემსახურებოდეს საზოგადო სიკეთის მიღწევის მიზანს. ქონების განკარგვა ამ მიზანს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. დაუშვებელია საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება.

**3.** ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. მიწის საკუთრების შეზღუდვა დასაშვებია ორგანული კანონით — „საქართველოს მიწის კოდექსით" განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**4.** აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისგან".

**დავით ზარდიაშვილი,**
**ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში;**
**პაატა კოღუაშვილი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;**
**ანზორ მესხიშვილი,**
**სერთიფიცირებული ექსპერტი მიწათსარგებლობაში**

# ნიადაგის დარგვისწინა მომზადება საბაღედ შერჩეულ ნაკვეთზე

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი**

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.



**საბაღედ გამოყოფილი ნაკვეთის გაკულტურება უნდა ჩატარდეს წინამორბედი კულტურების (ტყე, ბუჩქნარი, საძოვარი, სათოხნი კულტურები) თავისებურებების გათვალისწინებით. ამისთვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება: ბუჩქებისა და ხეების ამოძირკვა, ნაკვეთის მოსწორება-მოშანდაკება, მარცვლოვანი კულტურების ან ბალახების თესვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, პლანტაჟის ჩატარება.**

ნაკვეთის გაკულტურების შემდეგი მეთოდები არსებობს:

**მთლიანი მეთოდი** — გულისხმობს მთელი ფართობის ღრმა საპლანტაჟო მოხვნას, სასუქების ერთდროული ჩაკეთებით;

**ზოლებრივი მეთოდი** — პლანტაჟი და სასუქების შეტანა ხორციელდება მომავალი რიგების ადგილზე;

**ადგილობრივი მეთოდი** — იხვნება ჩვეულებრივი გუთნით, ხოლო ნერგები ირგვება ღრმა ორმოებში.

**პლანტაჟი** უნდა ჩატარდეს ბაღის გაშენებამდე წლინახევრით ადრე, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება ხშირად ხდება დარგვამდე ნახევარი წლით ადრე. აუცილებელია, ნიადაგურ თვისებათა შესატყვისად დადგინდეს პლანტაჟის ოპტიმალური სიღრმე, რომელიც თავისთავად გულისხმობს მცენარეთა ნორმალურად ზრდა-განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

დიდი სისქის მდელოს ყავისფერი, შავმიწისებური, შავმიწა და მდელოს ალუვიური ნიადაგების დაპლანტაჟებით რაც შეიძლება მეტი სისქის აქტიური ფენა უნდა შეიქმნას, რომლის მოცულობითი წონა 1,00—1,30 გრ/სმ3 შორის, ესე იგი, ოპტიმუმის ფარგლებში უნდა მერყეობდეს, რომელიც განაპირობებს მეტი რაოდენობის პროდუქტიული ტენის მარაგის დაგროვებას და მცენარეთა საკვები ელემენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი სისქის მდელოს ყავისფერი, შავმიწისებური, შავმიწა და მდელოს ალუვიური ნიადაგების დაპლანტაჟება უნდა ჩატარდეს შესაბამისად 0-70; 0-80; 0-90 და 0-100 სმ-ის სიღრმეზე.

მცირე და საშუალო სისქის მდელოს ყავისფერი, ლამიანი, ალუვიური და დელუვიური ნიადაგები უნდა დაპლანტაჟდეს შესაბამისად 0-40; 0-50 და 0-50 სმ-ის სიღრმეზე. Mმცირე სისქის ნიადაგებზე უნდა გაშენდეს ნაგალა, ხოლო,საშუალო სისქის ნიადაგებზე — ნახევრადნაგალა ბაღი.

ტყის ყომრალი, წითელმიწა, ყვითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების დაპლანტაჟება ისე უნდა ჩატარდეს, რომ ჰუმუსიან ფენებში ქვედაფენების შერევა არ ამცირებდეს წყალგამტარობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამოთვლილი ნიადაგები ხეხილოვანი კულტურების გაშენების მიზნით უნდა დაპლანტაჟდეს 0-50; 0-60; 0-70 და 0-80 სმ-ის სიღრმეზე.

ნეშომპალა-კარბონატული და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების დაპლანტაჟების ოპტიმალური სიღრმის ძირითად განმსაზღვრელს კირიანი და ორშტეინიანი ფენების მდებარეობა წარმოადგენს. Aამ უკანასკნელის მიხედვით აღნიშნული ნიადაგები უნდა დაპლანტაჟდეს 0-40; 0-50; 0-60 და 0-70 სმ-ის სიღრმეზე და შეძლებისამებრ მოხდეს მკვრივი ფენების გაფხვიერება.

სიღრმით დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების პლანტაჟი ისე უნდა ტარდებოდეს, რომ დაპლანტაჟებულ ფენაში მცენარეზე უარყოფითად მოქმედ მარილთა შემცველობა, მკვრივი ნაშთის მიხედვით, 2%-ს არ აღემატებოდეს;

სხვადასხვა ხარისხით დამლაშებულ და დაპლანტაჟებულ ფენებში მარილების შემცველობა მკვრივი ნაშთის მიხედვით როცა 1-2%-მდეა, უმჯობესია, ზონების შესაბამისად გაშენდეს უნაბი, ბროწეული, ნუში, ჭერამი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, თუთა, ხოლო 1%-ზე ნაკლები მარილების შემცველობის დროს კი – ლეღვი, ალუბალი, ბალი, ატამი, კაკალი, თხილი და ხურმა.

მოშანდაკებული რიყნარების პირველად დამუშავება ისე უნდა ჩატარდეს, რომ 60 სმ-იან ფენაში 5 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე დედაქანის ნატეხების, კენჭებისა და წვრილი ქვების შემცველობა მძიმე თიხიან ნიადაგებში 50, საშუალო თიხიან ნიადაგებში 45, მსუბუქ თიხიან ნიადაგებში 40, მძიმე თიხნარ ნიადაგებში 35, საშუალო თიხნარ ნიადაგებში 30, მსუბუქ თიხნარ ნიადაგებში 25, ხოლო სილნარებში 10 %-ს არ აღემატებოდეს.

აღნიშნული ნიადაგების დაპლანტაჟება უნდა ხდებოდეს ფიზიკური სიმწიფის ფაზაში, ე.ი. საველე ზღვრული ტენტევადობის 60-70%-ის დროს, მათზე გაშენებული ბაღების მორწყვა კი – წყალგამტარუნარიანობის მიხედვით, რითაც თავიდან იქნება აცილებული ეროზიული პროცესები.

საბაღე ნაკვეთის ნიადაგის პლანტაჟი შემდეგ ვადებში უნდა დამთავრდეს: **ა) აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში:** შემოდგომაზე გასაშენებლად — 15 სექტემბრამდე; გაზაფხულზე გასაშენებლად — 15 დეკემბრამდე; **ბ) დასავლეთ საქართველოს რაიონებში:** შემოდგომაზე გასაშენებლად — 1 ოქტომბრამდე, გაზაფხულზე გასაშენებლად — 15 იანვრამდე; **გ) მთიან რაიონებში:** შემოდგომაზე გასაშენებლად — 20 აგვისტომდე, გაზაფხულზე გასაშენებლად — 1 ნოემბრამდე.

საპლანტაჟე ხვნის მიმართ მოთხოვნა შეცვლილია ნაგალა ინტენსიური ბაღების გაშენების შემთხვევაში. თანამედროვე კვლევების თანახმად, ინტენსიური ტიპის ბაღის ფესვთა სისტემა განლაგებულია ზედაპირულად, ამიტომ მოხვნის სიღრმე ნაკლებ გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე, ამ შემთხვევაში მიღებულია 20-25 სმ-ზე მოხვნა.



## განოყიერება პლანტაჟის დროს

პლანტაჟის დროს განოყიერების ძირითადი მიზანია ხეხილოვანი კულტურებისთვის კვების ხელსაყრელი პირობების შექმნა ხანგრძლივი დროით. როგორც წესი, პლანტაჟის დროს ნიადაგი 50-60 სმ სიღრმეზე იხვნება. დაპლანტაჟებულ ფენაში უმჯობესდება აერაცია, წყლის რეჟიმი, ძლიერდება ნიადაგის მიკრობიოლოგიური აქტივობა და სხვ.

პლანტაჟის დროს ნაკვეთში შედის ორგანული სასუქები (ნაკელი, ტორფი, კომპოსტი), ფოსფორიანი, კალიუმიანი ან კომპლექსური სასუქები. მჟავე ნიადაგებზე (ეწერი, წითელმიწა და სხვ.) მჟავიანობის გასანეიტრალებლად აუცილებელია კირის შეტანა, შესაძლებელია, აგრეთვე, დაფქული კირქვების, ცარცისა და კირის შემცველი სხვა მასალის შეტანა. სასუქების შესატანი დოზები განისაზღვრება ნიადაგის ნაყოფიერების დონის მიხედვით, ნიადაგის ანალიზის საფუძველზე.

ფოსფორითა და კალიუმით ღარიბ, დაბალ ნაყოფიერ ნიადაგებზე ფოსფორი (P2O5) შეიტანება 450-550 კგ ჰექტარზე; კალიუმი (K2O) 350-450 კგ ჰექტარზე; ნაკელი ან ტორფი 100-120 ტონა ჰექტარზე; საშუალოდ ნაყოფიერ ნიადაგებზე — P2O5 400-500 კგ ჰექტარზე; K2O 300-400 კგ ჰექტარზე; ნაკელი ან ტორფი 80-100 ტონა ჰექტარზე; ხოლო შედარებით მაღალ ნაყოფიერ ნიადაგებზე — P2O5 350-400 კგ ჰექტრაზე; K2O 250-300 კგ ჰექტარზე; ნაკელი ან ტორფი 60-80 ტონა ჰექტარზე; დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგების მჟავიანობის გასანეიტრალებლად აუცილებელია კირის შეტანა.

ბაღის გაშენებამდე აუცილებელია დაპლანტაჟებული ნიადაგის გადახვნა, მისი ზედაპირის კარგად მოსწორება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ბაღის დაგეგმვა.

## მცენარეთა განლაგება ბაღში

ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა, ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტური გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება. მეხილეობაში გამოყენებულია ბაღში მცენარეთა განლაგების შემდეგი წესები: **კვადრატული, სწორკუთხოვანი, ჭადრაკული და კონტურული.**

ამჟამად ყველაზე ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება (8მX6მ; 7მX5მ; 4მX2მ და ა.შ.). თითოეული კულტურა, საძირისა და საწარმოო ჯიშის თავისებურების და ბაღის ტიპიდან გამომდინარე, მოითხოვს კვების განსხვავებულ არეს, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ:

ხეხილის ბაღის გასაშენებლად საჭირო კვების არე:

**ვაშლი** — ძლიერ საძირეზე (კულტურული ნათესარი, მაჟალო) — **8 მ X 8 მ;** — ნახევრად ნაგალა (ნაგალა — დაბალი ტანის ხე) საძირეზე (M 7; MM 106) **— 5 მ X 3მ; —** ნაგალა საძირეზე (M 9 EMLA, Pajam 1, Pajam 2, M 26) **4მX1,5მ; 4მX2მ; 4მX2,5მ; 3მ X 1,5მ; 3მX2მ; 3მX1მ;** (აუცილებელია საყრდენი სისტემა).

**მსხალი —** ძლიერ საძირეზე (კულტურული ნათესარი, პანტა) **7მX5მ;** — ნახევრად ნაგალა საძირეზე (კომში A, კომში BA 29) **5მX3მ; 4მX3მ; 4მX2მ; —** ნაგალა საძირეზე (კომში C) **4მX1,5მ; 4მX2მ;**

**კომში (კომშზე)** — 6მX4მ; 6მX5მ;

**ზღმარტლი (ზღმარტლზე)** — 5მ X 4მ;

**ატამი (ატამზე, ნუშზე, ტყემალზე)** — 5მ X4მ;

**გარგარი (ჭერამზე)** — 7მ X5მ; 8მ X6მ;

**ქლიავი (ევროპული)** — 7მ X5მ; 6მ X5მ;

**ქლიავი (ჩინურ-იაპონური)** — 6მ X5მ; 6მ X4მ; 5 მX4მ;

**ბალი** ძლიერ საძირეზე (კულტურული ნათესარი, ბალამწარა) — **8მX6მ; 7მX5მ; —** ნახევრად ნაგალა საძირეზე (კოლტი) **— 6მX4მ; 5მX3მ; —** ნაგალა საძირეზე (გიზელა 5, ვიქტორი) — **4მ X 2,5მ; 4მ X 2მ;**

**ალუბალი (ალუბალზე)** — 5მ X5მ; 6მ X5მ;

**ტყემალი (ტყემალზე)** — 6მ X 5მ;

**თხილი** — 6მ X4მ; 6 მX3მ; 5მ X4მ; 5მ X3მ;

**კაკალი** ჩვეულებრივი ჯიშები — **10მX10მ; 10მX8მ;**

ლატერალური ჯიშები — **8მ X5მ; 8მ X6მ; 7მ X5მ;**

**კივი** — 4მ X 4მ;

**ნუში** — 6მX5მ; 5მ X4მ;

**ლეღვი** — 8მ X7მ; 8მ X6მ; 7მ X5მ; 8მ X5მ;

**ბროწეული** — 5მX4მ; 5 მX3მ;

**აღმოსავლური ხურმა** — 6მ X4მ; 6მ X3მ; 5მ X2,5მ;

**მოცხარი** — 3მ X1მ; 2,5მ X1მ;

**ჟოლო** — 3მ X0,75მ; 2,5მ X0,75მ;

**ხურტკმელი** — 3მX1; 3მX1,2მ.

**გაგრძელება მომდევნო ნომერში**

**ჯუმბერ ონიანი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,**
**ზვიად ბობოქაშვილი,**
**კუკური ძერია,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები**

# ქობულეთში აჭარის განმათავისუფლებლების ახალი მონუმენტი აღიმართა



**ევრაზიის ინსტიტუტის მხარდამჭერთა ძალებით ქობულეთის რაიონში, ბობოყვათ-ციხისძირის საზღვარზე, 1878 წლის იანვარში ციხისძირის ბრძოლებში დაღუპული ქართველი და რუსი ჯარისკაცების მონუმენტი და საინფორმაციო ბანერი დაიდგა. მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთი-ბათუმის ტრასასა და ზღვას შორის, ადრე არსებობდა საძმო სამხედრო სასაფლაო შესაბამისი მონუმენტით, რომელიც დროთა განმავლობაში განადგურდა (ანალოგიური სასაფლაო და მონუმენტი ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანშიც არსებობს, რომელიც, ასევე, ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით შეკეთდა).**

დღეს რთული ამოცანაა საძვალეების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, მით უფრო შეუძლებელია ძველი სასაფლაოს აღდგენა, მაგრამ მცირედი მაინც გაკეთდა: ძველი სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა მონუმენტი, რომელიც თაობებს შეუნახავს ხსოვნას აჭარის განმათავისუფლებლების გმირობაზე. **1878 წლის 18 იანვარს ციხისძირის შტურმი რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წლების სისხლისმღვრელი ომის ბოლო ეტაპი იყო. ამ ომის შედეგად რუსეთის იმპერიამ დაასრულა ბალკანეთის ქრისტიანი ხალხების გათავისუფლება, წარმოიშვა ბულგარეთის სამეფო, ხოლო ოსმალეთის იმპერიის ბატონობას ევროპის კონტინენტზე, კონსტანტინეპოლისა და ადრიანეპოლის გამოკლებით, წერტილი დაესვა. ამ ომის შემდგომ აღდგა საქართველოს ისტორიული საზღვრები, როდესაც რუსულმა არმიამ დაიკავა აჭარა და ტაო-კლარჯეთი.**

ქობულეთისა და აჭარის მოსახლეობა სიხარულით შეეგება ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივას მონუმენტის დადგმის თაობაზე. 23 თებერვალს ეს მონუმენტი ეკურთხა. ღვთისმსახურება ჩაატარა მამა **დანიელ სოლომონიძემ**, მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გულბაათ რცხილაძე**, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი **დუგლას ზამთარაძე, იურისტები: სოსო ქორიძე და რეზო რომანაძე**, პროფესორი, ფილოსოფოსი **ნიაზ ბოლქვაძე**, ეკონომისტი **თამაზ დარჩიძე**, გაზეთ „აჭარა P.S.“-ის მთავარი რედაქტორი **ჯემალ მეგრელიძე**, ჟურნალისტი **ნუგზარ ჟორდანია**, ფერმერი, მეწარმე **გოჩა ტიკარაძე**, სოფელ ხუცუბნის მკვიდრნი: **ოთარ** და **იმედა თხილაიშვილები**, მეწარმე **მურად გოგიტიძე**, სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარი, ვიცეპოლკოვნიკი **გივი ვანიშვილი**, ქობულეთის საკრებულოს წევრები: **გია თავდგირიძე** („ქართული ოცნება“), **ზვიად ფუტკარაძე** („ქართული ოცნება“) და **ხვიჩა გამარჯობაძე** („ბურჯანაძე-დემოკრატები“).

ცერემონიის დასრულების შემდეგ შედგა შეხვედრა ქობულეთის საკრებულოს წევრთან, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მიქელაძესთან**, რომელმაც მადლობა გადაუხადა გულბაათ რცხილაძეს და მონუმენტის დადგმაში მონაწილე ყველა პიროვნებას პატრიოტული წამოწყებისთვის. გამოითქვა სურვილი, რომ ევრაზიის ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღოს ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული დიდი სამამულო ომის დროინდელი მონუმენტებისა და სასაფლაოების აღდგენა-რესტავრაციაში. ფრაქციის თავმჯდომარე სიამოვნებით დათანხმდა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის წინადადებას, რომ ბობოყვათში გახსნილი მონუმენტის ჯვარზე დამონტაჟდეს განათება.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მონუმენტებისა და სასაფლაოების აღდგენა-რესტავრაციის პროექტის განხორციელებას ევრაზიის ინსტიტუტი საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად აპირებს.

**ევრაზიის ინსტიტუტის პრესსამსახური**



# «საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი» იუბილარია

**3 მარტს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართება „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ დაფუძნების 4 წლის იუბილე, სადაც წარმოდგენილი იქნება ფონდის 4-წლიანი მუშაობის ანგარიში.**

**ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, საპატრიარქოს, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საიუბილეო ღონისძიებას გახსნის ფონდის საპატიო თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე; ანგარიშს წარმოადგენს ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე. ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ანალიზს გააკეთებს ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი დემოგრაფი ანზორ თოთაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოვლენ დამფუძნებლები — ზაქარია ქუცნაშვილი და თაკო ჩხეიძე.**

4-წლიანი მუშაობის ანგარიშში ძირითადი აქცენტები დაისმება ფონდის მიერ მომზადებულ შემდეგ სამთავრობო და საკანონმდებლო წინადადებებზე: მშობიარობის დაფინანსება სახელმწიფოს მიერ; დეკრეტული შვებულების გაზრდა; მესამე და შემდგომი ახალშობილის დაფინანსება საქართველოს 6 რეგიონში; აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადის გაზრდა 3-დან 5 დღემდე; სელექციური აბორტების აკრძალვა; „მთის კანონის შემუშავებაში“ აქტიური მონაწილეობა; ასევე, ფონდი აქტიურად იყო ჩართული დაბერების პოლიტიკის დოკუმენტისა და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის მომზადებაში. ანზორ თოთაძის ავტორობით ფონდს გამოცემული აქვს 8 წიგნი საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ; ასევე, ჩატარებული აქვს დემოგრაფიული კვლევები აფხაზური და ებრაული გენოფონდის, ერის დაბერების დინამიკის შესახებ საქართველოში.

4 წლის განმავლობაში ფონდს ჩატარებული აქვს 24 დიდი ღონისძიება ქვეყნის მასშტაბით: კონფერენციები; რეგიონული შეხვედრები მოსახლეობასთან; თემატური შეხვედრები მრავალშვილიან ოჯახებთან და მარტოხელა დედებთან; განათლებისა და მიგრაციის საკითხებზე გამართა რამდენიმე სადისკუსიო შეხვედრა უნივერსიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან; ფონდი თავდაპირველად ეწეოდა ქველმოქმედებას და მრავალშვილიან დედებს უფინანსებდა მშობიარობას; საერთაშორისო ფონდთან ერთად ასაჩუქრებდა მზრუნველობამოკლებულ და სოციალურად დაუცველ ბავშვებს.

ფონდი გამოსცემს მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის გაზეთს — „საქართველოს დემოგრაფიას“, რომელიც ვრცელდება სრულიად საქართველოში.

ღონისძიების ბოლოს ფონდის ხელმძღვანელები საზოგადოებას გააცნობენ პროექტებს, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს პერიოდში აპირებენ.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შეშფოთებით ადევნებს თვალს საქართველოს საპატრიარქოს გარშემო შექმნილ აჟიოტაჟს და ქართველ საზოგადოებასთან ერთად შეწუხებულია ამ მეტად არაჯანსაღი სიტუაციით, რადგან საქმე ეხება ქვეყნის ყველაზე მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით მოსილ ინსტიტუციას — საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის როლი და მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია ქართველი ერის სულიერი და კულტურული მთლიანობის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განმტკიცებაში.**

ჩვენს განცდებს კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური, ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, რომლის ღვაწლი და ამაგი თანამედროვე საქართველოს ისტორიაში განუზომელია. მისი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგია საქართველოს ეკლესიის აღმავლობა და ქართველი ხალხის სულიერ-სარწმუნოებრივი აღორძინება. თავად მეცნიერს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და სულიერების გამთლიანებაში. დიდია მისი წვლილი ეროვნული კულტურის განვითარებაში. დღეს, როგორც არასდროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკლესიისა და ხალხის ერთიანობა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ვნებათაღელვა და შფოთვა, რომელმაც ბოლო დღეებში მოიცვა საზოგადოება, მალევე ჩაივლის, ყველაფერი დაუბრუნდება ჩვეულ კალაპოტს და ყოველგვარ გაუგებრობას საქართველოს ეკლესიისა და პატრიარქის უდიდესი ავტორიტეტი და საზოგადოების ერთსულოვნება სამუდამოდ გაფანტავს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია კვლავინდებურად საქართველოს ეკლესიისა და მისი ღირსეული მეთაურის გვერდითაა და მტკიცედ სჯერა, რომ პატრიარქის სიბრძნითა და ძალისხმევით გადაილახება დროებითი გაუგებრობა, რომელსაც ობიექტური საფუძველი არ აქვს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894